პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წლიწადი მეცხრე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა - მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის - 1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ.; ტექსტში—3 მან.; განცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი"-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

საქართველოს

დღიური

- თურქეთის პრესა ილაშქრებს ლოიდ . ჯორჯის სტამბოლში ჩასვლის წინააღმდეგ.
- კომუნისტ-დეპუტატ სიპულას სიტყვა პოლონეთის სეიმში.
- მთავრობის და უმაღლეს მოხელეების მოქმედების კრიტიკის აკრძალვა ესპანეთში.
- მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაციები იაპონიაში.
- სარეპარაციო კომისიის თავმჯდომარეთ არჩეულია ოუენ იუნგი.
- არეულობა ბომბეიში გრძელდება—ახალი შეტაკებები მუსლიმანებსა და ინდუსებს შორის.

სამშაბათი, 12 თებერვალი 1929 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 34 (2380)

ორშაბათს, 18 თებერვალს, თბილისის მუშათა თეატრის შენობაში (ქორესის ქუჩაზე)

მოწვეულია

თბილისის მე-9 პარტკონფერენცია

დღის წესრიგი:

1. თბილისის კომიტეტის ანგარიში და კომკავშირის თბილისის კომიტეტის თანამოხსენება.
2. სარევიზიო კომისიის ანგარიში.
3. საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალურ საკონტროლო კომისიის მოხსენება.
4. მუშაობა იდეოლოგიურ ფრონტზე.
5. სოფლად მუშაობა.
6. არჩევნები.

თბ. კომიტეტის პრეზიდიუმი.

საკუთარი ძალებით

(შემნახველ სალაროების მომავალ ორკვირეულის გამო)

მიმდინარე წლის პირველ რიცხვიდან მთელ საბჭოთა კავშირში მოეწყობა შემნახველ შრომის სალაროთა ორკვირეული. ამიერ-კავკასიაში ეს პირველი ორკვირეულია, რომელიც მიზნად ისახავს მოსახლეობის ყურადღების გაძლიერებას შრომის შემნახველ- გამსესხებელ სალაროებისადმი. პირველი ორკვირეული ჩატარებული იყო ამიერ- კავკასიის რესპუბლიკათა მონაწილეობის გარეშე. ის არ შეხებია საბჭოთა კავშირის მთელ რიგ სხვა მნიშვნელოვან რაიონებს. მიუხედავად ამისა, შრომის შემნახველ სალაროების ორკვირეულმა მნიშვნელოვანი შედეგი მოგვცა მოსახლეობის თავისუფალ თანხათა მობილიზაციის საქმეში. მით უფრო დიდი უნდა იქნეს შედეგი მეორე ორკვირეულისა, რომელიც მოეწყობა მთელ საბჭოთა კავშირში და რომლის ჩასატარებლადაც გამოყენებული იქნება პირველი ორკვირეულის დროს მიღებული გამოცდილება.

შრომის შემნახველ სალაროებს თვალსაჩინო ადგილი უკავია ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარების საქმეში. ინდუსტრიალიზაციის, სოფლის-მეურნეობის მექანიზაციისა და ინტენსიფიკაციის განხორციელება, რაიც შეადგენს საბჭოთა ეკონომიური პოლიტიკის საფუძველს, შეუძლებელია სათანადო მატერიალურ და ტეხნიკურ პირობების გარეშე. ასეთი პირობების შექმნა კი უმეტეს ნაწილად დამოკიდებულია ფულად შესაძლებლობათა წყაროების გამონახვაზე. საგარეო სესხის იმედი ამ შემთხვევაში ფუჭი ოცნება იქნებოდა. ჩვენდამი შეურიგებელ კლასიური სიძულვილით გაელენთილი კაპიტალისტური სახელმწიფოები ყოველნაირად ცდილობენ, რომ ჩაშალონ ის გაცხოველებული სამეურნეო მშენებლობა, რომელიც ამჟამად საბჭოთა კავშირში მიმდინარეობს. კერძოდ ინდუსტრიალიზაციის კურსი, რომელსაც ასე მტკიცედ ატარებს ჩვენი ხელისუფლება. მოსვენებას არ აძლევს იმპერიალისტურ სახელმწიფოებს. ისინი კარგად გრძნობენ, რომ ინდუსტრიალიზაცია ერთ-ერთი ის უძლიერესი საშუალებათაგანია, რომელიც იხსნის საბჭოთა კავშირს კაპიტალისტურ ქვეყნების დამოკიდებულებისაგან, რომელიც ფრთებს შეაკვეცს მათ ლტოლვას ყოფილ მეფის რუსეთის ტერიტორიისაკენ, როგორც ნედლეულის მიმწოდებელ და მრეწველობის პროდუქციის გამსაღებელ ბაზრისაკენ.

ასეთ პირობებში გასაგებია ის მდგომარეობა, რომელიც ჩვენ გვაქვს საგარეო სესხის დარგში. საბჭოთა კავშირისათვის საგარეო სესხი თითქმის არ არსებობს.

მაშასადამე, ერთად ერთი გზა, რომელიც დაგვრჩენია სამეურნეო მშენებლობის მატერიალური და ტეხნიკური ბაზისის გასაძლიერებლად, ეს არის შინაური შესაძლებლობათა მობილიზაცია. ამ მხრივ უკვე თვალსაჩინო მიღწევები გვაქვს. ინდუსტრიალიზაციის პირველი და მეორე სესხი, გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხი და სხვა შინაური სესხები წარმატებით ჩატარდა მთელ საბჭოთა კავშირში. ამით მოსახლეობამ ერთხელ კიდევ ცხადჰყო, რომ ის თავის მოწოდების სიმაღლეზე დგას, რომ მას ესმის დასმულ სამეურნეო ამოცანების მთელი მნიშვნელობა სოციალისტურ მშენებლობისათვის და მშრომელი მოსახლეობის კეთილდღეობისათვის. მაგრამ ჩვენ ამ მიღწევებით ვერ დავკმაყოფილდებით. საჭიროა საკუთარ ფინანსიურ შესაძლებლობათა რაც შეიძლება უფრო მეტი კონცენტრაცია, მათი უფრო რაციონალურად გამოყენება. შრომის შემნახველ სალაროებს ამ შემთხვევაში დიდი როლი შეუძლია ითამაშოს. სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ აღნიშნული სალაროების მუშაობა ჯერ კიდევ არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად იქნას მიჩნეული. შემნახველ სალაროების მნიშვნელობა, მათი როლი მშრომელი მასების ყოფა-ცხოვრებაში— არ არის სათანადოთ გარკვეული მოსახლეობისათვის. შემნახველი სალაროების პოპულიარიზაცია, მათი მუშაობის გაშუქება— მომავალი ორკვირეულის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა.

კაპიტალისტურ სახელმწიფოებში შემნახველი სალაროები დიდ სამსახურს უწევენ ბურჟუაზიულ- ექსპლოატატორულ მეურნეობას. ბურჟუაზია მეტად მოხერხებულად იყენებს შემნახველ სალაროებს იმისათვის, რომ მშრომელი მასების მილიონები გამოიყენოს ამავე მასების ეკონომიური დაბეჩავებისათვის. ჩვენი შემნახველ სალაროების დანიშნულება დიამეტრალურად ეწინააღმდეგება ასეთ მდგომარეობას. ჩვენი შემნახველი სალარო —ერთი მხრივ ემსახურება სოციალისტურ მშენებლობის განვითარებას, ხოლო მეორე მხრივ მიზნად ისახავს მშრომელთა მდგომარეობის გაუმჯობესებას, მუშისა და გლეხის ოჯახურ ბიუჯეტის დისციპლინის განმტკიცებას. თუ საერთოდ სუსტადაა დაყენებული შემნახველ სალაროების მნიშვნელობის პოპულიარიზაციის საქმე, კიდევ უფრო ცუდი მდგომარეობაა შემნახველ სალაროების მუშაობის იმ ნაწილის ფართოდ გაშუქების მხრივ, რომელიც მიზნად ისახავს შემნახველთა მდგომარეობის გაუმჯობესებას. ამით აიხსნება, რომ შემნახველი სალაროები ჯერ კიდევ არ შეჭრილან მუშისა და გლეხის ყოფა-ცხოვრებაში.

შემნახველ სალაროთა ორკვირეულის გატარების დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სოფელს. უკვე გამოშვებული შინაური სესხები არ ამოსწურავენ თავისუფალ თანხათა იმ რესურსებს, რომელიც მოსახლეობაში მოიპოება. განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას სოფლის შესახებ. სოფლად სუსტადაა განვითარებული შემნახველ სალაროების ქსელი, გლეხკაცობა კიდევ უფრო ნაკლებადაა გაცნობილი აღნიშნულ სალაროების მუშაობას, ვიდრე ქალაქის მოსახლეობა. ამ გარემოებას სათანადო ანგარიში უნდა გაეწიოს მომავალ ორკვირეულის დროს.

სამზადისი უკვე დაწყებულია, შემდგარია შემნახველ სალაროების ორკვირეულის მომწყობი და ჩამტარებელი ცენტრალური კომისია; ადგილობრივ პარტიულ, პროფესიონალურ, კოოპერატიულ და სხვა ორგანიზაციებმა ენერგიული მონაწილეობა უნდა მიიღონ შემნახველ სალაროების კამპანიის წარმატებით ჩატარების საქმეში.

9 თებერვლის ხელშეკრულება და ჩვენი ბრძოლა მშვიდობიანობისათვის

გუშინ მოსკოვში ხელი მოაწერეს ოქმს პარიზის ხელშეკრულების (კელლოგის პაქტი) ვადამდე ძალაში შესვლის შესახებ, საბჭოთა კავშირის, ესტონეთის, ლატვიის, პოლონეთისა და რუმინეთის ურთიერთობის შესახებ.

მოსკოვის 9 თებერვლის ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა არ შეიძლება არ შეფასდეს იმ ამბებთან დაკავშირებით, რომელნიც წინ უძღოდნენ მას. არ უნდა დავივიწყოთ, რომ საბჭოთა მთავრობის წინადადება პაქტის ვადამდე ხელმოწერის შესახებ წარმოადგენს იმ ღონისძიებების მხოლოდ ნაწილს, რომლებსაც ჩვენი მთავრობა ღებულობს მშვიდობიანობის უზრუნველყოფისათვის საერთოდ და აღმოსავლეთ ევროპაში— კერძოდ. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამ ხელშეკრულების ჩამოყალიბებაში ინიციატივა სწორედ ჩვენ დიპლომატიას ეკუთვნის. მეორეს მხრივ, არ უნდა დავივიწყოთ ის ხანგრძლივი „მანევრები" და გარშემოვლისა და საბოტაჟის ტაქტიკა, რომელსაც მიმართავდნენ ჩვენი კონტრაგენტები, პირველ რიგში კი პოლონეთის მთავრობა და დიპლომატია. მაგრამ ბოლოს შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, რომ ჩვენმა კონტრაგენტებმა ვერ გაბედეს საბოტაჟის ტაქტიკის განგრძობა. ჩვენი წინადადების უარყოფა სამშვიდობო ინიციატივის აშკარა დემონსტრატიული ჩაშლა იქნებოდა.

ეხლა ხელშეკრულება ხელმოწერილია. 9 თებერვლის ოქმის რატიფიკაციის შემდეგ კელოგის პაქტი დასახელებულ სახელმწიფოებს შორის ფორმალურად და იურიდიულად ძალაში შევა. მაგრამ, რასაკვირველია, საქმე სიტყვებსა და ფორმალურ ვალდებულებებში არ არის. ფორმალობის მხრითაც ჩვენ არა ერთხელ შეგვიფასებია ის ვალდებულებანი, რომელთაც პაქტი აკისრებს მთავრობებს, და აღგვინიშნავს, თუ რამდენად უმნიშვნელო და მიკროსკოპიულია ეს ვალდებულებები. ჩვენ შეგვიძლია მოვაგონოთ მკითხველებს, თუ რა აშკარა ცინიკური ატესტაცია მისცა პაქტს მისმა ინიციატორმა — შეერთებული შტატების მთავრობამ, რომელმაც ამ დღეებში გამოიტანა დადგენილება 15 ახალი კრეისერის აგების შესახებ.

ჩვენ სათანადოთ ვაფასებთ და მომავალშიაც შევაფასებთ იმ რეალურ პოლიტიკას, რომელსაც ჩვენს მიმართ ახორციელებენ მოსკოვის ოქმის ზოგიერთი მონაწილენი.

ჩვენ არავითარი ილიუზიები არა გვაქვს 9 თებერვლის ოქმზე ხელმოწერის შედეგების შესახებ. ზალესკიმ, მაგალითად, ვარშავაში განაცხადა, რომ პოლონეთი პაქტზე ხელის მოწერის საკითხში არასოდეს არ ცდილობდა ზეგავლენა მოეხდინა სხვა სახელმწიფოებზეო. მაგრამ ჩვენ ასეთ განცხადებებს, რასაკვირველია, ვერ დაუჯერებთ. ლატვიის პრესაშიაც კი ამ ცოტა ხნის წინად გარკვევით აღნიშნავდნენ, რომ „პოლონელებს უნდოდათ ოქმზე ხელის მოწერა გამოეყენებინათ ბალტიის სახელმწიფოთა ბლოკის შესაქმნელად საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ". მეორეს მხრით, გულუბრყვილობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ თვით პოლონეთი უეცრად განთავისუფლდება „გარეშე" გავლენისაგან და რომ მისი პოლიტიკა მოულოდნელად „დამოუკიდებელი" გახდება.

ჩვენ მშვენივრად ვიცით ყველა იმ დოკუმენტის ფასი, რომელსაც ხელს აწერენ ბურჟუაზიული დიპლომატები. მაგრამ ჩვენ ვაწარმოებდით და მომავალშიაც დაუღალავად ვაწარმოებთ ბრძოლას მშვიდობიანობისათვის, მომავალშიაც საქმით დავუმტკიცებთ ყველას ჩვენს მშვიდობისმოყვარეობას. ჩვენ განვაგრძობთ ბრძოლას მშვიდობიანობისათვის— განიარაღებისათვის, ვინაიდან მხოლოდ საყოველთაო განიარაღება არის მშვიდობიანობის ერთად ერთი სერიოზული და ერთად ერთი რეალური გარანტია. მშვიდობიანობის საქმე თვით მშრომელი მასების, პროლეტარებისა და გლეხების ხელშია. მათი საუკეთესო შვილები და წარმომადგენელნი თავგანწირულად იბრძვიან მშვიდობიანობისათვის და ამხელენ იმპერიალისტების ყაჩაღურ ზრახვებს. კაშენმა საფრანგეთის პალატაში, შტეკერმა გერმანიის რეიხსტაგში და ბიტნერმა პოლონეთის სეიმში ფარდა ახადეს საერთაშორისო ბურჟუაზიის ზრახვებს და მის ბრძოლას პროლეტარული დიქტატურის ქვეყნის წინააღმდეგ.

ჩვენ ხელს ვაწერთ ოქმს, ვაკისრებთ მის ფორმალურ ვალდებულებებს ოქმის სხვა მონაწილეებსაც და მტკიცედ და გადაუხვევლად განვაგრძობთ მშვიდობიანობის პოლიტიკას. ამავე დროს ჩვენ მომავალშიაც ფხიზლად ვადევნებთ თვალყურს იმას, თუ როგორ მოიქცევიან სხვა სახელმწიფოები.

„პრავდა", 10 თებერვალი.

ჩინეთ-იაპონიის მოლაპარაკება ჩაიშალა

იაპონიის მთავრობა ისევ მოითხოვს ჩინეთისაგან თავის ძველ მოთხოვნების მიღებას

ზანგების აჯანყება საფრანგეთის ეკვატორიალურ აფრიკაში ფართოვდება

ჩინეთ-იაპონიის მოლაპარაკების ჩაშლა

„ახალი" ინსტრუქცია ტოკიოდან

შანხაი, 10 თებერვალი. 8 თებერვალს ისევ მოხდა ნაციონალური მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრის ვან ჩუენ-ტინის შეხვედრა იაპონიის ელჩთან ჩინეთში იოსიზავასთან. იოსიზავამ აცნობა ვან ჩუენ-ტინს, რომ მან ტოკიოდან მიიღო ინსტრუქცია ხელახლა გადასინჯოს მიღწეული შეთანხმება. ვან ჩუენ-ტინის პროტესტების მიუხედავად, იოსიზავა დაჟინებით დაადგა თავის ახალ პოზიციას, რის გამოც მოლაპარაკება შესწყდა.

როგორც გომინის სააგენტო აღნიშნავს, მოლაპარაკების შეწყვეტასთან ერთად, მანჯურიიდან მიღებულია ცნობები, რომლებიდანაც სჩანს, რომ იაპონია ცდილობს რაც შეიძლება დაჩქარებით დასდოს მუკდენის ხელისუფლებსთან შეთანხმება მანჯურიაში სარკინიგზო მშენებლობის საკითხების შესახებ (ადს).

იაპონური გაზეთები მოლაპარაკების ჩაშლის შესახებ

ტოკიო, 10 თებერვალი. იაპონური გაზეთები სხვადასხვანაირად ხსნიან იმ ნამდვილ მიზეზებს, რომლებმაც გამოიწვიეს ჩინეთ-იაპონიის მოლაპარაკების ჩაშლა.

„ნიცი-ნიცი" და „ასახი" შანხაიდან იუწყებიან, რომ იაპონიამ უარჰყო ჩინეთის მოთხოვნა ცზინანის ინციდენტის ერთად გამოძიების შესახებ.

„ხოცი"-ს შანხაელი კორესპონდენტის სიტყვით, მოლაპარაკება შესწყდა იმის გამო, რომ იოსიზავამ უარი განაცხადა შანდუნის პროვინციის დაცლაზე ორ თვეზე ადრე ჩინეთ-იაპონიის ხელშეკრულების დადების შემდეგ.

საგარეო საქმეთა წარმომადგენელმა სიმბუნ რენგოს სააგენტოს კორესპონდენტთან საუბრის დროს განაცხადა, რომ იაპონიას არ ესაჭიროება ჩინეთთან მოლაპარაკების დაჩქარება და, თუ ჩინეთი არ მიიღებს იაპონიის მოთხოვნებს, იოსიზავა პეიპინში (პეკინში) დაბრუნდებაო. (ადს).

დემონსტრაციები იაპონიის მთავრობის წინააღმდეგ

ტოკიო, 10 თებერვალი მინსეიტომ (ოპოზიციონურმა პარტიამ) პარლამენტში შეიტანა მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადების ვოტუმი. ამავე დროს მინსეიტომ ტოკიოს ქუჩებში მოაწყო დემონსტრაციები და მასიური მიტინგი, რომელსაც 30.000 კაცი დაესწრო. ის რაიონი, რომელშიაც პარლამენტია გარსშემორტყმულია პოლიციის გაძლიერებული რაზმებით, კამათი პარლამენტში გრძელდება.

როგორც პრესა იუწყება, მთავრობა დარწმუნებულია, რომ კენჭის ყრა მის სასარგებლოდ დამთავრდება (ადს).

იაპონიის მთავრობას ნდობა გამოუცხადეს

ტოკიო, 10 თებერვალი. იაპონიის სააგენტოს ცნობით, პარლამენტმა უარჰყო ტანაკას მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადების ვოტუმი, რომელიც შეიტანა მინსეიტომ ოპოზიციონურმა პარტიამ (ადს).

ზანგების აჯანყება აფრიკაში ფართოვდება

პარიზი, 10 თებერვალი. წინააღმდეგ ოფიციალური ცნობისა, რომ საფრანგეთის ეკვატორიალურ აფრიკაში წესრიგი აღდგენილია, „ლიუმანიტე" იუწყება, რომ ზანგების აჯანყება არა თუ არ არის ჩაქრობილი, არამედ თანდათან ფართოვდება და გადადის მდინარე საიგხას სამხრეთ რაიონში. აჯანყებულებმა მოჰკლეს რამოდენიმე ფრანგი მოხელე, დასჭრეს ევროპიელი კომერსანტები. დამსჯელი ექსპედიციების ოპერაციები გრძელდება. საფრანგეთის კონგოსა და კამერუნს შორის მიმოსვლა საშიშია.

გაზეთის სიტყვით, ეკვატორიალურ აფრიკაში გაემგზავრა კოლონიების მინისტრი მაჟინო. მინისტრს განზრახული აქვს პირადათ გაუწიოს ხელმძღვანელობა აჯანყების ლიკვიდაციას (ადს).

ბომბეიში სისხლისღვრა გრძელდება

ლონდონი, 10 თებერვ. რეიტერის სააგენტო ბომბეიდან იუწყება: „სამხედრო პატრულები ხალხს უკრძალავენ ჯგუფ-ჯგუფად შეკრებას. ქალაქში წესრიგი არ არის სავსებით აღდგენილი.

10 თებერვალს დილით მოხდა შეტაკებები. ინდოელები თავს დასხნენ მუსლიმანთა სამგლოვიარო პროცესიას. ადგილი ჰქონდა აგრეთვე მუსლიმანთა თავდასხმას ინდოელებზე. 9 და 10 თებერვალს მომხდარი შეტაკების დროს მოკლული იქნა 33 კაცი, დაიჭრა 92.

10 თებერვალს ღამით წესრიგი აღდგენილ იქნა. ქუჩები ცარიელია. სიწყნარეა თითქმის ყველა რაიონში. ქუჩებში დადიან სამხედრო პატრულები

სარეპარაციო კომისია შეუდგა „მუშაობას"

ოუენ იუნგი — რეპარაციების გადამსინჯველ ექსპერტთა კომისიის თავმჯდომარე

პარიზი, 10 თებერვალი. შესდგა რეპარაციების გადამსინჯველ ექსპერტთა კომისიის წევრების ნახევრადოფიციალური სხდომა. სხდომამ ერთხმად წამოაყენა კომისიის თავმჯდომარედ ამერიკელი ექსპერტი ოუენ იუნგი. გადასწყდა — გამოიყოს ქვეკომისია, რომელმაც უნდა შეისწავლოს გერმანიის გადამხდელ - უნარიანობისა და გერმანიის ვალის კომერციალიზაციის საკითხი.

ამერიკელთა წრეებში ფიქრობენ, რომ იუნგი უთუოდ დათანხმდება იკისროს კომისიის თავმჯდომარეობა, თუმცა წინასწარ კულიჯს შეეკითხება. (ადს).

ინგლისის ახალი პრეტენზიები ბახრეინზე

თეირანი, 10 თებერვალი. გაზეთები აღშფოთებას გამოსთქვამენ იმის გამო, რომ ინგლისელებმა განკარგულება გასცეს—ბახრეინის კუნძულებზე გაშვებულ იქნან მხოლოდ ისეთი პირები, რომლებსაც აქვთ ინგლისური ვიზა, მაშინ, როდესაც ეს კუნძულები სადავოა ინგლისსა და სპარსეთს შორის.

გაზეთები ამტკიცებენ, რომ ეს კუნძულები წარმოადგენენ სპარსეთის ტერიტორიას, და პროტესტს აცხადებენ „ინგლისელების ახალი პრეტენზიების გამო ბახრეინის კუნძულებზე" (ადს).

ინგლისის მთავრობის თვითნებობა ავღანისტანში

სტამბოლი, 10 თებერვალი. გაზეთ „მილიეთ"-ის კორესპონდენტთან საუბარში ავღანისტანის ელჩმა (ანგორაში) აღშფოთება გამოსთქვა ინგლის-ინდოეთის მთავრობას თვითნებური მოქმედების გამო.

„ინგლისის აეროპლანები,—განაცხადა ელჩმა,—ყოველ დღე დაფრინავენ ჩვენი დამოუკიდებელი ქვეყნის ტერიტორიაზე, ნუ თუ ინგლისის მთავრობას, რომელმაც ოფიციალურად განაცხადა, რომ ის არ ჩაერევა ავღანისტანის შინაურ საქმეებში. შეუძლია ჩაიდინოს ისეთი აქტები, რომელნიც ეწინააღმდეგებიან საერთაშორისო უფლებას? ვინ მისცა ინგლისს უფლება გაგზავნოს აეროპლანები იმ ქვეყანაში, რომელიც თავისი ტერიტორიის ფარგლებში იბრძვის ცივილიზაციისათვის?

დევილას გამგზავრება

ვარშავაში

მოსკოვი, 11 თებერვალი. 11 თებერვალს საღამოთი ვარშავაში დაბრუნდა რუმინეთის ელჩი პოლონეთში დევილა, რომელმაც რუმინეთის სახელით ხელი მოაწერა ოქმს კელოგის პაქტის ვადამდე ძალაში შესვლის შესახებ. (ადს).

კრიტიკის აკრძალვა

ესპანეთში

პარიზი, 10 თებერვალი. მადრიდში გამოქვეყნდა მეფის დეკრეტი, რომელიც წინადადებას იძლევა დაპატიმრებულ იქნას ყველა ის, ვინც აკრიტიკებს მთავრობას და უმაღლეს მოხელეებს, აგრეთვე ის, ვინც საჯაროდ აცხადებს, რომ მომხდარმა ამბებმა ზარალი მიაყენეს სახელმწიფოსო. დეკრეტის თანახმად, დახურულ უნდა იქნას ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომლის წევრები მონაწილეობას იღებდნენ პოლიტიკური საკითხების განხილვაში. (ადს).

ტერორი კოლუმბიაში

ნიუ-იორკი, 10 თებერვალი. როგორც „ასოშიეიტედ პრეს"-ის სააგენტო ბოგოტიდან იუწყება, კოლუმბიის მთავრობამ გამოაქვეყნა კომუნიკე „კომუნისტური შეთქმულების აღმოჩენის შესახებ". დაპატიმრებულია 20 კაცი, მათ შორის სოციალისტურ- რევოლუციონური პარტიის ბელადებიც. დაპატიმრებულებმა შიმშილობა გამოაცხადეს (ადს).

გერმანელი მენშევიკები უარს ამბობენ უმუშევართა დახმარებაზე

ბერლინი, 10 თებერვალი. რეიხსტაგის 8 თებერვლის სხდომამ ერთხელ კიდევ გამოააშკარავა სოციალ-დემოკრატიული პარტიის მანევრები უმუშევართა დახმარების საკითხში. რეიხსტაგის კომფრაქციამ განსახილველად წარადგინა წინადადება უმუშევართათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ. პირველად ეს წინადადება შეტანილი იქნა სოციალ-დემოკრატების მიერ. მემარჯვენე და მემარცხენე სოციალ-დემოკრატებმა დეპუტატებმა სახელობითი კენჭის ყრის დროს ხმა მისცეს საკუთარი წინადადების წინააღმდეგ, და მემარჯვენე პარტიების დახმარებით წინადადება უარყოფილ იქნა.

კენჭის ყრის შედეგების გამოცხადების შემდეგ ტრიბუნაზე მოულოდნელად ავიდა ერთი უმუშევარი, რომელმაც გამოსთქვა უმუშევართა მილიონი მასის აღშფოთება სოციალ-დემოკრატების საქციელის გამო. უმუშევარი 10 წუთის განმავლობაში ლაპარაკობდა და ბრალდებებს უყენებდა სოციალ-დემოკრატებს. სოციალ-დემოკრატიული პარტიის დეპუტატები კი გაქვავებულნი იდგნენ სხდომა შესწყდა. შემდეგ სამოქალაქო ტანისამოსგადაცმული პოლიციელები გარს შემოერტყნენ უმუშევარს და გაათრიეს დარბაზიდან.

კომფრაქციის ორატორმა რედელმა აღნიშნა, რომ სოციალ-დემოკრატებმა არა თუ უკან წაიღეს თავიანთი საკუთარი წინადადება, რომლის მიღებაც უზრუნველყოფილი იყო ცენტრის ფრაქციის დახმარებით, არამედ თავიანთი პარტიული ამხანაგის სოციალ-დემოკრატ მინისტრის პირით განაცხადეს, რომ უმუშევართა დასახმარებლად თვიურად გათვალისწინებული 7 მილიონი მარკის ნაცვლად ისინი გაიღებენ მხოლოდ 3 მილიონ მარკას.

პოლიტიკურ წრეებში დიდი ინტერესი გამოიწვია ცენტრის ფრაქციის პოზიციამ. ცენტრის ფრაქციამ თავისი სამ ორატორის პირით დაუზოგავად გამოააშკარავა სოციალ-დემოკრატიული პარტიის მანევრები, რითაც სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია მეტად უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა.

პოლიტიკურ წრეებს რეიხსტაგში 8 თებერვალს მომხდარი კამათი მიაჩნიათ გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის უდიდეს პოლიტიკურ დამარცხებად (ადს).

ამხ. სიპულას სიტყვა პოლონეთის სეიმში

ვარშავა, 10 თებერვალი. სეიმში სამხედრო სამინისტროს ბიუჯეტის გარშემო გამართული კამათის დროს ვრცელი სიტყვით გამოვიდა კომუნისტი დეპუტატი სიპულა, რომელმაც აღნიშნა, რომ პოლონეთის სამხედრო ბიუჯეტი არაჩვეულებრივის სისწრაფით იზრდებაო.

„მაისში მომხდარ გადატრიალებამდე,—სთქვა სიპულამ,—სამხედრო სამინისტროს ხარჯები მთელი ბიუჯეტის 40 პროცენტს შეადგენდა. ეხლა სამხედრო ხარჯები უფრო გაიზარდა, ამასთან სამხედრო სამინისტროს ფაქტიური ხარჯები საგრძნობლად აღემატება ასიგნობებს. სხვადასხვა სამინისტროს სადუმლო ფონდებისათვის გადადებულია 27 მილიონი ზლოტი; ამ ფონდების დიდი ნაწილი სამხედრო ჯაშუშობის ორგანიზაციას ხმარდება, თუ ამას მივუმატებთ სამხედრო ხარჯებს, რომლებიც გათვალისწინებულია სხვადასხვა სამინისტროს ხარჯთაღრიცხვაში, დავინახავთ, რომ სამხედრო საქმეზე იხარჯება პოლონეთის მთელი ბიუჯეტის ნახევარი.

იმპერიალიზმის მთელი სიმძიმე მშრომელ მასებს აწვება. რადგან პოლონეთის ბურჟუაზიის ბატონობას საფუძვლად უდევს ძალადობა, მტაცებლობა და დამონებულ ეროვნებათა ჩაგვრა. მაგრამ პოლონეთის ბურჟუაზია ვერ შესძლებს საშინელ სიღატაკეში ამყოფოს პროლეტარიატი იმ დროს, როცა საზღვრის მეორე მხარეზე საბჭოთა კავშირის მუშები ფაბრიკა-ქარხნების ბატონ-პატრონები არიან. პოლონეთის მემამულეები ვერ შესძლებენ მრავალი მილიონი გლეხობის დაუსრულებელ ჩაგვრას, ვინაიდან პოლონეთის ბურჟუაზია საკუთარი ბოროტმოქმედებისა და ძალადობის სიმძიმის ქვეშ გაიხრიჩება. საბჭოთა კავშირის მუშებისა და გლეხების ცოცხალი მაგალითი პოლონეთში მცხოვრებ პოლონელ, უკრაინელ და ებრაელ მშრომელ მასებს დაანახვებს გზას განთავისუფლებისაკენ. ამიტომ პოლონეთის ბურჟუაზიას საბჭოთა კავშირის არსებობა უდიდეს საფრთხედ მიაჩნია თავისთვის, იგი ემზადება სისხლში ჩაახრჩოს საერთაშორისო სოციალისტური რევოლუციის ეს დასაყრდენი. ყოველმა მუშამ და გლეხმა იცის, რომ პილსუდსკის ფაშისტური მთავრობა იარაღია დიდი იმპერიალისტური სახელმწიფოების ხელში, რომელნიც ამზადებენ სამხედრო ლაშქრობას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. პოლონეთის მუშები და გლეხები მედგარ წინააღმდეგობას გაუწევენ ამ განზრახვებს. ჯარისკაცთა მასებმა იციან, რომ მხოლოდ მუშათა, გლეხთა და დაჩაგრულ ეროვნებათა კავშირს შეუძლია იხსნას ისინი ჩაგვრისა და პანების მიერ შექმნილ საპატიმროებისაგან. როცა ბრძოლის საათი დაჰკრავს, სამხედრო ფორმაში გამოწყობილი პოლონეთის პროლეტარები ხელს გაუწვდიან საბჭოთა კავშირის პროლეტარებს" (ადს).

გომინდანის აღმასკომის შიში

შანხაი, 10 თებერვალი. გომინდანის აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა—სუნ იატ-სენის ნეშტის ნანკინიდან გადატანა გადასდოს 1 ივნისისათვის, რასაც იმით ასაბუთებს, რომ ჯერ კიდევ არ დამთავრებულა სუნ-იატ-სენის მავზოლეისაკენ მიმავალი ქუჩის გაყვანა.

რეიტერის სააგენტო კომენტარიებს უკეთებს ამ გადაწყვეტილებას და აღნიშნავს, რომ იგი გამოწვეულია პოლიტიკური მოტივებით და იმის შიშით, რომ ვან ცზინ-ვეი და მემარცხენე ფრთის სხვა წარმომადგენელნი სუნ იატ-სენის აღსანიშნავ ზეიმზე დასწრების საბაბით ნანკინში ჩამოვლენ მარტში, გომინდანის ყრილობის დროს, და მონაწილეობას მიიღებენ ყრილობის მუშაობაში. ეს კი ეჭვი არ არის, სერიოზულ პოლიტიკურ კრიზისს გამოიწვევს ჩინეთში. გომინდანის ლიდერებს იმედი აქვთ, რომ, თუ სუნ იატ-სენის ნეშტის დაკრძალვა გადაიდო, ვან ცზინ-ვეი და მისი მომხრენი ჩინეთში მოვლენ ყრილობის დამთავრების შემდეგ (ადს).

ბულგარეთ-სამხრეთ-სლავიის საზღვრების გახსნა

ვენა, 10 თებერვალი. როგორც ბელგრადიდან იუწყებიან, სამხრეთ-სლავიის მთავრობამ გახსნა ბულგარეთ-სამხრეთ-სლავიის საზღვარი, რომელიც დაიხურა 1927 წლის ოქტომბერში მაკედონელთა ორგანიზაციების ტერორისტული აქტების გამო სამხრეთ-სლავიის ტერიტორიაზე (ადს).

რუმინელ მემამულეების განუხორციელებელი ოცნება

ვენა, 10 თებერვალი. ბუქარესტიდან მიღებული ცნობით, რუმინეთის ბესარაბიის საქმეთა მინისტრი ხალიპა ლიტვინოვის ოქმზე ხელის მოწერის შესახებ ესაუბრა გაზეთ „კურენტა"-ს წარმომადგენელს. ხალიპამ განაცხადა, რომ რუმინეთის მთავრობა საბჭოთა კავშირთან ურთიერთობას აღადგენს იმ შემთხვევაში, თუ საბჭოთა კავშირი გარკვევით და გადაჭრით სცნობს, რომ ბესარაბია რუმინეთს ეკუთვნისო (ადს).

ლოიდ-ჯორჯი სტამბოლში მიემგზავრება

თურქეთის პრესის პროტესტი

სტამბოლი, 10 თებერვალი. გაზეთი „ჯუმხურიეთ"-ი სასტიკ პროტესტს აცხადებს იმის გამო, რომ ლოიდ-ჯორჯს განზრახული აქვს სტამბოლში ჩავიდეს.

„რა უნდა ლოიდ-ჯორჯს,—სწერს გაზეთი,—იმ ქვეყანაში, რომელიც მას უნდოდა გადაექცია აფრიკის მსგავს კოლონიად? რა უნდა მას იმ ქალაქში რომელიც წლების განმავლობაში განიცდიდა ინგლისელ პოლიციელთა ძალადობას? ასეთი თავხედობის გამო ჩვენ უნდა განვაცხადოთ: „დეე ლოიდ-ჯორჯი სტამბოლის ნაცვლად გაემგზავროს ათინაში" (ადს).

მოლაპარაკება ამერიკის ფირმების წარმომადგენლებთან

მოსკოვი, 11 თებერვალი. ტრესტი „ენერგოსტროი", „გლაველექტრო"-ს დავალებით ამერიკის დიდი ფირმის „ჯენერალ ელექტრიკ კომპანი"-ის წარმომადგენელთან (რომელიც ამჟამად მოსკოვში იმყოფება) აწარმოებს მოლაპარაკებას ელექტრო-სადგურების აგებაში ტეხნიკური დახმარების ორგანიზაციის შესახებ. როგორც მოლაპარაკებიდან გამოირკვა, ფირმის წარმომადგენლები დაინტერესებულნი არიან იმით, რომ საბჭოთა კავშირში აგონ ერთი დიდი ელექტრო-სადგური, რომელიც მოწყობილი იქნება უახლესი ამერიკული ტეხნიკის მანქანებით. ეს სადგური თვალნათლივ გააცნობს საბჭოთა ინჟინრებს, თუ რა უპირატესობანი აქვს იმ მეთოდებს, რომლებსაც ამერიკაში იყენებენ ელექტროსადგურების ასაგებად.

ამერიკული ფირმების წინადადებას იხილავენ სათანადო საბჭოთა დაწესებულებებში, რათა გამორკვეულ იქნას ამ წინადადების დადებითი მხარეები ჩვენი ელექტრო-მშენებლობისათვის (ადს).

ღონისძიებანი ლითონის მრეწველობის განვითარებისათვის

მოსკოვი, 11 თებერვალი. საბჭოთა კავშირის ს.მ.უ. საბჭო, სათანადო დირექტივების შესასრულებლად, ყოველ ზომას იღებს შავი მეტალურგიის მაქსიმალური განვითარებისათვის.

მიმდინარე სამეურნეო წელს პირველი პროგრამის 270.000 ტონით გადიდების გამო სულ გამოშვებულ იქნება 4.074.000 ტონა თუჯი, გასულ წელს დამზადებულ 3.281.000 ტონის ნაცვლად. შავი მეტალურგიის ახალ საწარმოთაგან მიმდინარე წელს ნაწილობრივ ამუშავდება ქერჩის ქარხანა, იწყება აგრეთვე ორი გიგანტის მშენებლობა —მაგნიტოგორის (660.000 ტონა წლიური პროდუქციით) და კუზნეცკის (330.000 ტონა წლიური პროდუქციით) ქარხნების აგება.

სულ შავი მეტალურგიის დარგში განზრახულ მშენებლობაზე ხუთი წლის განმავლობაში ნავარაუდევია 2 მილიარდი მანეთის დახარჯვა (ადს).

სასოფლო-სამეურნეო მანქანების მშენებლობა

მოსკოვი, 11 თებერვალი. საბჭოთა კავშირის ს.მ.უ. საბჭომ აცნობა ამხ. რუძუტაკს, რომ ტრესტები საკმაოდ წარმატებით ასრულებენ მათთვის მიცემულ დავალებას სეზონური სასოფლო-სამეურნეო მანქანების დამზადების საქმეში. შესრულებულია ნახევარი წლის დავალების 96—100 პროცენტი. მანქანების მიმწოდებელ სავაჭრო ორგანიზაციების განცხადებები იმის შესახებ, რომ მრეწველობამ „ჩაშალა" სასოფლო-სამეურნეო მანქანების მშენებლობის გეგმა, სინამდვილეს არ შეეფერება.

ამას წინად ამხ. რუძუტაკმა წინადადება მისცა საბჭოთა კავშირის ს.მ.უ. საბჭოს—გამოერკვია იმის მიზეზები, რომ მომავალი თესვის კამპანიისათვის ტრიერები საკმაოდ და თავის დროზე არ არის გამოშვებული.

საპასუხო წერილში ს.მ.უ. საბჭო აღნიშნავს, რომ ტრიერების დამზადება პირველად დაიწყო მიმდინარე წელს ვორონეჟის ქარხანა „ტრიერ"-ში. საქმის სიახლის გამო პირველი წლის პროგრამა განისაზღვრა 3.000 ცალით, თუმცა ქარხანას ერთ წყებად მუშაობით შეუძლია წლიურად დაამზადოს 6.000 ცალი ტრიერი. შემდეგში ს.მ.უ. საბჭომ შესაძლებლად სცნო ქარხნის წლიური პროგრამის აყვანა 7,800 ცალამდე (მეორე და მესამე წყების შემოღებით), ხოლო პირველ ნახევარ წელიწადში ქარხანამ უნდა დაამზადოს 1.800 ცალი ტრიერი. 26 იანვარს ქარხანამ უკვე ჩააბარა 717 ტრიერი. მიღებულია ზომები ქარხნის უზრუნველსაყოფად საჭირო მასალით და უცხოეთიდან შემოსატანი მოწყობილობით. მოსალოდნელია, რომ წლის პირველი ნახევრის პროგრამა მთლიანად შესრულდება. (ადს).

უკანასკნელი ცნობები

ინგლის-საბჭოთა კავშირის სავაჭრო ურთიერთობისათვის

ლონდონი, 9 თებერვალი. რეიტერის სააგენტო იტყობინება: „გამოჩენილი კანადელი საზოგადო მოღვაწე და მრეწველი პოლკოვნიკი მაკკი, 4 თვის განმავლობაში საბჭოთა კავშირში ყოფნის შემდეგ გავიდა ლივერპულიდან კანადისაკენ.

1921 წლიდან პოლკოვნიკი მაკკი საბჭოთა კავშირში ყოფილა 16-ჯერ და ყოველთვის რჩებოდა იქ არანაკლებ სამ-სამი თვისა. ამ ხნის განმავლობაში სწავლობდა შექმნილ მდგომარეობას. პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს მაკკიმ განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირში უპირატესობას აძლევენ ინგლისურ საქონელს, განსაკუთრებით ინგლისურ მანქანებს, ვიდრე სხვა ქვეყნების პროდუქციას.

მაკკის აზრით, არსებობს ყოველგვარი პირობა იმისათვის, რომ გაფართოებულ იქნეს ინგლის-საბჭოთა კავშირის სავაჭრო ურთიერთობა. საბჭოთა კავშირში მიმავალი ინგლისელი მრეწველების დელეგაცია თვითონ დარწმუნდება ამაში (ადს).

დადგენილება მუშაობის შეწყვეტის შესახებ

ბერლინი, 11 თებერვალი. დასავლეთ გერმანიის საფეიქრო დარგის მუშების ცენტრალურმა გაერთიანებამ ელბერფელდში და ბარმენში მოწვეულ ორ უკანასკნელ პლენარულ სხდომაზე მიიღო დადგენილება იმის შესახებ, რომ ყველა იმ წარმოებების მუშებმა, სადაც გატარებულია ხელფასის შემცირება, შესწყვიტონ მუშაობა (ადს).

გერმანიის პრესა მოსკოვის ოქმზე ხელის მოწერის შესახებ

ბერლინი, 10 თებერვალი. გერმანიის გაზეთების უმრავლესობა უკომენტარიოთ აქვეყნებს ცნობას მოსკოვის ოქმზე ხელის მოწერის შესახებ. ბერლინის საქმიანი წრეების ორგანო „ბერლინერ ბერზენ კურიერ" ოქმზე ხელის მოწერის გამო აღნიშნავს:

„პოლონეთმა აშკარათ გამოიჩინა შიში იმის გამო, რომ რუმინეთს შეეძლო ოქმზე ხელის მოწერისას მოლაპარაკებოდა საბჭოთა მთავრობას ბესარაბიის საკითხის შესახებ. პოლონეთი შიშობდა, რომ მოსკოვის ოქმი აღმოჩნდებოდა მეტის მეტად მშვიდობიანობის აქტი. მიუხედავად ამისა, პოლონეთმა ვერაფრით შესძლო ლიტვინოვის მშვიდობიანობის აქტის მორალური ძლიერების შესუსტება".

ესტონეთის პრესა მოსკოვის ოქმზე ხელის მოწერის შესახებ

რეველი, 11 თებერვალი. ესტონეთის მთელი პრესა კმაყოფილების გრძნობით აქვეყნებს ცნობებს მოსკოვის ოქმზე ხელის მოწერის შესახებ. პრესა ხაზგასმით აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ ოქმზე ხელის მოწერაში მონაწილეობა მიიღო აგრეთვე ლატვიამ (ადს).

ამანულას დასახმარებლად

ბერლინი, 10 თებერვალი. ბერლინში მყოფი ავღანისტანის მისიის ცნობით—გერათის მაიმანის და კატგორის პროვინციების მოსახლეობამ იმ მიზნით, რომ დაადასტუროს თავისი სურვილი ამანულას ხელისუფლების აღდგენის შესახებ, შეკრიბა და გაგზავნა ამანულას განკარგულებაში 10-დან 15 ათას მეომრამდე თვითეული პროვინციიდან.

საკავშირო საარჩევნო კომისიის რეზოლიუციები

ა.-კ. ცაკის პრეზიდიუმის მოხსენების გამო

მოსკოვი, 11 თებერვალი. „საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმის ცენტრ. საარჩევნო კომისიამ მოისმინა ა.-კავკასიის ცაკის წარმომადგენლის ამხ. დოლიძის მოხსენება საბჭოთა საარჩევნო კამპანიის მსვლელობის შესახებ ა.-კავკასიაში, დამაკმაყოფილებლად ჩასთვალა ა.-კავკასიის ცაკის მუშაობა საარჩევნო კამპანიის საქმეში და მოიწონა ის ღონისძიებანი, რომელთა მიზანი იყო ზომების დროზე მიღება კამპანიის განვითარებისათვის და მის დაკავშირებისათვის პოლიტიკურ, სამეურნეო და საყოფა-ცხოვრებო საკითხებთან, მან მოიწონა აგრეთვე ა.-კავკასიის ყველა ეროვნების ჩაბმა ამ საკითხების განხილვაში.

ცენტრ. საარჩევნო კომისიამ განსაკუთრებით აღნიშნა მოკლევადიანი სემინარების ორგანიზაცია სოფლად დასაგზავნი აქტივისტების მოსამზადებლად, უბნების მაქსიმალურად დაახლოვება ამომრჩევლებთან, რაც ხელს უწყობს მეტი ამომრჩევლის დასწრებას საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე, მასიური ლიტერატურის გამოცემა ეროვნულ ენებზე და სხვ.

დადებით მხარეებთან ერთად ცენტრ. საარჩევნო კომისიამ აღნიშნა შემდეგი დეფექტებიც:

1. ა. კავკასიის ფედერაციაში შემავალი რესპუბლიკების ზოგიერთ რაიონებში სწორედ არ ესმით საშუალო გლეხების როლი და ისინი საკმაოდ არ არიან ჩაბმულნი საარჩევნო კომისიებში.

2. პროფესიონალურმა ორგანიზაციებმა და უჯრედებმა სუსტი მონაწილეობა მიიღეს საანგარიშო კამპანიის პირველ პერიოდში.

3. ა.-კავკასიის ზოგიერთ რაიონში ეროვნულ უმცირესობებისათვის საკმაო მუშაობა არ სწარმოებდა და საკმაოდ ვერ იქნენ ისინი ჩაბმულნი საარჩევნო კომისიებსა და საარჩევნო კამპანიაში.

4. საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმის მიერ საჭიროდ ცნობილი ინფორმაცია დროზე არ იქნა წარმოდგენილი, რადგან იგი არ წარუდგენია ა.-კავკასიის ფედერაციაში შემავალი რესპუბლიკების უმრავლესობას.

ზემოთ აღნიშნულის გამო საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმის ცენტრ. საარჩევნო კომისია წინადადებას აძლევს ა.-კავკასიის ფედერაციაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრ. აღმასრ. კომიტეტების საარჩევნო კომისიებს—ყურადღება მიაქციონ აღნიშნულ დეფექტების თავიდან აცილებას და შემდეგში არ შეანელონ მუშაობა საარჩევნო კამპანიის საქმეში" (ადს).

აზერბეიჯანის ცაკის პრეზიდიუმის მოხსენების გამო

მოსკოვი, 11 თებერვალი. აზერბეიჯანის ცაკის პრეზიდიუმის მოხსენების გამო ცენტრ. საარჩევნო კომისიამ შემდეგი რეზოლიუცია მიიღო:

„საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმის ცენტრ. საარჩევნო კომისიამ მოისმინა საბჭოთა აზერბეიჯანის ცაკის საარჩევნო კომისიის წარმომადგენლის ამხ. ალი მამედოვის მოხსენება საბჭოთა არჩევნების კამპანიის მსვლელობის შესახებ და დამაკმაყოფილებლად ჩასთვალა აზერბეიჯანის ცაკის ცენტრ. საარჩევნო კომისიის მუშაობა საარჩევნო კამპანიის ჩატარების საქმეში. კერძოდ, აღნიშნა საორგანიზაციო-სააგიტაციო მუშაობის თვალსაჩინო გაშლა-განვითარება, ეროვნულ უმცირესობათათვის სწორი მუშაობა, მათი ჩაბმა საარჩევნო კამპანიაში, ზომების დროზე მიღება საარჩევნო კომისიების შემადგენლობის გასაუმჯობესებლად, მოკლევადიანი სემინარების დროზე მოწყობა საარჩევნო კომისიების მუშაკთა მოსამზადებლად, ყველა საზოგადოებრივი და პროფესიონალური ორგანიზაციის ჩაბმა კამპანიაში, მუშაკთა ბრიგადების ფართოდ დაგზავნა ბაქოდან სოფლად, ორგანიზაციულად ჩატარებული შეჯიბრება ქალაქისა და სოფლის საბჭოებს შორის და სხვა. გარდა ამისა, ცენტრ. საარჩევნო კომისიამ აღნიშნა სოფლის საბჭოების შემადგენლობის (წინასწარი ცნობების მიხედვით) გაუმჯობესება წარსულ წელთან შედარებით, რაც გამოიხატება იმაში, რომ საბჭოებში სწორედ არიან წარმოდგენილნი მოჯამაგირეები, ღარიბი და საშუალო გლეხები.

ამასთან ერთად საბჭოთა კავშირის ცაკის ცენტრ. საარჩევნო კომისიამ აღნიშნა შემდეგი დეფექტები:

1. აზერბეიჯანის ცაკმა დაარღვია საბჭოთა კავშირის ცაკის საარჩევნო ინსტრუქცია.

2. სხვადასხვა ადგილას საშუალო გლეხები საკმაოდ არ იყვნენ ჩაბმულნი საარჩევნო კომისიებში.

წინადადება მიეცეს აზერბეიჯანის ცაკს, რომ თავისი საარჩევნო ინსტრუქცია შეუფარდოს საბჭოთა კავშირის ცაკის ინსტრუქციას". (ადს).

მშრომელი ებრაელების მიწადმოწყობა

მოსკოვი, 11 თებერვალი. საკავშირო სახ. კომისართა საბჭომ ამ დღეებში განიხილა ამერიკელ ებრაელთა საზოგადოების წინადადება იმის შესახებ, რომ იგი საბჭოთა მთავრობას 17 წლის ვადით მისცემს 9 მილ. დოლარის სესხს მშრომელ ებრაელთა მიწადმოწყობისათვის. სახ. კომისართა საბჭომ მოიწონა მშრომელ ებრაელთა მიწათმომწყობი კომიტეტის პროექტი ამერიკულ საზოგადოებასთან ხელშეკრულების დადების შესახებ (ადს).

უკრაინის ხელოვნების მუშაკები მოსკოვში

მოსკოვი, 11 თებერვალი. 9 თებერვალს მოსკოვში ჩამოვიდა უკრაინელი მწერლების, არტისტებისა და კომპოზიტორების მეორე ჯგუფი 40 კაცის შემადგენლობით.

დიდი ყინვის მიუხედავად, უკრაინელი სტუმრების შესახვედრად კურსკის სადგურზე თავი მოიყარა დიდძალმა ხალხმა ორი ორკესტრით და პლაკატებით. საბჭოთა მწერლების ფედერაციის მიერ გამოყოფილი კომიტეტის სახელით უკრაინელ სტუმრებს მიესალმა ამხ. კერჟენცევი (ადს).

ზამთარი საბჭოთა კავშირში

ჟიტომირი, 11 თებერვალი. ყინვა 34 გრადუსს აღწევს. დიდი ყინვების გამო შემჩნეულია ძაღლების მასიური გაცოფება. უკანასკნელ დღეებში აღნიშნულია დაკბენის 100 შემთხვევა (ადს).

ლენინგრადი, 11 თებერვალი. მთავარი გეოფიზიკური ობსერვატორიის ცნობებით, დაახლოვებით 12 თებერვალს მოსალოდნელია ამინდის საგრძნობი გაუმჯობესება (ადს).

ნახიჩევანის განათლების სახ. კომისარის ბოროტმოქმედებანი

ნახიჩევანი, 10 თებერვალი. ადგილობრივმა გაზეთმა „შარქ კაპისმა" გამოააშკარავა ნახიჩევანის ოლქის განათლების სახ. კომისარის ჰასან ზადეს მოქმედება. ჰასან ზადე თანამშრომლებს ურიგებდა ავანსებს, არღვევდა საბიუჯეტო დისციპლინას, მან დაიჭირა რამდენიმე ოთახიანი საუკეთესო ბინა, სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკუმის მოწაფეებს კი იმ დროს სადგომი არა ჰქონდათ; დაურიგა თავის ნაცნობებსა და ნათესავებს რკინის ტახტები, მოწაფეებს კი იატაკზე ეძინათ და სხვ. სახ. კომისართა საბჭომ ჰასან ზადე სამუშაოდან მოხსნა. მის ნაცვლად დანიშნა ამხ; ნამაზოვი. (ადს).

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ამხ. ლუნაჩარსკი გრიბოედოვის შესახებ.

მოსკოვი, 11 თებერვალი. მოსკოვის ყველა გაზეთებმა საგანგებოთ აღნიშნეს ასი წლის თავი პოეტ ა. გრიბოედოვის გარდაცვალებიდან.

„პრავდა"-ს დღევანდელ ნომერში მოთავსებულია ამხ. ა. ლუნაჩარსკის წერილი: სათაურით— „ალექსანდრე სერგის ძე გრიბოედოვი". თავის წერილში ამხ. ლუნაჩარსკი აღნიშნავს იმ ტრაგიკულ მდგომარეობას, რომელშიაც მოექცა პოეტი გრიბოედოვი. ის იყო ბრწყინვალე დიპლომატი, იმდროინდელ პროგრესიულ საზოგადოებრიობის წარმომადგენელი, და ამავე დროს მეფის მთავრობის დაპყრობის პოლიტიკის გამტარებელი, მდგომარეობით მოძალადე კოლონიზატორი, რომელიც ზოგჯერ პოლიციელის ფუნქციებსაც ასრულებდა.

გრიბოედოვი არ მომკვდარა თანამედროვეობისათვის. მისი ტიპები დღესაც ცოცხალია. გრიბოედოვის ნაწარმოებები ეხლაც ცხოველმყოფელ როლს თამაშობს ახალი საზოგადოების განვითარება- განმტკიცების საქმეში. ბრძოლა ძველისა და დახავსებულის წინააღმდეგ— ასეთია გრიბოედოვის შემოქმედების სოციალური კვანძი და ეს უკვდავყოფს მას, როგორც მწერალს, როგორც პროგრესიულ მოაზროვნეს.

მშენებელთა კავშირის მოსკოვის ახალი საგუბერნიო განყოფილების გამგეობა

მოსკოვი, 11 თებერვალი. მშენებელთა კავშირის მოსკოვის საგუბერნიო საგანგებო ყრილობამ სავსებით მოიწონა ის ნაბიჯები, რომელიც გადადგმულ იქნა „კაბუკი"-ს ორგანიზაციის გამოსამჟღავნებლად. ყრილობამ აირჩია კავშირის საგუბერნიო განყოფილების ახალი გამგეობა, რომელიც უმთავრესად (70 პროცენტი) შესდგება მუშებისაგან.

ახალი გამგეობა უკვე შეუდგა საქმეს. მუშაობა ნორმალურ პირობებში მიმდინარეობს. „კაბუკი"-ს ნაშთები მშენებელთა კავშირის მოსკოვის საგუბერნიო განყოფილებაში საბოლოოდ აღმოფხვრილია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკავშირო მთავრობის დადგენილება

მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადზე და საშუალო გლეხთა დაბეგვრის შემსუბუქების შესახებ

მოსკოვი, 9 თებერვალი. სოფლის მეურნეობის განვითარებაში უკანასკნელი წლების განმავლობაში მიღწეულ იქნა თვალსაჩინო წარმატება: გაფართოვდა ნათესის სივრცე, განსაკუთრებით ტეხნიკური კულტურების ნათესისა, ფართოდ გავრცელდა მრავალმინდვრიანი სისტემა, გაიზარდა მესაქონლეობა, გაიზარდა სოფლის მეურნეობის უზრუნველყოფა მანქანებით, საგრძნობლად წაიწია წინ გლეხობის შეკავშირებამ კოოპერაციაში, კერძოდ, გადიდდა კოლმეურნეობათა რიცხვი და სხვ. მაგრამ ეს წარმატება საკმაო არ არის იმისათვის, რომ დაკმაყოფილებულ იქნან ქალაქისა და სოფლის სწრაფად გაზრდილი მოთხოვნილებანი სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე. მარცვლეულის ნათესების არა საკმაოდ ზრდა, მეტად მცირე მოსავლიანობასთან ერთად, აფერხებს მოსახლეობისათვის პურის მიწოდების საქმეს, ხოლო პურის გატანა საზღვარგარედ სავსებით შესწყდა. საბჭოთა კავშირის მთავრობას საჭიროდ მიაჩნია მოკლე ხანში აუცილებლად დაჩქარებულ იქნას სოფლის მეურნეობის განვითარება. საბჭოთა კავშირის წინაშე მიმდინარე წელს სდგას შემდეგი ამოცანა: ნათესი სივრცე გაფართოებულ იქნას—6—7 მილიონი დესეტინით მაინც, ხოლო მოსავლიანობის სივრცე გადიდებულ იქნას 3 პროც.-ით მაინც. სოფ. მეურნ. განსაკუთრებით მეტად ჩამორჩენილი მარცვლ. მეურნ. განვითარების დასაჩქარებლად მთავრობამ განახორციელა სხვადასხვა ზომა: გადიდებულ იქნა დასამზადებელი ფასები პურზე, ამასთან მთავრობამ გადასწყვიტა არ შეამციროს ეს ფასები მომავალ სამეურნეო წელს. სოფლის მეურნეობისათვის სახელმწიფო ბიუჯეტით 1928—29 წელს გადადებულია 600 მილიონი მანეთი, ნაცვლად წარსული წლის 300 მილიონ მანეთისა.

ფართოდ განვითარდა ნათესების კონტრაქტაცია, მომატებულია თანხები სასოფლო-სამეურნეო კრედიტისათვის, სასოფლო-სამეურნეო მანქანების დამზადება მიმდინარე წელს ფართოვდება იმდენად, რომ იგი ერთი-სამად აღემატება ომის წინადროინდელი დამზადების დონეს, საგრძნობლად გაიზარდა დახარისხებული თესლის და მინერალური სასუქის მიწოდება სოფლის მეურნეობისათვის, ფართოვდება დახმარება კოლმეურნეობათათვის და ეწყობა ახალი საბჭოთა მეურნეობანი გლეხთა გამოუყენებელ მიწებზე. გადამჭრელი წარმატებების მიღწევა სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ გლეხობის ღარიბი და საშუალო მასები აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ თავიანთ მეურნეობის გაფართოებაში.

გლეხურ მეურნეობათა განვითარებისათვის ხელის შესაწყობად, საბჭოთა კავშირის ცაკი და სახკომსაბჭო, გლეხობის საერთო რიცხვიდან 35 პროც. ღარიბების გადასახადისაგან განთავისუფლებასთან და კოლექტივებისათვის შეღავათების მინიჭებასთან ერთად, საჭიროდ სთვლიან შემსუბუქებულ იქნას მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის სიმძიმე საშუალო გლეხობის ძირითადი მასებისათვის. ამიტომ საბჭოთა კავშირის ცაკი და სახკომსაბჭო ადგენს:

1. მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის საერთო თანხა 1929—30 წლისათვის შემცირებულ იქნას 375 მილიონ მანეთამდე.

2. იმ რაიონებში, სადაც მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგვრა მოხდება ნათესის მიხედვით, 1929—30 და 1930—31 წლების განმავლობაში გადასახადისაგან განთავისუფლებულ იქნას ნათესი სივრცის მთელი ზედმეტი რაოდენობა იმ სივრცესთან შედარებით, რომელიც აღრიცხული იყო 1928—29 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგვრის დროს. ეს შეღავათი მიენიჭოს ყველა ინდივიდუალურ მეურნეობას, გარდა აშკარა კულაკური მეურნეობისა, და ყველა კოლექტიურ მეურნეობას.

შენიშვნა: ნიშნებს და წესებს იმ კულაკური მეურნეობათა გამოსარკვევად, რომლებზედაც არა ვრცელდება აღნიშნული შეღავათი, აწესებენ მოკავშირე რესპუბლიკების მთავრობები და საოლქო აღმასკომები საბჭოთა კავშირის მთავრობის დირექტივთან შეფარდებით.

3. უკრაინის ველმინდვრიან ოლქებში და ცენტრალურ შავნიადაგიან ოლქებში, სადაც დაბეგვრა მოხდება სახნავი მიწის მიხედვით, დესეტინა ნათესზე შემოსავლის ნორმები, 1928—29 წლის ნორმებთან შედარებით, შემცირებულ იქნას. ეს ნორმები უკრაინის ველმინდვრიანი ოლქებისათვის უნდა შემცირდეს სამი მანეთით, ხოლო ცენტრალურ-შავნიადაგიანი ოლქებისათვის—ორი მანეთით.

4. დიდი ხნით დასვენებული მიწები, თუ ეს მიწები დაიხვნება, მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგვრისაგან განთავისუფლებულ იქნან ორი წლის განმავლობაში, მიუხედავად იმისა—ხდება სახნავი მიწის თუ ნათესის დაბეგვრა.

5. წაქეზებულ და დაინტერესებულ იქნას გლეხობა იმ ღონისძიებათა გატარებაში, რომლებიც მოსავლიანობას გაადიდებენ: დაწესდეს გადასახადი 10 პროც. დაკლება საადგილმამულო საზ-ბის ყველა იმ მეურნეობისათვის, რომლებიც საქმით ანხორციელებს უმარტივეს ღონისძიებებს მოსავლიანობის გასადიდებლად, იმ ღონისძიებებს, რომლებიც გათვალისწინებულია საბჭოთა კავშირის ცაკის 1928 წლის 15 დეკემბრის დადგენილებაში მოსავლიანობის გასადიდებელი ზომების შესახებ. იმ სოფლებში, სადაც ამ ღონისძიებებს გაატარებენ არა საადგილმამულო საზოგადოებანი, არამედ ცალკე მეურნეობანი, ასეთ მეურნეობებს მიეცეს შეღავათი გადასახადის 5 პროცენტის რაოდენობით; სავსებით იქნას განთავისუფლებული მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან ის შემოსავალი, რომელიც მიღებული იქნება ინდივიდუალური და კოლექტიური მეურნეობების, ახალი კულტურების ან ახალი გაუმჯობესებული მეთოდებით დამუშავებული საცდელი მიწის ნაკვეთებისაგან ნახევარი დესეტინის რაოდენობით. იმ რაიონებში, სადაც დაბეგვრა მოხდება ნათესის მიხედვით, იმ მეურნეობათათვის, რომლებიც მისდევენ მრავალმინდვრიან თესლცვლას, 15 პროცენტით შემცირდეს შემოსავლიანობის ის ნორმა, რომელიც ამ ადგილისათვის არის დაწესებული დესეტინა ნათესზე. რ.ს.ფ.ს. რესპუბლიკის და უკრაინის ს.ს. რესპუბლიკის ველმინდვრიან რაიონებში სამი წლის განმავლობაში (1929—30, 1930—31 და 1931—32 წლებში) ბალახით დათესილი სივრცე უნდა დაიბეგროს სათიბის შემოსავლიანობის ნორმების მიხედვით; გარდა ამისა, ის სივრცე, რომელიც დაითესება მრავალწლიანი ბალახით, პირველ წელს განთავისუფლდეს გადასახადისაგან.

6. მერძევეობისა და ტეხნიკური კულტურების განვითარების წასახალისებლად ერთი-ორად შემცირდეს ძროხების შემოსავლიანობის ნორმები სამრეწველო ერბოს დამამზადებელი რაიონებისათვის. ამავე სამრეწველო ერბოს დამამზადებელ რაიონებში არსებული სათიბის შემოსავლიანობის ნორმების მიხედვით დაიბეგროს ბალახით დათესილი სივრცე; სამრეწველო ერბოს დამამზადებელი რაიონების გამოყოფა მიენდოს რ.ს.ფ.ს. რესპუბლიკის, უკრაინის და ბელორუსიის სახკომსაბჭოებს. შენარჩუნებულ იქნას შეღავათები ტეხნიკური კულტურებისათვის, კერძოთ, ბამბის, სელის და ჭარხლის ნათესების დაიბეგროს შემოსავლიანობის იმ ნორმებით, რომლებიც ერთი-ორად შემცირებულია მარცვლეულ კულტურებთან შედარებით.

7. 1928—29 წლებთან შედარებით შემცირდეს სასოფლო-სამეურნეო მანქანების გაქირავებისაგან მიღებული შემოსავლის დაბეგვრა, რათა მეურნეობის დასაბეგრ შემოსავალში შედიოდეს: რთული სასოფლო-სამეურნეო მანქანების (მექანიკური მამოძრავებლებით) შემოსავლის 25 პროცენტიდან და 50 პროცენტამდე, დანარჩენი რთული სასოფლო-სამეურნეო მანქანების შემოსავლის 10 პროცენტიდან 25 პროცენტამდე. შემოსავალი ტრიერებიდან და დამხარისხებლებიდან არ უნდა დაიბეგროს.

8. რათა გლეხობის სამეურნეო ანგარიშიანობაში შეტანილ იქნას სიმტკიცე, სამი წლის განმავლობაში (1929—30, 1930—31 და 1931—32) არ გადიდდეს შემოსავლიანობის ნორმები მემინდვრეობასა, სათიბ მეურნეობასა და მესაქონლეობაში, რომლებშიაც 1929—30 წელს გადასახადი გამოანგარიშებული იქნება ყოველი გადამხდელის მიხედვით. ამავე ვადით დატოვებულ იქნას გადასახადის ის განაკვეთები, რომლებიც დაწესებულია 1928—29 წლისათვის (1928 წლის 21 აპრილის დებულება მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ—მუხ. 29, 30, 31 და 32).

9. მრავალწევრიან მეურნეობათა დაბეგვრის სიმძიმის შესამსუბუქებლად და მეურნეობათა დაქსაქსვის შემცირების მიზნით, იმ ადგილებში, სადაც გადასახადის გამოანგარიშება ხდება მეურნეობის შემოსავლის საერთო თანხის მიხედვით, მეურნეობებს, რომლებსაც ჰყავთ 7—8 მჭამელი, გადასახადი დაეკლოს 5 პროცენტით, მეურნეობებს, რომლებსაც ჰყავთ 9—10 მჭამელი—10 პროცენტით და მეურნეობებს, რომლებსაც ჰყავთ მეტი მჭამელი—15 პროცენტით; ნორმების მიხედვით გამოანგარიშებული შემოსავლის საპროცენტო დანართები (მე-27 მუხლი დებულებისა მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ, 1928 წლის 21 აპრილის თარიღით) გაუქმებულ იქნას ყველა იმ მეურნეობისათვის, რომლის შემოსავალიც 500 მანეთს არ აღემატება. წინადადება მიეცეს მოკავშირე რესპუბლიკების მთავრობებს—სისწორით დააწესონ რაიონებში ამ დანართების რაოდენობა მე-27 მუხლის თანახმად, 0-დან 10 პროცენტის ფარგლებში, მეურნეობის დასაბეგრი შემოსავლის მიხედვით, და არა 5-დან 25 პროცენტის ფარგლებში, როგორც ეს ხდება მიმდინარე წელს.

10 უსათუოდ აიკრძალოს ინდივიდუალური წესით საშუალო გლეხთა მეურნ. დაბეგვრა ნორმების გარეშე (მე-28 მუხლი დებულებისა მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ, 1928 წლის 21 აპრილის თარიღით). ინდივიდუალური წესით, ნამდვილი შემოსავლიანობის მიხედვით, ნორმებს გარეშე დაიბეგროს უფრო მდიდარი კულაკური მეურნეობანი; ნორმებს გარეშე დაბეგრილ კულაკურ მეურნეობათა რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს საბჭოთა კავშირის გლეხურ მეურნეობათა საერთო რიცხვის 3 პროცენტს.

11 დაევალოს საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს ამ დადგენილების მიხედვით შეიმუშაოს პროექტი ახალი დებულებისა მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ და ერთი კვირის განმავლობაში წარუდგინოს დასამტკიცებლად საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმს.

საბჭოთა კავშირის ცაკის თავმჯდომარე—
კალინინი.

საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდ.
რიკოვი.

აჭარელ და თურქ-ქალთა სრ. საქართველოს ყრილობა

მეოთხე სხდომა

(ტელეფონით ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან)

კამათი ამხ. გ. ჯაფარიძისა და ა. ფანცხავას მოხსენებათა გარშემო

მეოთხე სხდომაზე, 10 თებერვალს დილით, თავმჯდომარეობს აჭარელი ქალი ამხ. **იმინე ბეჟანიძე**. იხსნება კამათი ვარო ჯაფარიძის და ფანცხავას მოხსენებათა გარშემო.

ამხ. **ზეკია ანანიძე** ბათომის მაზრიდან ყრილობას ულოცავს ჩადრის ახდას და საუკუნოებრივ მონობიდან განთავისუფლებას.

ამხ. რიზა ხოსრევანიძე

(ხულოს მაზრა)

აღნიშნავს, რომ ჩადრის ახდის კამპანია გვიან დაიწყო. 1928 წლის მაგივრად იგი უნდა დაწყებულიყო 1924 წელში და ეხლა ჩვენ არც ერთი ჩადრახვეული ქალი არ გვეყოლებოდა აჭარისტანში.

მრავალ თემში ჩადრის ახდამ სტიქიური ხასიათი მიიღო. ხულოს მაზრის მარტო ერთ თემში ჩადრი აიხადა 1.000 ქალმა. ჩვენ განცხადებები მოგვდის სხვა თემებიდანაც, რომლებშიაც გვთხოვენ, მოდით გვიხელმძღვანელეთ ჩადრის ახდაშიო. აჭარელმა ქალმა შეიგნო ჩადრის მავნებლობა. წარსულის ამ საზიზღარი ნაშთის ძირფესვიანად ამოსაფხვრელად ნიადაგი უკვე მომზადებულია. ამიტომ საჭიროა გამოიცეს დეკრეტი, რომლითაც აკრძალული იქნება ჩადრის ტარება. ასეთი დადგენილება გამოიტანეს ხულოს მაზრის ქალებმა, როდესაც ისინი დელეგატებს ირჩევდნენ დღევანდელ ყრილობაზე.

დელეგატი ქალები იხდიან ჩადრს

ამხ. რიზა ხოსრევანიძის სიტყვის დროს სცენაზე გამოდიან დელეგატი ქალები და აქვე იხდიან და ყრიან ჩადრს, რასაც მქუხარე ტაშით ეგებება მთელი დარბაზი. სხდომის დასრულებისათვის სცენაზე დაგროვდა 40-მდე ჩადრი.

ამხ. ზექერია ბერიძე

(ქედის მ.)

ზექერია ბერიძე ქედის მაზრიდან ამბობს, რომ ხოჯები ხალხში ავრცელებენ ჭორებს თითქოს ქალებმა თუ ჩადრი მოიხადეს, მათ ალახი დასჯის, მიწა ინძრევა, სახლი დაინგრევა და სხ. მაგრამ, როგორც ხედავთ, არავითარი ამის მსგავსი არ მომხდარა. ხოჯები სტყუიან, მათ სურთ ძველებურად დამონავებული ყავდეს მშრომელი ხალხი, მაგრამ ამის უფლებას მათ აღარ მივსცემთ. ძირს ხოჯები, ხალხის მტრები და მყვლეფელები! გაუმარჯოს განთავისუფლებულ ქალს!

ამხ. ხუსეინ ზოიძე

(ბათომი)

ამხ ხუსეინ ზოიძე, ცაკის მდივანი, აღნიშნავს, რომ იმ დიდ ბრძოლაში, რომელიც დაიწყეს აჭარელმა ქალებმა, ჩვენთან არიან და დახმარებას გვიწევენ საბჭოთა კავშირის, კერძოდ საქართველოს მუშა-გლეხები და მშრომელი ინტელიგენცია. დღეს ყველამ შეიგნო ჩადრის ახდის მნიშვნელობა, ამიტომ ჩვენ უნდა ვთხოვოთ საქართველოს და ამიერკავკასიის მთავრობას გამოცემული იქნეს დეკრეტი ჩადრის ტარების აკრძალვის შესახებ.

ამხ. ა. კალანდაძე

(ხულოს მაზ.)

ამხ. ა. კალანდაძე ხულოს მაზრიდან ამბობს, რომ, როდესაც მაზრები დელეგატებს ირჩევდნენ დღევანდელ ყრილობაზე, ხოჯები და ანტისაბჭოთა ელემენტები ავრცელებდნენ ჭორებს, რომ ქალებს ჩაიყვანენ ბათომში და იქ ჩადრთან ერთად დასწვავენო, მაგრამ ნახეთ თუ როგორი მზრუნველობით გვეპყრობათ ბათომის და მთელი საქართველოს მშრომელები. თქვენ ნახეთ, რომ თქვენს გვერდით სდგას კომპარტია და საბჭოთა ხელისუფლება, რომელთა ერთათ-ერთი სურვილია გამოგიყვანოთ თქვენ თავისუფლების გზაზე.

ამხ. ახმედ დუმბაძე

(ქედის მაზ.)

ამხ. ახმედ დუმბაძე ქედის მაზრიდან აღნიშნავს, რომ დღეიდან აჭარისტანიც შესდგა კულტურული რევოლიუციის გზაზე, რომელზედაც იგი მტკიცედ განაგრძობს სიარულს სულ ახალ-ახალი გამარჯვების მოსაპოვებლად. აჭარელი ქალი გამოფხიზლდა, მან დაინახა, რომ მასაც შეუძლია ადამიანურად ცხოვრება. ამიტომ იგი გადადგამს შემდეგ ნაბიჯს და გვერდში ამოუდგება მამაკაცს, რომ მასთან ერთად მიიღოს მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

შემდეგ ილაპარაკეს ამხ. **უნიან ზაქარაძემ, აცალგა მუსტაფა ოღლიმ, ზურჰი ქამადაძემ. რუქია ბოლქვაძემ** და **იდრედ ხოსრევანიძემ**, რომლებიც მოითხოვდნენ ჩადრის ტარების აკრძალვას.

ამხ. ზექია გოგიტიძე

(ქობულეთი)

ყრილობის ერთსულოვანი ენტუზიაზმი გამოიწვია აჭარელ ქალის **ზექია გოგიტიძის** გამოსვლამ, რომელმაც სამი წლის წინად აიხადა ჩადრი ქობულეთში. იგი უამბობს ყრილობას, თუ რა დამცირების ატანა უხდებოდა ხოჯებისაგან ჩადრის ახდის გამო.

ქალებო, ჩაუკვირდით თქვენს მდგომარეობას, რითი ვართ ჩვენ სხვა ხალხის ქალებზე ნაკლები, რომ არ უნდა გვქონდეს უფლება ღია სახით ვიაროთ და ხალხში გამოვჩნდეთ? ჩვენი დამონავება ხოჯების ბრალია. მათ არ უნდოდა. რომ ჩვენ რამე გვესწავლა, რადგან მათ შემოსავალი მოაკლდებოდათ. ზექია გოგიტიძის გამოსვლით დამთავრდა დილის სხდომა.

თეატრიდან დელეგატები გაემართნენ დემონსტრაციაზე.

შ. ბუაჩიძე.

ბათომი, 10 თებერვალი.

ბათომის პროლეტარიატის დემონსტრაცია

(ტელეფონით ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

10 თებერვალს ბათომში გაიმართა გრანდიოზული დემონსტრაცია, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო რამოდენიმე ათეულმა ათასმა კაცმა, გარნიზონმა და კომკავშირელთა კარნავალმა. 12 საათისათვის ინტერნაციონალის ქუჩაზე, თავისუფლების მოედანზე და ახლო-მახლო ქუჩებზე გავლა შეუძლებელი იყო. პირველის ნახევარზე მოედნისაკენ გაეშურენ დელეგატები ყრილობის პრეზიდიუმის მეთაურობით.

ამხ. **ფილიპე მახარაძემ** მიიღო ალლუმი და მიესალმა ჯარებს. ამხ. ფ. მახარაძესთან ერთად ტრიბუნაზე არიან: ამხ. ვარძიელი, ტაგიევი, მარიამ ორახელაშვილი, ა. ფანცხავა, მოიდინ ხურმანიძე. ლევან გამყრელიძე. ვარო ჯაფარიძე და შავერდოვი.

ამხ. ლ. გამყრელიძის სიტყვა

პირველ საათზე ამხ. გამყრელიძე მიტინგს გახსნილად აცხადებს. ის ამბობს: დღეს აჭარისტანის და საქართველოს მშრომელები მთელ კავშირთან ერთად დღესასწაულობენ უდიდეს გამარჯვებას კულტურულ ფრონტზე. საბჭოთა ხელისუფლებას 11 წლის მანძილზე აქვს დიდი მიღწევები ყველა დარგებში, მაგრამ ჯერ კიდევ რთული ამოცანები დგას ჩვენს წინაშე. ჯერ კიდევ დიდი ბრძოლა მოელით მუშებს და გლეხებს მრავალი დაბრკოლებების გადასალახავად.

კულტურული ჩამორჩენილობა, რომელსაც ადგილი აქვს აჭარისტანში და საქართველოს სხვა ადგილებში და რომელიც ხელს უშლის სოციალისტურ აღმშენებლობას—დღეს შერყეულია. ამის დამამტკიცებელია დღევანდელი ყრილობა. დღევანდელი ზეიმი განსაკუთრებით საგულისხმოა იმ მხრივ, რომ დღეიდან ჩვენს აღმშენებლობაში მამაკაცებთან ერთად ებმებიან აჭარელი ქალები, რომლებიც აქამდე კულტურული ჩამორჩენილობის გამო შორს იდგნენ ჩვენგან. გაუმარჯოს ჩვენს წარმოებას კულტურულ ფრონტზე.

ამხ. ფილიპე მახარაძის სიტყვა

მთავრობის სახელით მიტინგს ესალმება ფილიპე მახარაძე, რომელიც ამბობს: საბჭოთა ხელისუფლებამ უდიდეს შედეგებს მიაღწია მუშაობის ყველა დარგებში. მაგრამ ჩვენს გამარჯვებას დღემდე ჩრდილავდა აჭარელი თურქი-ქალების კულტურული ჩამორჩენილობა. აჭარელი ქალები დღემდე მონაწილეობას არ იღებდნენ ჩვენს საერთო მუშაობაში, მაგრამ ეხლა აჭარელი ქალი გამოფხიზლდა. მან გაახილა თვალი და განაცხადა თავისი სურვილი—მტკიცედ ჩაებას საერთო ფერხულში. მათ ჩამოიხადეს და ცეცხლის ალს მისცეს ჩადრი—მონობის ეს საზიზღარი ნიშანი. ყველა ჩვენი ორგანიზაცია ვალდებულია დახმარება გაუწიოს აჭარელ ქალებს, რომლებმაც თავი დააღწიეს ძველ დამამონავებელ ადათებს, მაგრამ რომლებიც ჯერ კიდევ მტკიცედ ვერ შემდგარან ახალ ნიადაგზე.

საჭიროა დახმარება არა სიტყვიერი, არამედ საქმით. სიტყვებით დახმარება დღეს აღარ კმარა. მე მოგიწოდებთ ყველას აქტიური მონაწილეობა მიიღოთ ჩადრ ახდილ ქალების დახმარების საქმეში და გაუადვილოთ მათ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩაბმა.

ამხ. ა. ფანცხავას სიტყვა

აჭარისტანის საოლქო კომიტეტის სახელით მიტინგს ესალმება ფანცხავა, რომელიც ამბობს: ჩამორჩენილ აჭარელ და თურქ ქალების ჩასაბმელად ჩვენს საერთო მუშაობაში საჭირო იყო მთელი რიგი თავისებურ მუშაობის ჩატარება. ამ მუშაობის ერთ-ერთი ფორმაა აჭარელი და თურქ ქალების დღევანდელი ყრილობა, რომელმაც გადამწყვეტი როლი უნდა ითამაშოს ჩადრის ახდის და სხვა სარწმუნოებრივ ადათების აღმოფხვრის საქმეში. ჩადრის ახდაში განსაკუთრებული ენერგია გამოიჩინეს ხულოს მაზრის მუშაკებმა და მშრომელებმა. ამ ენერგიის აღსანიშნავად საოლქო კომიტეტი უძღვნის ხულოს მშრომელებს დროშას! ძირს ჩადრი!

ჩადრის დაწვა მიტინგზე

ფანცხავასაგან დროშა ჩაიბარა ხულოს მაზრაღმასკომის თავმჯდომარემ **რიზა ხოსრევანიძემ**. აქვე მდგომმა ხულოს მაზრის 80 დელეგატმა მოიხადა ჩადრი და დაყარა ტრიბუნის წინ. ჩადრს გადაასხეს ნავთი და წაუკიდეს ცეცხლი. მეტად ლამაზ სანახაობას წარმოადგენდა ყინულზე დანთებული უზარმაზარი კოცონი, რომლის გარშემო უამრავი ხალხი იყო თავმოყრილი, ჩადრის საჯაროდ დაწვას ზღვა ხალხი ტაშის ცემით დახვდა. მუსიკა უკრავდა ინტერნაციონალს.

ალლუმი

ორ საათზე დაიწყო დემონსტრაცია. ამხ. ფ. მახარაძე და ა. ფანცხავა ხალხმა ხელით ჩამოიყვანა ტრიბუნიდან. ინტერნაციონალის ქუჩაზე ლენინის ძეგლის წინ ამართული იყო ტრიბუნა, რომელზედაც მოთავსდნენ მთავრობის და უმაღლეს ხელმძღვანელ ორგანოების წარმომადგენლები. ტრიბუნის წინ ჩაიარეს ჯარის და ფლოტის ნაწილებმა და უამრავმა დემონსტრანტებმა. რომლებსაც ესალმებოდნენ ამხ. ფ. მახარაძე, ი. ვარძიელი, მ. ხურმანიძე, ა. ფანცხავა, ლ. გამყრელიძე და სხვები.

დემონსტრაცია სამ საათზე დამთავრდა.

შ. ბუაჩიძე.

ბათომი, 10 თებერვალი.

მეხუთე სხდომა

(ტელეფონით ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

ამხ. ი. ვარძიელის მოხსენება

მეხუთე სხდომაზე, 10 თებერვლის საღამოს თავმჯდომარეობს ამხ. **ფილიპე მახარაძე**. დღის წესრიგის უკანასკნელ საკითხზე—ქალების მონაწილეობაზე საბჭოებში, მოხსენებას აკეთებს ამხ. ი. ვარძიელი. მომხსენებელი მარტივი ენით უხსნის დელეგატებს რა განსხვავებაა მეფის მთავრობისა და საბჭოთა ხელისუფლების შორის. მომხსენებელი დაწვრილებით ახასიათებს ქალის მდგომარეობას ნიკოლოზის მთავრობის დროს და ამბობს, რომ ბურჟუაზია და სამღვდელოება ქალს არ სთვლიდნენ მამაკაცის თანასწორად. ოქტომბრის რევოლიუციამ მოსპო ეს მდგომარეობა და ქალი გაათანასწორა უფლებრივად მამაკაცთან. საბჭოთა არჩევნების კამპანია, რომელიც ეხლა მიმდინარეობს ქალის უფლებების განხორციელების ერთ-ერთი ფორმაა. ქალებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ არჩევნებში და საბჭოების მუშაობაში, რადგან მათი ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესება ბევრადაა დამოკიდებული მათ მონაწილეობაზე საბჭოებში.

სოფლად ბევრი რამ არის გასაკეთებელი აუცილებელია ქალები გვერდში ამოუდგნენ მამაკაცებს და მათთან ერთად მოაგვარონ მრავალი საჭირბოროტო საკითხი, რომელიც გადაწყვეტას მოითხოვს. საბჭოები თავის მუშაობას ანხორციელებენ სექციების საშუალებით. სექციების მუშაობაში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ ქალებმა. აჭარისტანი ღარიბია გზებით, სკოლებით, საავადმყოფოებით და სხვა კულტურული დაწესებულებებით. ამაზე ზრუნვა კი საბჭოების მოვალეობას შეადგენს.

დასასრულ მომხსენებელი მოუწოდებს აჭარელ ქალებს უკლებლივ გამოცხადდნენ საარჩევნო კრებებზე, და აირჩიონ ისეთები, რომლებიც შესძლებენ საბჭოებში მუშაობას.

კამათი

მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი. გამოსული ორატორები აღნიშნავდნენ, რომ ახალ ყოფა-ცხოვრებაზე გადასვლასთან დაკავშირებით, საჭიროა სოფლებში გაიხსნას ჭრაკერვის სასწავლებლები, რომ საშუალება მოგვეცეს ჩადრის მაგივრად შევიკეროთ ახალი ტანისამოსი.

აუცილებელია გაძლიერდეს კოოპერაციის მომარაგება ფართლეულობით და სხვა პირველ მოთხოვნილების საქონლით.

ეუბ გიორგაძე

(ყოფ. ხოჯა)

დიდ ინტერესს იწვევს ყოფილ ხოჯის ეუბ გიორგაძის გამოსვლა. იგი აღნიშნავს, რომ ხოჯები სტყუიან, როცა ამბობენ, თითქოს ჩადრის ახსნა ცოდვაა, იგი აკრძალულია კორანითო.

მე, როგორც ყოფილმა ხოჯამ, ვიცი რაც სწერია არაბულ წიგნებში, რომელსაც ეყრდნობიან ხოჯები, არაფერი იმდაგვარი იქ არ მინახავს. ჩადრის ახდა არ არის ცოდვა, ჩადრი ქალების დასამონავებლად გამოგონილია ხოჯების მიერ. ძირს მატყუარა ხოჯები, გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას, ძირს ჩადრი!

მისალმებანი ყრილობას

კამათის დასრულების შემდეგ გამოქვეყნებულ იქნა ამხ. მამია ორახელაშვილის, ამიერკავკასიის ცაკის, საქართველოს კომკავშირის ცეკას, აფხაზეთის ცაკის და სახკომსაბჭოს მისასალმებელი დეპეშები.

ყრილობამ დაადგინა მისასალმებელი დეპეშა გაეგზავნოს მამია ორახელაშვილს. შემდეგ მიღებულ იქნა რეზოლიუციები მოხსენებების გარშემო, ყრილობამ დაადგინა მოწოდებით მიმართოს აჭარისტანის მშრომელთ და საქართველოს თურქ მოსახლეობას, მოწოდების ტექსტის შემუშავება მიენდო პრეზიდიუმს.

ყრილობის შემადგენლობა

დასასრულ მოსმენილ იქნა სამანდატო კომისიის მოხსენება. გამოირკვა, რომ ყრილობას ესწრებოდა 447 დელეგატი. აქედან 388 აჭარელი, 49 თურქი და 10 აფხაზი.

ყრილობის დახურვა

ამხ. ფ. მახარაძის სიტყვა

დღის წესრიგის ამოწურვის შემდეგ ყრილობას სიტყვით მიმართა ამხ. ფილიპე მახარაძემ, რომელმაც სთქვა: ჩვენმა ყრილობამ მუშაობა დაამთავრა. რა მისცა ამ ყრილობამ მათ, ვისთვისაც იგი იყო მოწვეული.

ყრილობის ყველა დამსწრეებმა ერთხმად მოითხოვეს გამოცემული იქნეს დეკრეტი ჩადრის ტარების წინააღმდეგ. ამ გარემოებას უთუოდ გაეწევა ანგარიში, ამ ყრილობას ექნება უდიდესი მნიშვნელობა. აქ თქვენ მოსული ხართ ჩამორჩენილ კუთხეებიდან. თქვენ აქ გაუზიარეთ ერთმანეთს თქვენი ჭირ-ვარამი და გაეცანით ერთმანეთის მდგომარეობას. აქედან გამომდინარეობს ის დასკვნა, რომ გადადგმული უნდა იქნეს შემდეგი ნაბიჯები, თქვენი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. თქვენ უნდა იცოდეთ, რომ თქვენ მიერ დაწყებული ბრძოლა დღევანდელ ყრილობით არ დამთავრებულა. მართალია, თქვენ ჩადრი მოიხადეთ, მაგრამ აჭარისტანში ჯერ კიდევ არიან დარჩენილი ბნელი ელემენტები, რომლებიც შეეცდებიან გააძლიერონ აგიტაცია ჩადრის ჩამოხდის წინააღმდეგ. როგორ მოიქცევით თქვენ?

მე თქვენ უკვე გითხარით, რომ თქვენთვის უკან დასახევი გზა არ არსებობს, თქვენ უნდა ეცადოთ შეაგნებინოთ თვით დებს და დედებს ჩადრის ტარების მავნებლობა. ადგილობრივი ხელისუფლება კი მიიღებს ყველა ზომებს, რომ დაიცვას ჩადრ ახდილი ქალი დაცინვისა და შეურაცყოფისაგან.

ყრილობის დახურვა

ვხურავ რა ყრილობას, მე ვაცხადებ თქვენთან ერთად: გაუმარჯოს თქვენს პირველ ყრილობას!

გაუმარჯოს აღმოსავლეთის ქალის განთავისუფლებას ყოველგვარ მონობისაგან!

მთელი დარბაზი ფეხზე დგება და უმართავს ამხ. ფ. მახარაძეს ხანგრძლივ ოვაციას. ყრილობა იხურება ინტერნაციონალის სიმღერით.

შ. ბუაჩიძე.

ბათომი, 10 თებერვალი.

მისალმება ს.ქ. ცაკს

სრულიად საქართველოს ცენტრ. აღმასრულებელმა კომიტეტმა აჭარელ და თურქ ქალთა პირველი ყრილობისაგან მიიღო შემდეგი მისასალმებელი დეპეშა:

„სრულიად საქართველოს აჭარელ და თურქ ქალთა პირველი ყრილობა მხურვალე სალამს უძღვნის საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს. ყრილობა აღნიშნავს, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ მოსპო ძველი კანონები და საბჭოთა კავშირში მცხოვრები მშრომელი ქალები გაათანასწორა მამაკაცებთან, მაგრამ მანამ, სანამ აჭარელი და თურქი ქალი ჩადრ ქვეშ იქნება, ქალის ფაქტიურ განთავისუფლებაზე ლაპარაკი ზედმეტია. ჩადრ-ახდილ ქალთა ყრილობა მოითხოვს, რომ ჩადრის ტარება აკრძალულ იქნეს დეკრეტით.

გაუმარჯოს ჩადრახდილ ქალებს!

„ყრილობის პრეზიდიუმი."

შემნახველ სალაროების ორკვირეული

ამიერ-კავკასიის ყველა კომუნისტურ ორგანიზაციებს

საბჭოთა კავშირის გარდაქმნა აგრარული ქვეყნიდან ინდუსტრიალურ, სოციალისტურ კაპიტალისტური დასავლეთისაგან ეკონომიურად დამოუკიდებელ ქვეყნად, მთელი სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქცია მეცნიერებისა და ტეხნიკის უახლოეს მონაპოვართა საფუძველზე, მუშათა და გლეხთა მასების უდიდესი კულტურული წინსვლის საფუძველზე — იმ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს, რომლის წარმატებით გადაჭრისაგან დამოკიდებულია საბჭოთა კავშირის პოლიტიკური და ეკონომიური ძლიერების შემდგომი განმტკიცება საერთაშორისო სარბიელზე. ეს ამოცანა ამავე დროს უძნელესია იმ ამოცანათა შორის, რომელთა გადაჭრა საერთოდ ოდესმე დასჭირდებათ მთელი მსოფლიოს ხალხებს.

განსაკუთრებით ძნელია ის ამოცანები, რომლებიც მუშათა სახელმწიფოს წინაშე დგანან სოფლის მეურნეობის დარგში: თუ სოფლის მეურნეობის სრული რეკონსტრუქცია, მისი მაშინიზაცია და კოლექტივიზაცია არ მოხდება შემოსავლიანობა და არ გაფართოვდება დება მიწის დამუშავების წესები, არ გადიდდება შემოსავლიანობა და არ გაფართოვდება ნათესი მინდვრების სივრცე, თუ მცირე ინდივიდუალურ მეურნეობათა ნაცვლად არ შეიქმნება პურისა და ნედლეულის უდიდესი ფაბრიკები, — ახალი ეკონომიური პოლიტიკის ქვეყანას ვერ გადავაქცევთ სოციალისტურ ქვეყნად.

ამ უდიდეს ამოცანათა გადაჭრა დაკავშირებულია ტეხნიკური, ორგანიზაციული და მატერიალური ხასიათის სიძნელეებთან. პირველ ყოვლისა, მას წინ ეღობება ფულის სახსრების ნაკლებობა.

ყოველი კაპიტალისტურ სახელმწიფოს დამატებითი რესურსების წყაროს წარმოადგენს საგარეო სესხი **ჩვეულებრივი პირობებით.** ეს წყარო საბჭოთა პროლეტარულ სახელმწიფოსათვის თვალსაჩინოდ დახშულია, ხოლო საჭირო თანხების მიღებას, ისე, რომ მას მოჰყვეს პროლეტარული სახელმწიფოს ეკონომიური დამონება უცხოეთის კაპიტალისტების მიერ, საბჭოთა კავშირის მთავრობა არც იკისრებს და მას არც შეუძლია ეს.

სოციალისტური დაგროვებისა და რეკონსტრუქციისათვის საჭირო თანხების ერთად-ერთ წყაროს ჩვენთვის წარმოადგენენ ჩვენი ქვეყნის შინაური რესურსები, რომლებსაც თავი უნდა მოუყაროთ და სოციალიზმის შექმნის დიდი ისტორიული ამოცანის განხორციელებას მოვახმაროთ. მუშათა და გლეხთა სახელმწიფო მთელ თავის საშუალებებს უყენებს და თავის ბიუჯეტიდან ყოველ წლივ ასობით მილიონებს ახმარებს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის კაპიტალურ მშენებლობას. მაგრამ მთელი ეს ასიგნობები სახელმწიფო ბიუჯეტიდან და მრეწველობის მოგებიდან სრულებით არა კმარა ჩვენს ქვეყანაში დაწყებული სოციალისტური მშენებლობისათვის. რომელიც პირველი შემთხვევაა კაცობრიობის ისტორიაში. ჩვენ გვაქვს დაგროვების უდიდესი შინაური წყარო, რომლის გამოყენება ჩვენ დღემდე რიგიანად ვერ ვისწავლეთ ეს არის ჩვენი თვალუწვდენელი კავშირის მშრომელი მოსახლეობის თავისუფალი ათი და ასი მილიონობით დაზოგვილი თანხები.

[illegible] ყოვლისა, გლეხობის მიერ დაზოგვილი თანხები. რომელთა მხოლოდ მცირე ნაწილს უყრის თავს სახელმწიფოს მიერ გამოშვებული სხვადასხვა სესხი.

შრომის შემნახველი სალაროები უნდა წარმოადგენდნენ იმ გზას, რომლის მეშვეობითაც მშრომელთა თავისუფალი დაზოგვილი თანხა უნდა მოხმარდეს სოციალისტური მშენებლობის საქმეს. მაგრამ შემნახველი სალაროები ჯერ კიდევ ვერ თამაშობენ ამ როლს: შემნახველმა სალარომ მჭიდროდ ვერ გაიდგა ფესვი მშრომელი მოსახლეობის ყოფაცხოვრებაში, სალაროებში შეტანილი ანაბარები მეტად უმნიშვნელოა და არ შეეფერება დაზოგვილი თანხების ნამდვილ რაოდენობას. განსაკუთრებით სუსტია შემნახველი სალაროების მუშაობა გლეხურ მოსახლეობაში, ამავე დროს კაპიტალისტური სახელმწიფოების გამოცდილება თვალსაჩინოდ ამტკიცებს, რომ შემნახველი სალარო შეიძლება წარმოადგენდეს მძლავრ იარაღს, რომლის საშუალებითაც სახელმწიფოს ხელში ასი მილიონები გროვდება. თუ კაპიტალისტური სახელმწიფო, რომლის მიზნებიც უცხო და მტრულია მშრომელი მოსახლეობისათვის, ახერხებს ამ ამოცანის გადაჭრას, მით უფრო უნდა შესძლოს ეს ჩვენმა სახელმწიფომ, რომელიც წარმოადგენს მშრომელთა სრული და საბოლოო გათავისუფლების იარაღს.

პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების წინაშე წამოჭრილია მშრომელთა დაზოგვილი თანხების მობილიზაციის გადაუდებელი ამოცანა. ამ მიზნით ა. წ. 1 მარტიდან ეწყობა მე-2 საკავშირო „შემნახველი სალაროების ორკვირეული", რომელიც ჩვენში, ამიერ-კავკასიაში პირველად ჩატარდება. „ორკვირეულის" შედეგად უნდა მივიღოთ საგრძნობი გარდატეხა შემნახველი სალაროების საქმეში, ამ საქმის პოპულიარიზაცია მოსახლეობაში, შემნახველი სალაროების მუშაობის განმტკიცება და გაფართოვება და მათი ყოველმხრივ დამკვიდრება მშრომელთა ყოფაცხოვრებაში.

ამიერ-კავკასიის პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა მოახდინონ ყველა საშუალებისა და ძალების მობილიზაცია, უნდა ჩააბან ყველა საბჭოთა, პროფესიონალური, კოოპერატიული და საზოგადოებრივი ორგანიზაცია ორკვირეულის ენერგიულად მომზადებისა და ფართოდ ჩატარების საქმეში. ჩატარებული კამპანიის შედეგად ყოველმა მუშამ და გლეხმა უნდა გაიგოს, რომ, როდესაც შემნახველ სალაროში შეაქვს თავისი შრომით დაზოგვილი თანხა, მას მარტო თავის თავისათვის არ მოაქვს სარგებლობა, ამით იგი უდიდეს დახმარებას უწევს მუშათა სახელმწიფოსაც, რომელიც მუშაობს ჩვენი ქვეყნის მშრომელთა საკეთილდღეოდ. პარტიულმა და საბჭოთა პრესამ უაღრესად ფართო მონაწილეობა უნდა მიიღოს „შემნახველი სალაროების ორკვირეულის" ჩატარებაში, უნდა გაკიცხოს ყოველგვარი დაუდევარი და გულგრილი დამოკიდებულება „ორკვირეულისადმი", როგორც პროლეტარულ სახელმწიფოს სოციალისტური მუშაობის ჩაშლა. კამპანიის ჩატარების დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სოფელს, რომელსაც შეუძლია ითამაშოს და უნდა ითამაშოს კიდეც იმ მძლავრ აუზის როლი, საიდანაც საბჭოთა ხელისუფლება მიიღებს სახსრებს ახალი სკოლების, ახალი ფაბრიკებისა და ქარხნების მშენებლობისათვის, ხოლო ეს ფაბრიკა-ქარხნები მანქანებს და ჩითს მიაწოდებენ სოფელს.

პარტიულ ორგანიზაციებს უნდა ახსოვდეს, რომ შემნახველი სალაროები აუცილებლად უნდა გადაიქცნენ იმ მძლავრ იარაღად, რომელიც ხელს შეუწყობს სოციალისტური მშენებლობის ტემპის დაჩქარებას, უნდა გადაიქცნენ იმ ფაქტორად, რომელიც განამტკიცებს საბჭოთა კავშირის საშინაო და საერთაშორისო ძლიერებას.

უნდა გვახსოვდეს, რომ შემნახველ სალაროებში ფულის დაგროვების საქმე წარმოადგენს ჩვენი სამეურნეო დაბრკოლებების აღმოფხვრის ერთ-ერთ საშუალებას.

მთელი ძალღონე მოვახმაროთ „ორკვირეულის" ჩატარებას!

გაუმარჯოს ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას!

გაუმარჯოს მუშურ-გლეხურ დახმარებას სახელმწიფოსათვის საბჭოთა კავშირის ურყევ ძალას!

საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი.

ორკვირეულის ჩატარების გეგმა

(მიღებულია კამპანიის ჩამტარებელი ამიერ-კავკ. ცენტრ. კომისიის პირველ სხდომაზე 1929 წლის 7 თებერვალს).

ა) საორგანიზაციო-მოსამზადებელი ღონისძიებანი

1) საქართველოს, აზერბეიჯანის და სომხეთის ს.ს. რესპუბლიკებში ცაკებთან მოეწყოს რესპუბლიკანური ხელის შემწყობი კომისიები. ამ კომისიების შემადგენლობაში უნდა შედიოდნენ: სახკომსაბჭოს თავმჯდომარე, კომპარტიის (ბ) ცკას სოფლად მომუშავე განყოფილების გამგე, ფინანსთა სახალხო კომისარი, რესპუბლიკის ცენტრალური შემნახველი სალაროს გამგე, სახელმწიფო ბანკის მმართველი, პროფსაბჭოს თავმჯდომარე და კომპარტიის (ბ) ცკას აგიტპროპ განყოფილების გამგე (კომისიის თავმჯდომარედ უნდა იყოს სახკომსაბჭოს თავმჯდომარე).

კომისიას საბჭოების მიხედვით შეუძლია მუშაობაში ჩააბას სხვა პირებიც, კერძოდ, პრესის წარმომადგენელნი.

2) რესპუბლიკანური კომისიების ხელმძღვანელობით ავტონომიურ რესპუბლიკებსა და მაზრებში მოეწყოს ხელისშემწყობი კომისიები შემდეგი შემადგენლობით: აღმასკომის თავმჯდომარე (ავტონომიურ რესპუბლიკებში—სახკომსაბჭოს თავმჯდომარე), ქალთა განყოფილების გამგე, სამაზრო საფინანსო განყოფილების გამგე (ფინსახკომის რწმუნებული), პროფკავშირთა ორგანიზაციის წარმომადგენელი, აგრეთვე სახელმწიფო ბანკის წარმომადგენელი (შემნახველი სალაროს წარმომადგენელი) და გაზეთების წარმომადგენელი, სადაც ისინი არსებობენ (კომისიის თავმჯდომარედ იქნება აღმასკომის თავმჯდომარე ან სახკომსაბჭოს თავმჯდომარე).

3) თემის—დაირის-უბნის აღმასკომებთან მოეწყოს ხელის შემწყობი პირველი საფეხურის კომისიები აღმასკომის თავმჯდომარის თავმჯდომარეობით. ამ კომისიებში შევლენ თემის—დაირის-უბნის კომიტეტის, ა.ლ.კ.კ. უჯრედის, ადგილობრივი კოოპერატიული ორგანიზაციის და მიწა-ტყის კავშირის თავმჯდომარეები.

4) ხელის შემწყობი კომისიები მოეწყოს დაწესებულებებსა და წარმოებებში უჯრების, კომუჯრედის და ადგილკომის ხელმძღვანელობის შემადგენლობით. ამ მიზნით მოხდეს ყველა წარმოების აღრიცხვა, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ხელის შემწყობი კომისიის მოწყობას: ა) ქალაქებში—საბინაო კავშირთან საბინაო ამხანაგობათა და სახლის მმართველობათა ჩასაბმელად, ბ) სოფლებში—აღმასკომებთან და კოოპერატიულ ცენტრებთან გლეხების ჩასაბმელად და გ) სარეწაო კავშირებთან, შინამრეწველთა და სარტელო გაერთიანებებთან—შინამრეწველ-ხელოსანთა ჩასაბმელად.

5) ამ.-კავკ. ს.ფ.ს. რესპუბლიკის და ცალკე რესპუბლიკების ფინსახკომებთან შესდგეს ინსპექტორ-ინსტრუქტორთა კადრი კამპანიის მოსაწყობად და ჩასატარებლად. ამ მიზნით ფინსახკომის მითითებებით მოხდეს ფინსახკომის, ბანკების, შემნახველი სალაროების და სხვა დაწესებულებების კომპეტენტური თანამშრომლების დროებით მობილიზაცია.

6) საჭიროდ იქნას ცნობილი მომხსენებელთა კადრის გამოყოფა ადგილობრივი პარტიული და პროფორგანიზაციების მიერ და საინსტრუქციო მოხსენებათა ჩატარება მათთვის და მუშკორებისათვის.

7) შესდგეს ინდივიდუალური პროპაგანდისტების კადრები პარტუჯრედების, ა.ლ. კომკავშირის, მუშა ქალთა და გლეხ ქალთა განყოფილების წარმომადგენელთაგან, სოფლის მასწავლებელთა, სოფლის სამკითხველოების გამგეთა, ცალკე აქტიურ მუშაკთა და გლეხთა, შემნახველი სალაროების უფრო აქტიურ მონაწილეთა, აგრონომების, მედპერსონალის და ყველა შემნახველი სალაროს თანამშრომელთაგან, თვით აგენტებისაგანაც.

8) ეთხოვოს პროფსაბჭოს კულტგანყოფილებებს—შეძლებისდაგვარად ყველა კლუბში, სკოლაში და სოფლის სამკითხველოში მოაწყონ კუთხეები ან შემნახველი სალაროების მაგიდები.

გლეხის სახლებში აუცილებლად მოეწყოს შემნახველი სალაროების კუთხეები. ამ კუთხეებში უნდა მუშაობდნენ ცენტრ. შემნახველი სალაროების მიერ სპეციალურად გამოყოფილი ამხანაგები, რომლებმაც „შემნახველი სალაროების ორკვირეულის" მთელი პერიოდის განმავლობაში უნდა მისცენ ყოველგვარი ცნობები შემნახველი სალაროების მუშაობის შესახებ.

9) პერიოდული პრესის ფურცლებზე მოთავსებულ იქნას საუბარი საოლქო და რესპუბლიკანური ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან ამ კამპანიის მნიშვნელობის შესახებ.

10) დაევალოს ხელისშემწყობ კომისიებს—შეიმუშაონ შემნახველი სალაროების ცენტრალური ორგანოების მოკლე ყოველკვირეული საინფორმაციო მოხსენებათა ფორმები კამპანიის მსვლელობის შესახებ მაზრის, რესპუბლიკის და ამ.-კავკ. ს.ფ.ს. რესპუბლიკის ფარგლებში.

11) კამპანიისათვის უშუალო ხელმძღვანელობისა და სააგიტაციო და საორგანიზაციო ხასიათის მიმდინარე საკითხების გადაწყვეტისათვის გამოყოფილ იქნას მცირე კომისია ამხ. იიონოვის, ანანოვის, ყამარაულის, კუზნეცოვის და სააკიანის შემადგენლობით.

ბ. კამპანიის ჩატარება

წარმოებებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში, სასოფლო კრებებზე ჩატარდეს მოხსენებები (რისთვისაც გამოყენებულ უნდა იქნან პარტ. და პროფაქტივი) შემნახველი სალაროების როლისა და მნიშვნელობის შესახებ. ამ კრებებზე ახსნა-განმარტებულ უნდა იქნას შემნახველ სალაროში ფულის შეტანის სარგებლობა მშრომელი მოსახლეობისათვის; კრებებზე გამოტანილ უნდა იქნას სათანადო რეზოლიუციები.

მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა განყოფილებების სადელეგატო კრებებზე მოეწყოს საუბრები შემნახველ სალაროებში ფულის შენახვის მნიშვნელობის შესახებ.

კამპანიის განმავლობაში პრესამ მაქსიმალურად უნდა გააშუქოს შემნახველი სალაროების როლი და მნიშვნელობა საბჭოთა მეურნეობაში, მისი როლი მშრომელთა ყოფა-ცხოვრებაში, რისთვისაც უნდა ხდებოდეს პოპულიარიზაცია შემნახველი სალაროების ცალკე ოპერაციებისა, იმისა, თუ რამდენად სასარგებლოა შემნახველ სალაროებში ფულის შენახვა და რამდენად მოსახერხებელია აქ ფულის გამოყენება.

გაზეთებში მოთავსებულ იქნას მუშკორ-გლეხკორთა შენიშვნები და წერილები. ქალაქის და სოფლის კედლის გაზეთები გამოყენებულ იქნან შემნახველ სალაროების დანიშნულების პოპულიარიზაციისათვის. ამ მიზნით აღნიშნულ გაზეთებს უნდა დაეგზავნოს მასალები.

ცენტრალურმა კომისიამ უნდა დაამზადოს დიაპოზიტივები და მულტიპლიკაციური ქრონიკა; ამ ქრონიკის თემას უნდა შეადგენდეს შემნახველი სალაროების პოპულიარიზაცია; მუშათა კლუბებში უნდა დაიდგას ცოცხალი გაზეთების ნომრები და აგიტპიესები.

უნდა მოეწყოს ფურცლების დარიგება საზოგადო ადგილებში (თეატრები, კინოები, რკინის გზების სადგურები, ნავთსადგურები და სხვ.) აგრეთვე წარმოებებსა და დაწესებულებებში.

უნდა მოეწყოს ლოზუნგების და პლაკატების გაკვრა და გამოფენა ქუჩებში, მოედნებში სადგურებში, მუშაობა კლუბებში, გლეხის სახლებში, თეატრებში, კინოებში, საზოგადო სასადილოებში, კოოპ.-ებში, ბაზრებში და ბაზრობებზე, ტილოები და ფარები სათანადო წარწერებით უნდა იქნან გამოკიდული იმ ადგილებში, სადაც ბევრი ხალხი იყრის თავს.

კამპანიის დროს სალაროებში მუშაობა უნდა სწარმოებდეს საღამოებითაც. ანაბარის შემტანებს უნდა დაურიგდეს ინდივიდუალური მიმართვები.

ინდივიდუალური მიმართვები უნდა დაიგზავნოს სოფლად.

ხელმძღვანელთა გამგზავრება ადგილებზე, უმთავრესად სოფლის ქვედა საფეხურის სალაროებში ინსტრუქციების და რჩევა-დარიგებების მიწოდების მიზნით.

თემის — დაირის უბნის აღმასკომებთან, სასოფლო საბჭოებთან დამყარებულ უნდა იქნეს მჭიდრო კავშირი; მათ უნდა მიეცეს სოფლად კამპანიის ჩატარებისათვის საჭირო მასალა და დირექტივები.

კამპანიის შემდეგ სასოფლო სალაროებში უნდა გაიმართოს შემოწმება ადგილობრივ პრესის საშუალებით; საუკეთესო სალაროებს შემოწმების შემდეგ მიეცემათ პრემია.

რადიო ყოველმხრივ უნდა იქნას გამოყენებული რადიო-მიტინგების, მოხსენებების და საუბრების ჩასატარებლად.

ხელმძღვანელობა ზემოდ ჩამოთვლილ სააგიტაციო ღონისძიებათა რესპუბლიკებში ჩატარებისათვის დაეკისროს რესპუბლიკანურ ხელისშემწყობ კომისიებს.

კაპიტალური და სამრეწ. მშენებლობა 1928--29 წ.

მოსკოვი, 11 თებერვალი. საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭომ დაამტკიცა კაპიტალური და სამრეწველო მშენებლობის 1928-29 წლის საერთო გეგმა, რომლის მიხედვითაც კაპიტალურ და სამრეწველო მშენებლობაზე უნდა დაიხარჯოს 1.659,05 მილიონი მანეთი. ამ თანხიდან ახალ მშენებლობაზე უნდა დაიხარჯოს 471,94 მილიონი მანეთი, ქარხნების რეკონსტრუქციასა და გაფართოვებაზე—789,29 მილიონი მანეთი, კაპიტალურ შეკეთებაზე 138,7 მილიონი მანეთი, სამეცნიერო-საგამომკვლევო მუშაობაზე 63,8 მილიონი მანეთი და საბინაო მშენებლობაზე 135,38 მილიონი მანეთი. დამტკიცებულ გეგმაში დიდი ყურადღება ექცევა საშენებელი მასალის მრეწველობის განვითარებას. მოკავშირე რესპუბლიკების სახკომსაბჭოებს დაევალათ უმოკლეს ვადაში მიიღონ აუცილებელი ზომები იმისათვის, რომ ფაქტიურად გატარდეს ცხოვრებაში საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს დირექტივა საშენებელი მასალის დამამზადებელ შინამრეწველობისათვის ფინანსების მიწოდების შესახებ.

სახკომსაბჭომ დაავალა საბჭოთა კავშირის ს.მ.უ. საბჭოს—დააჩქაროს იმ ლითონის ქარხნების სიების შედგენა, რომლებიც უნდა გადაკეთდნენ და გაფართოვდნენ, აგრეთვე შეადგინოს და განიხილოს გენერალური რეკონსტრუქციის გეგმები. ეს დავალება უნდა შესრულდეს არა უგვიანეს 1929 წლის 1-ლ ივლისისა (ადს).

ბაქოს ტრამვაის 5 წლის თავი

ბაქო, 10 თებერვალი. 5 წელიწადი შესრულდა მას შემდეგ, რაც ბაქოს ტრამვაიმ მუშაობა დაიწყო. უკანასკნელ წელს ტრამვაიმ გადაიყვანა 60 მილიონი მგზავრი, მოგება უდრის დაახლოებით 2 მილიონ მანეთს. ხუთი წლის აღსანიშნავად პარკთან გაიხსნა სასადილო 200 კაცისათვის; ეწყობა აგრეთვე ბაგა 150 ბავშვისათვის.

ტრამვაის პარკს ეწოდა აზერბეიჯანის ცაკის თავმჯდომარის ამხ. აღამალი-ოღლის სახელი (ადს).

ზაჰესის მუშაობის მიმოხილვა

ზემო-ავჭალის ვ. ი. ლენინის სახელობის ჰიდროელსადგურის (ზაჰესის) ექსპლოატაცია დაიწყო 1927 წლის ივნისში, ე. ი. წელიწადნახევრის წინად. სადგური ამჟამად ემსახურება ქ. თბილისის რაიონს და ზოგიერთ ახლო მდებარე სოფელს.

სადგურის დატვირთვა პირველ ხანებში უმნიშვნელო იყო, რადგან აბონენტების უმრავლესობა, განსაკუთრებით სამრეწველო წამოწყებანი, მზად არ იყო ზაჰესის დენის მისაღებად. მაგრამ რაც დრო გადის, დატვირთვა თანდათან იზრდება. ასე, მაგალითად, 1927 წლის ივლისში სადგურმა გამოიმუშავა 525 ათასი კილოუატსაათი, 1928 წლის ივლისში—უკვე 1.895 ათასი, ხოლო 1929 წლის იანვარში—3.064 ათასი კილოუატსაათი.

სადგურის დატვირთვის მაქსიმუმი (ეგრედ წოდებული „პიკი") 1927 წლის ივლისში 1.600 კილოუატსაათს უდრიდა, 1928 წლის ივლისში დატვირთვის მაქსიმუმმა უკვე 6.000 კილოუატამდე აიწია, ხოლო 1929 წლის იანვარში 8.000 კილოუატს სჭარბობდა.

დატვირთვის ინტენსიური ზრდა სჩანს იმ დიაგრამებიდან, რომლებიც ჩვენ მოგვყავს. პირველი დიაგრამა ახასიათებს ენერგიის გამომუშავების ზრდას 1928 წლის ივნისიდან 1929 წლის იანვრამდე, მეორე წარმოადგენს ენერგიის გამომუშავების თვიური გრაფიკების შედარებას 1928 და 1929 წლების იანვარში, და, დასასრულ, მესამე დიაგრამა წარმოადგენს ჰიდროსადგურის მუშაობის დღეღამის გრაფიკების შედარებას 1928 და 1929 წლების იანვარში.

სადგურის დატვირთვის ხასიათი დღეღამის გრაფიკის მიხედვით და მსხვილი სამრეწველო რაიონების სადგურების გრაფიკებთან შედარებით ერთი შეხედვით შეიძლება ხელსაყრელი არ გვეჩვენოს, ვინაიდან დღიური დატვირთვა მცირეა საღამოს დატვირთვასთან შედარებით და დატვირთვის „პიკის" საშუალო დატვირთვასთან შეფარდება შეადგენს დაახლოვებით 1,7:1,0.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ წყლის ხარჯისა და ძირითად ნაგებობათა მოწესრიგებისა და მოწყობილობის მიხედვით ზაჰესი ეკუთვნის ისეთი ცენტრალების რიცხვს, რომლებშიაც პიკის მოწესრიგება სწარმოებს მთელი დღეღამის განმავლობაში, ე. ი. მას ახასიათებს პიკის მაღალი შეფარდება საშუალო დატვირთვასთან.

სადგურის პროექტის შედგენის დროს ეს შეფარდება ნავარაუდევი იყო 2:1, ე. ი. სადგურის უკვე ეხლანდელი დატვირთვა იძლევა უფრო ხელსაყრელ დღეღამის გრაფიკს, ვიდრე ეს პროექტით იყო გათვალისწინებული.

სადგურზე დადგმული ტურბოგენერატორების სიმძლავრე უდრის 12.800 კილოუატს—დადგმულია ოთხი 3.200 კილოუატიანი ტურბინი. ამრიგად, სადგურის დატვირთვა უკვე შეადგენს სადგურის მთელი დაწესებული სიმძლავრის 62,5 პროცენტს.

I



ხოლო თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ერთ-ერთი ტურბინი მიჩნეულ უნდა იქნას სათადარიგოდ, სადგურის ეგრედწოდებული „სამუშაო" სიმძლავრე უდრის 9.600 კილოუატს და, მაშასადამე სადგურის დატვირთვა შეადგენს მისი სამუშაო სიმძლავრის 83,5 პროცენტს.

ამავე დროს ქალ. თბილისის ელექტროფიკაცია ჯერ კიდევ მთლიანად არ ჩატარებულა: ბინების თითქმის 50 პროცენტს არა აქვს ელექტრობა და განათებულია ნავთით, რადგანაც შეუძლებელი გახდა მოქალაქეთა მოთხოვნილების დაკმაყოფილება.—შინაგან გაყვანილობათა მოწყობა და ბინების შეერთება ქსელთან. აგრეთვე სავსებით ვერ დაამთავრეს ზაჰესის დენზე გადასვლა ზოგიერთმა საწარმოებმა, მაგალითად, რკინის გზების სახელოსნოებმა, ქალაქის სასაკლაომ და სხვ. ჯერ კიდევ არ მომხდარა ქალაქის წყალსადენის ელექტროფიკაცია, რადგანაც ამ 2 წლის წინად შეკვეთილი ტრანსფორმატორები და ელექტროტუმბოები მიღებულია მხოლოდ ამ ცოტა ხნის წინად და ჯერ კიდევ მონტაჟის პროცესშია.

აგრეთვე უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო ელექტროტრესტის მიერ გასულ წელს თბილისის ტრამვაის ქვესადგურზე დადგმული ერთღუზიანი გარდამსახების კონსტრუქციის დეფექტების გამო სამი აგრეგატიდან ორი გაფუჭდა და 1928 წლის დეკემბრის დასაწყისიდან ტრამვაის დატვირთვა 1.000 კილოუატით შემცირდა. როგორც გრაფიკებიდან სჩანს, ამ გარემოებამ გავლენა ვერ იქონია ჰიდროსადგურის საერთო დატვირთვის სწრაფ ზრდაზე.

უკვე არსებული საწარმოების გარდა იაფი ელექტროენერგიის არსებობის გამო იქმნება მთელი რიგი ახალი დიდი წამოწყებანი. ასეთია: თბილისის მაუდის ფაბრიკა, რომლის აგებაც მიმდინარე წელს დამთავრდება და რომელსაც დასჭირდება 1.500 კილოუატი, კასპის ცემენტის ქარხანა (35 კილომეტრის მანძილზე ჰიდროსადგურიდან), რომელიც ამუშავდება 1930 წლის აგვისტოში და რომელსაც დასჭირდება 3.000 კილოუატი, თბილისის ლითონის ქარხანა, რომელიც ამუშავდება 1930-31 წელს და რომელსაც დასჭირდება 1.000 კილოუატი, და სხვ.

II



ყველა ამ ახალი მომხმარებლის შეერთება აგრეთვე უკვე არსებულთა განვითარება, რა თქმა უნდა, გამოიწვევს სადგურის დატვირთვის შემდგომ ზრდას და უკვე 1930-31 წელს დატვირთული იქნება სადგურის მთელი დაწესებული სიმძლავრე და მას სათადარიგო ენერგია აღარ დარჩება. ამას, რა თქმა უნდა, შეუძლია გამოიწვიოს აბონენტებისათვის ენერგიის მიწოდების შემცირება იმ შემთხვევაში, თუ საჭირო გახდა ერთ-ერთი აგრეგატის გაჩერება შესაკეთებლად.

1931-32 წელს პირველ რიგში დადგმული ტურბოგენერატორების სიმძლავრე უკვე საკმაო აღარ იქნება დატვირთვის დასაკმაყოფილებლად, მაგრამ ამ დროისათვის ამუშავდება ახალი ჰიდროელსადგური რიონჰესი, რომელიც ამჟამად შენდება და მდებარეობს 190 კილომეტრის მანძილზე ზაჰესიდან. ახალი ჰიდროსადგური ზაჰესთან დაკავშირებული იქნება ელექტროგადაცემის მაღალ ვოლტიანი ხაზით, რომელიც მოგვცემს ამ დამატებით სიმძლავრეს.

მაგრამ მხედველობაში უნდა მივიღოთ გარემოება, რომ ზაჰეს-რიონჰესის შემაერთებელი გადამცემი ხაზი ენერგიას მიაწოდებს ამიერ-კავკასიის რკინისგზების სურამის უღელტეხილის უბანს, რომელიც ელექტროენერგიაზე გადადის.

ნორმალურად ამირ-კავკასიის რკინის გზა დენს რიონჰესისაგან მიიღებს, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ჰიდროსადგურზე ან გადამცემ ხაზზე მოხდა

III



ავარია, ელექტრონის ენერგიაზე გადაყვანილი უბნისთვის ენერგიის მიწოდება ზაჰესს დაეკისრება.

თუ, როგორც ზემონათქვამიდან სჩანს, ზემო-ავჭალის ჰიდროსადგურის პირველი რიგის აგრეგატების არასაკმაო სიმძლავრის გამო, დროებით შესწყდა დენის მოწოდება რიონჰესიდან, ასეთ შემთხვევაში საჭირო გახდება ქალ. თბილისის ნაწილისათვის ან მთელ რიგ რომელიმე დაწესებულებებისათვის ენერგიის მიწოდების შეწყვეტა, რაც, რა თქმა უნდა, უაღრესად არასასურველია. ამიტომ ბუნებრივად ისმება საკითხი ვ. ი. ლენინის სახელობის ჰიდროსადგურის გაფართოვების შესახებ მეორე რიგის ტურბოგენერატორების დადგმით, ე. ი. მისი სიმძლავრის აყვანა 26.000 კილოუატამდე.

ვინაიდან მოწყობილობის შეკვეთას, ქარხნების მიერ შეკვეთის შესრულებას და მოწყობილობის მონტაჟს ორ წელიწადზე მეტი დასჭირდება, აშკარაა, რომ ზაჰესის 1929-30 წლის სამრეწველო-ფინანსიურ გეგმაში საჭიროა შეტანილ იქნას თანხა, რომელიც უნდა მიეცეს ქარხნებს ტურბოგენერატორებისა და სხვა მოწყობილობის დაკვეთის დროს. მუშაობა სადგურის სიმძლავრის 26.000 კილოუატამდე ასაყვანად ისეთი ანგარიშით უნდა სწარმოებდეს, რომ დამატებითი სიმძლავრის ექსპლოატაციის დაწყება შესაძლებელი გახდეს არა უგვიანეს 1932-33 წლის დამლევისა.

მუშაობა ზაჰესის სიმძლავრის გასაფართოებლად დიდ ხარჯებთან არ იქნება დაკავშირებული, ვინაიდან ჰიდროსადგურის მთელი ჰიდროტეხნიკური და საამშენებლო ნაწილი თავიდანვე იმ ანგარიშით არის აგებული, რომ მხედველობაში მიღებულია სადგურის სრული სიმძლავრე—40.000 კილოუატი. ამიტომ, არსებითად ხარჯები უმთავრესად განისაზღვრება საჭირო ელექტროტეხნიკური მოწყობილობის მიწოდების ღირებულებით.

უნდა აღინიშნოს, რომ ზაჰესის სიმძლავრის გაფართოვებას მნიშვნელობა ექნება არა მარტო ზემოთ აღნიშნულ მომხმარებელთა გაძლიერებული დატვირთვის დასაკმაყოფილებლად, არამედ აგრეთვე უაღრესად სერიოზულ როლს ითამაშებს ელექტროქიმიური და ფერომარგანეცის წარმოების მოწყობაში. აღნიშნულ წარმოებათა საფუძველს წარმოადგენს ზაჰესისა და რიონჰესის ჰიდროსადგურების იაფი სეზონური ელექტროენერგიის გამოყენება. აღნიშნულ ჰიდროსადგურებზე დამატებითი ტურბოგენერატორების დადგმა საშუალებას მოგვცემს გამოვიყენოთ მდინარე რიონისა და მტკვრის საშუალო სეზონური ენერგია, რომელიც წელიწადში გადააჭარბებს 200 მილიონ კილოუატ საათს.

ამ საკითხს დავუბრუნდებით „კომუნისტი"-ს ფურცლებზე ახლო მომავალში.

ინჟინერი **ბეს. ჭიჭინაძე.**

საბჭოთა არჩევნები

თბილისში

პოლიგრაფტრესტის მეხუთე სტამბაში

9 თებერვალს, მუშაობის დამთავრების შემდეგ, შესდგა პოლიგრაფტრესტის მეხუთე სტამბის, გაზ. „კომუნისტი“-ს და „მუშა“-ს მუშა-მოსამსახურეთა გაერთიანებული კრება. კრების დღის წესრიგში დასმული იყო განაწესის მიღება თბილისის საბჭოსათვის და დეპუტატების არჩევა. კრებაზე გამოცხადდა ამომრჩეველთა თითქმის მთელი ასი პროცენტი. თბილისის კომიტეტის განაწესს კრებამ თავის მხრივ დაუმატა მთელი რიგი პრაქტიკული წინადადებები: მეტი ყურადღება მიექცეს გარეუბნებში სასკოლო ქსელის გაფართოებას და საერთოდ მუშათა რაიონების კეთილმოწყობას, გაფართოებულ იქნას ელბაქიძის დაღმართი, დაისვას საკითხი თბილისში ლენინის ძეგლის აგების შესახებ, სათანადო ყურადღება მიექცეს კოოპერატიული სავაჭროების გახსნას გარეუბნებში, კერძოდ საბურთალოზე გაიხსნას პურის გასასყიდი სავაჭროები. გაფართოებულ იქნას ავლაბრის ამბულატორია. მე-5 სტამბის დეპუტატებმა დასვან თბილისის საბჭოში საკითხი ხსენებული სტამბის ეზოს შემოღობვის შესახებ, შემცირდეს სწავლის ფული მუშათა შვილებისათვის და სხვა ასეთი პრაქტიკული წინადადებები შემოქონდათ მუშებს.

კრებამ საბჭოს დეპუტატებად აირჩია ამხ. ლ. მეგრელაძე, დ. სპირანდი და იაშვილი.

თბილისის საბჭოს საპატიო წევრებად არჩეულია ამხ.: სტალინი, ბუხარინი, ორჯონიკიძე, ორახელაშვილი, ტომსკი, ფ. მახარაძე, მ. კახიანი და ლ. ქართველიშვილი.

დასასრულ კრებას და არჩეულ დეპუტატებს მოკლე მისასალმებელი სიტყვით მიმართა ქალაქის რაიკომის მდივანმა ამხ. მორჩილაძემ.

ტყავტრესტის ქარხანაში

ტყავის ქარხნის № 1-ის მუშა-მოსამსახურეთა გაერთიანებულ კრებაზე წაკითხულ იქნა განაწესი ახლად ასარჩევ თბილისის საბჭოსათვის, რაც მთლიანად იქნა მიღებული მცირე დამატებებით. შემდეგ კრება შეუდგა დეპუტატების არჩევას. თბილისის საბჭოში არჩეულ იქნენ შემდეგი ამხანაგები: ამხ. ტერ-ვართანოვი, ლადო სუხიშვილი, ბაგრატ მირზახანოვი, მიხ. გავრიში, გრიგოლ [illegible], საკოვი და კაშიძე. კანდიდატებათ: ამხ. ზურაბოვი და ხუზაროვი

ხელოვნების მუშაკთა შორის

ხელოვნების მუშაკთა კავშირის ერთიულ ჯგუფკომების წევრთა საარჩევნო კრებას დაესწრო 147 ამხანაგი. წაკითხულ განაწესს კრებამ თავის მხრივ დაუმატა შემდეგი: ჩამოერთვას კერძო მესაკუთრეებს სასტუმროები და გადაეცეს მუშა-მოსამსახურეებს საცხოვრებელ ბინებათ; დაწყებულ იქნას მუშაობა ტრამვაის ხაზის გასაყვანად კოჯორ-წყნეთის მიმართულებით; დაჩქარებით დამთავრდეს მუშაობა ავლაბრის მუშათა თეატრის ასაგებათ, ჩამოერთვას აბანოები კერძო მესაკუთრეებს და სხვ. განაწესი მთლიანად იქნა მიღებული დამატებებით, რის შემდეგ თბილისის საბჭოს დეპუტატათ კრებამ ერთხმად აირჩია ამხ. მახნიაშვილი.

მბეჭდავ მუშათა დიასახლისებში

7 იანვარს, საღამოს 6 საათზე მბეჭდავთა კავშირის მუშათა კლუბში შესდგა მბეჭდავ მუშათა ოჯახის წევრების საარჩევნო კრება, სადაც გამოცხადდა 480, ანუ ამომრჩეველთა 90 პროცენტი. თბილისის საბჭოს საერთო განაწესს დაუმატეს: გაფართოვდეს საბავშვო ბაღების და ბაგების ქსელი, მეტი ყურადღება მიექცეს პროსტიტუციასთან ბრძოლას და უმწეო ქალთა დახმარების საქმეს. დაიხუროს ქალაქ გარეთ მდებარე რესტორანები: „ვერდენი“, „თეთრი დუქანი“ და სხვ. მეტი ყურადღება მიექცეს მშრომელ ქალთა დაწინაურებას.

თბილისის საბჭოს დეპუტატებად კრებამ აირჩია: მიკირტიჩიანი (დიასახლისი), ასათიანი (მუშა ქალი) და ნიკოლაევა (დიასახლისი).

კრებაზე მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა ბაქოს მუშა ქალი ამხ. სტალიაროვა.

კინო.

ხე-ტყის ქარხანაში

შაბათს, 9 იანვარს, სამუშაოს დამთავრების შემდეგ ქარხნის წითელ კუთხეში შესდგა თბ. № 1 ხე-ტყის ქარხნის და ხის დამმუშავებელ კოლექტივის საარჩევნო კრება, სადაც გამოცხადდა ამომრჩეველთა მთელი 100 პროცენტი თბ. საბ. მისაცემ განაწესის მოსმენის და რამოდენიმე მუხლის დამატების შემდეგ, კრებამ თბ. საბ. დეპუტატებათ აირჩია: ამხ. დარჩო აბუაშვილი (მუშა) და კანდიდატად ამხ. ნიკო ტატიშვილი (კომკავშირელი).

ქ—ნო.

ჩვენი წარმომადგენლები თბილისის საბჭოში

მუშაობის შემდეგ, საქართველოს სახკომსაბჭოს კლუბში თავი მოიყარეს სახკომსაბჭოს და „წითელ არმიელი“-ს სტამბების, სახ. პოლიტსამმართველოს და სახკომსაბჭოს გარაჟის მუშა-მოსამსახურეებმა.

თბილისის საბჭოსათვის მისაცემ განაწესის განხილვის და საჭირო დამატებათა შეტანის შემდეგ, კრებამ თბილისის საბჭოს დეპუტატებათ გამოჰყო შემდეგი ამხანაგები: იოსებ მაშაკიძე, ზოსიმე ტყეშელაშვილი ტარაკანოვი და გენტლერი.

არჩევნები წითელ არმიაში

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო პოლიტსამმართველოს № პოლკში, არჩევნები დიდი გაცხოველებით ჩატარდა. წითელი არმიელები მრავალი საქმიანი წინადადებებით გამოდიან კრებაზე. ეხებიან თავიანთ ყოფა ცხოვრებას, მიუთითებენ ნაკლს საბჭოს მუშაობაში და ხაზს უსვამენ წითელ ყაზარმასა და მუშებს შორის მტკიცე კავშირის დამყარების აუცილებლობას.

ასეთივე საქმიანი მუშაობით კრებამ გაარჩია განაწესი, რის შემდეგაც შეუდგა არჩევნებს.

თბილისის საბჭოს დეპუტატებათ არჩეული იქნენ: მიხელსონი, ალექსეევი, რეშჩენკო, სემიონოვი და კრასნობოროდკინი.

ჩვენი დეპუტატები

საქ. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის, კურორტთა მთავარ სამმართველოს, სამეანო ინსტიტუტის და ფიზიკოთერაპევტიული ინსტიტუტის მუშა-მოსამსახურეებმა თბილისის საბჭოს წევრებათ აირჩიეს შემდეგი ამხანაგები. გრიგ. კუჭაიძე (ჯანმრთელობის სახ. კომისარი), ოგ. მეგრაბიანი და კონ. საკარაული.

მბეჭდავებში

მბეჭდავთა კავშირის პოლიგრაფკოლის, წითელი ჯვრის სტამბის, და კერძო წარმოებების მუშა-მოსამსახურეთა საარჩევნო კრებამ, რომელსაც დაესწრო ამომრჩეველთა 90 პროცენტი. თბილისის საბ. დეპუტატებათ აირჩია: ამხ. დავით ჯანელიძე და აბრამ ბეჟანიშვილი.

გემოკვების მუშაკებში

მე-14 ჯგუფკომში გაერთიანებულმა გემოკვების მუშაკებმა, საარჩევნო კრება არაჩვეულებრივი გაცხოველებით ჩაატარეს.

კრება განაწესის განხილვას მოუნდა ერთ საათზე მეტს, რის შემდეგ თბილისის საბჭოს დეპუტატებად გამოყოფილი იქნენ: ამხ. სააკ არუთინოვი, პოლოს ავაქოვი, მიხეილ მახუკიანი ამბროსი კერვალიშვილი, და ერვანდ გრიგორიანი.

გამსახლის თანამშრომლებში

გამსახლის და გამსახლის საავადმყოფოს მუშა-მოსამსახურეებმა თბილისის საბჭოს დეპუტატებათ გამოჰყვეს შემდეგი ამხანაგები: ა. ალბეშინი, ხორენოვიჩი, ურბანოვი და ვლად. სტეპანოვიჩი

უმუშევართა დეპუტატები

ტრამვაის მუშათა კლუბში თავი მოიყარეს თბილისის შრომის ბირჟის არა კავშირის წევრ უმუშევრებმა.

თბილისის კომიტეტის განაწესის განხილვის დროს უმუშევრებმა მოითხოვეს, რათა უმუშევართათვის მოეწყოს თავშესაფარი. დაარსდეს უმუშევრობასთან მებრძოლი სექცია და სხვა.

თბილისის საბჭოს დეპუტატებათ კრებამ ერთხმად აირჩია, ამხ. არეშიძე. მელაშვილი და უმუშევარი—კომკავშირელი ქალი ამხ. ზიორგზიანი.

ავტო-მანქანების დემონსტრაცია

10 თებერვალს დილით, თბილისის ავტო-კლუბის თაოსნობით თბილისში გაიმართა ავტო-მანქანათა დემონსტრაცია, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 116 ავტომობილმა.

შუადღის 12 საათზე დემონსტრაცია დაიძრა ავტო-კლუბის შენობიდან. პლეხანოვის პროსპექტზე გამწკრივებული ავტომობილების უკან თავი მოეყარათ ტრანსპორტზე მომუშავეთა პროფკავშირის წევრებს, რომელთა რიცხვიც ათას კაცს აჭარბებდა. დემონსტრაციის სვლას ხელმძღვანელობდა ავტო-კლუბის მიერ გამოყოფილი კომისია, რომელიც სპეციალურათ მორთული ავტომობილით მიუძღვოდა წინ დემონსტრაციას.

პლეხანოვის პროსპექტიდან ელბაქიძის აღმართის აღლით დემონსტრაცია გაემართა რუსთაველის პროსპექტით. საქ. კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის შენობასთან ავტო-მანქანათა დემონსტრაცია შეჩერდა და ავტომობილებს გუდოკების აყვირებით მიესალმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელ ცენტრალურ ორგანოს.

თავისუფლების მოედანზე დემონსტრაციის მოსვლისას გაიმართა დიდი მიტინგი, რომელზედაც სიტყვით გამოვიდა ამხ. მ. ბოლქვაძე, რომელიც მიესალმა ავტო ტრანსპორტის მუშაკებს და აღნიშნა ის როლი, რომელიც ითამაშა ავტო-კლუბმა უკანასკნელი მოტო-გადარბენების მოწყობით, მიმდინარე საარჩევნო კამპანიის წარმატებით ჩატარებაში.

ამხ. ბოლქვაძის სიტყვა დაჭექა ავტო-ხარენების გუგუნმა და „ვაშას“ ძახილმა. მიტინგი გადაცემულ იქნა რადიოთი. ნაშუადღევის 2 საათზე დემონსტრაცია დასრულდა.

არჩევნები ადგილებზე

(ცენტრალური კომისიის საარჩევნო მასალები)

ცენტრალური საარჩევნო კომისიის ცნობებით 1-დან 8 თებერვლამდე მთელ რესპუბლიკაში არჩევნები დამთავრებულია 10 თემში ყველა თემებში გამოყოფილი ყოფილა 100 საარჩევნო უბანი. ამომრჩეველთა საერთო რიცხვი აღნიშნულ თემებში შეადგენდა 28.870 კაცს. აქედან საარჩევნო კრებებს დაესწრო 17.258 ამომრჩეველი ანუ 60,8 პროცენტი.

ყველა თემებში არჩეულია 602 დეპუტატი. მათ შორის 16,6 პროც. ქალები არიან. 27 პროც. კომპარტიის წევრები და კანდიდატები, 14,4 პროც. კომკავშირელები და 56,5 პროც. ღარიბი გლეხები.

არჩევნების დროს რესპუბლიკის მთელ რიგ ადგილებში ადგილი ჰქონდა კულაკური ელემენტების გამოსვლას: **საგარეჯოს თემში** (თბილისის მაზრა) საარჩევნო კრებაზე კულაკები გამოვიდნენ შეკავშირებულათ და წამოაყენეს თავისი კანდიდატები. კულაკების საკანდიდატო სიაში შეტანილი იყო 14 ყოფილი ვაჭარი. კულაკური ელემენტების აქტიობა არჩევნების დროს დიდი იყო **ქუთაისის მაზრაშიც**. მთელ რიგ თემებში კულაკები აშკარად ილაშქრებდნენ ღარიბთა ჯგუფების კანდიდატების წინააღმდეგ და ხშირად ფიზიკური ზეგავლენის მეთოდებსაც მიმართავდნენ. ასე, მაგალითად **საკრაულას თემში კულაკმა კიკნაველიძემ** ხცემა ღარიბ გლეხს—**ლეჟავას და ხანჯლით დასჭრა ლეჟავას ოჯახის 8 წევრი**.

თბილისის მაზრაში საარჩევნო ხმის უფლება წელს ჩამორთმეული აქვს სრულწლოვან მოქალაქეთა საერთო რიცხვის 4,6 პროცენტს. გასულ წლებში კი მათი რიცხვი უდრიდა 8,7 პროცენტს. საარჩევნო ხმის უფლება მოკლებულთა რიცხვის ასეთი ზრდა აიხსნება იმ გარემოებით, რომ მიმდინარე საარჩევნო კამპანიისათვის შავ სიაში შეტანილ იქნენ საარჩევნო ხმის უფლება წართმეულთა კმაყოფაზე მყოფი ოჯახის წევრებიც.

თბილისის მაზრაში სულ გამოყოფილია 426 საარჩევნო უბანი. მაზრის ზოგიერთ თემებში არჩევნები უკვე ჩატარებულია, ხოლო დანარჩენ თემებში ამჟამად მიმდინარეობს.

მთელ რესპუბლიკაში არჩევნები დამთავრდება მარტის შუა რიცხვებისათვის.

კახეთის მაზრაში

ბოდბისხევი

(გადმოცემულია ტელეგრაფით)

წნორის-წყალი, 10 თებერვალი. ბოდბისხევში (კახეთის მაზრა), საარჩევნო კრება მოეწყობა 18 თებერვალს. კომუჯრედის და ღარიბ გლეხთა ჯგუფების მიერ წინასწარ შემუშავებული ახალ საბჭოს წევრთა კანდიდატურები და განაწესის პროექტი დამუშავდა თემსაბჭოს სხდომაზე 8 თებერვალს. ბოდბისხევში აღნიშნული პროექტების დასამუშავებლად შესდგა ქალთა კრება პროფკავშირის წევრებთან და მოჯამაგირეებთან ერთად. მიუხედავად იმისა, რომ ამ დღეს დიდი ყინვა იყო, კრებას მაინც დაესწრო 250 ქალი, კულაკების ცოლები შემოიპარენ კრებაზე, მაგრამ ისინი გაძევებულნი იქნენ გლეხ-ქალების მიერ. კომუჯრედის და ღარიბთა ჯგუფის მიერ შემუშავებული კანდიდატურები და განაწესის პროექტი კრებამ მოიწონა.

კრების დასასრულ ადგილობრივ მოჯამაგირეების მიერ მოწყობილ იქნა მხატვრული საღამო, რითაც დამსწრენი კმაყოფილნი დარჩნენ.

ოზურგეთის მაზრაში

ქიმითის თემი

ნაგომარი, 11 თებერვალი. ქიმითის თემში მიუხედავად ცუდი ამინდისა, 10 თებერვალს ჩატარდა თემსაბჭოს არჩევნები. 858 ამომრჩევლიდან კრებას დაესწრო 591, მათ შორის 255 ქალი. საბჭოში არჩეულია 17 წევრი და 5 კანდიდატი. არჩეულ დეპუტატებში კომუნისტი—8, კომკავშირელი 2, ქალი—8.

სათემო საარჩევნო კომისია.

აცანის თემი

(გადმოცემულია ტელეგრაფით)

ოზურგეთი, 11 თებერვალი. აცანის თემში თემსაბჭოს არჩევნები წარმატებით ჩატარდა. მიუხედავად ცუდი ამინდის, ამომრჩეველთა საერთო დასწრება კრებებზე 70 პროც. უდრიდა. თემსაბჭოს საპატიო წევრად არჩეულია ამხ. ფილიპე მახარაძე და ლ. ქართველიშვილი.

საარჩევნო კომისია

ნაგომრის თემი

(გადმოცემულია ტელეგრაფით)

ნაგომარი, 10 თებერვალი. ნაგომრის თემში 9 თებერვალს დამთავრდა საბჭოს არჩევნები. ამომრჩეველთა რიცხვი უდრიდა 907. მიუხედავად დიდი თოვლისა, კრებებს დაესწრო 679 ამომრჩეველი. მათ შორის ქალები 281, საბჭოში არჩეულია 28 წევრი და 8 კანდიდატი (ქალები—6, კომუნისტი—10, კომკავშირელი—8). თემსაბჭოს წევრად არჩეულია ამხ. ლავრენტი ქართველიშვილი.

საარჩევნო კომისია.

დვაბზუს თემი

(გადმოცემულია ტელეგრაფით)

ცხემლისხიდი, 10 თებერვალი. დვაბზუს თემში არჩევნები ჩატარდა დიდი აღფრთოვანებით, საარჩევნო კრებებს დაესწრო ამომრჩეველთა 85.8 პროცენტი თემსაბჭოს საპატიო წევრებათ არჩეულია ამხ. სტალინი, ორჯონიკიძე, მახარაძე, კახიანი და სუხიშვილი.

გურგენაძე, ანთიძე.

აკეთის თემი

(გადმოცემულია ტელეგრაფით)

აკეთი, 11 თებერვალი. აკეთის თემში, მიუხედავათ დიდი თოვლისა, თემსაბჭოს არჩევნები ჩატარდა დიდი ზეიმით. კრებებზე დამსწრეთა რიცხვი უდრიდა 76 პროც. არჩეულია 58 დეპუტატი და 7 კანდიდატი, ამათში 15 კომუნისტი, 8 კომკავშირელი და 11 ქალი. თემსაბჭოს საპატიო წევრებათ არჩეულია: ამხ. გერმანე მგალობლიშვილი და ანდრო დოლიძე.

გერმანე ჯგლაძე.

ასკანის თემი

(გადმოცემულია ტელეგრაფით)

ასკანა, 10 თებერვალი. ასკანის თემში ერთ მეტრზე მეტი თოვლია, მიუხედავად ამისა, საარჩევნო კრებები თემის 5 უბანში წარმატებით ჩატარდა. ამომრჩეველთა დასწრება უდრიდა 65 პროცენტს.

ნიკოლაიშვილი.

ბახვის თემი

(გადმოცემულია ტელეგრაფით)

ოზურგეთი, 10 თებერვალი. შუა-ბახვის საარჩევნო უბანში, მიუხედავად დიდი თოვლისა, არჩევნები ზეიმით ჩატარდა. 925 ამომრჩევლიდან კრებაზე გამოცხადდა 848, რაც 95 პროცენტს უდრის, ანტისაბჭოთა გამოსვლებს ადგილი არ ჰქონია.

ბარამიძე.

ოზურგეთის თემი

(გადმოცემულია ტელეგრაფით)

ოზურგეთი, 10 თებერვალი. 9 თებერვალს ოზურგეთის თემში ჩატარდა საბჭოს არჩევნები. ამომრჩეველთა რიცხვი უდრიდა 1.540. საარჩევნო კრებებს დაესწრო 1,095, ამათში ქალები—424. არჩეულია 36 დეპუტატი. კომუნისტი—13, კომკავშირელი—6, უპარტიო—17, ქალი—8.

მგალობლიშვილი.

სილაურის თემი

(გადმოცემულია ტელეგრაფით)

ოზურგეთი, 10 თებერვალი. სილაურის თემში არჩევნები ჩატარდა ერთ უბნათ. მიუხედავათ სუსხიანი ამინდისა და თოვლისა, 494 ამომრჩევლიდან კრებაზე გამოცხადდა 381 ამომრჩეველი, ესე იგი 77 პროცენტი. კრებას მიესალმა ფოთის მუშების წარმომადგენელი—ამხ. თავბერიძე, საბჭოს საპატიო წევრათ ამხ. ფილიპე მახარაძის დასახელებას კრება ოვაციებით შეხვდა.

როინიშვილი.

გორის მაზრაში

საარჩევნო დემონსტრაცია

(გადმოცემულია ტელეგრაფით)

11 თებერვალს, ნაშუადღევის 2 საათზე ქ. გორში, საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებით შესდგა გრანდიოზული დემონსტრაცია. დემონსტრაციაში მონაწილეობას იღებდა წითელი არმიის ნაწილები, პროფკავშირები, ხელოსნები და მოსწავლე ახალგაზრდობა. ასეთი მრავალრიცხოვანი დემონსტრაცია გორში ჯერ არ ყოფილა. ქალაქი საზეიმოდ არის მორთული. დემონსტრაცია გადაღებულია კინოსათვის.

გუშინ დაიწყო საბჭოთა არჩევნები. პირველ უბანში 327 ამომრჩევლიდან კრებას დაესწრო 303 ამომრჩეველი.

ქ. მგელაძე.

ბორჯომის თემი

ბორჯომის თემის საარჩევნო კომისია შეუდგა სამზადისს საარჩევნო კამპანიის ჩასატარებლათ გას. წ. 15 დეკემბრიდან. შედგენილ იქნა სამოქმედო გეგმა და კალენდარული ცხრილი. ბორჯომის თემში შედის 28 სოფელი, ამის გამო, ამავე რაოდენობის საანგარიშო უბნებაც იქნა დაყოფილი. თითეულ უბანზე მიმაგრებული იყო მომხსენებლები ანგარიშის ჩასატარებლათ. საბჭოს საანგარიშო კამპანია დაიწყო 2 იანვრიდან და დამთავრდა 25 იანვარს. საანგარიშო მოხსენებების დროს, დასმული იყო შემდეგი საკითხები: 1. საბჭოს საანგარიშო მოხსენება, 2. საარჩევნო ინსტრუქციის განხილვა, 3. კოოპერაციის და სატყეო მეურნეობის მდგომარეობის შესახებ ჩატარებულ იქნა აგრეთვე თემში ღარიბ გლეხობის საერთო კრებები, სადაც გლეხობა დიდ აღტაცებით შეხვდა საარჩევნო კამპანიის ჩატარებას. ყოველ კრებებზე ღარიბი გლეხობა ერთსულოვნათ გამოდიოდა, საბჭოს წევრებათ აყენებდენ ღირსეულ პირებს. მოხსენების დროს კამათში დიდ აქტივობას იჩენდენ, უმთავრესად ეხებოდენ სასურსათო საკითხს, სწავლა-განათლების და საზენ მასალით ღარიბ გლეხობის დაკმაყოფილებას. საანგარიშო კამპანიის ჩატარების დროს კულაკების გამოსვლებს ადგილი არ ჰქონია.

პირველ თებერვლიდან საარჩევნო კომისია შეუდგა საბჭოთა არჩევნების ჩატარებას. ყოველგან, სადაც კი არჩევნები ჩატარდა, მოსახლეობა დიდი აღფრთოვანებით და ზეიმით შეხვდა.

5 თებერვალს ნაშუადღევის 4 საათზე ბორჯომში გაიმართა მუშა-მოსამსახურეების და ადგილობრივ მცხოვრებთა დემონსტრაცია, საბჭოთა არჩევნებთან დაკავშირებით.

ქალაქი მორთულია საზეიმოთ. დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო 8000 კაცამდე. დემონსტრანტებს მიჰქონდათ დროშები, პლაკატები წარწერით „გაუმარჯოს საბჭოებს, არც ერთი ნეპმანი და კულაკი საბჭოებში“ და სხვ. დემონსტრანტების ზეიმი დამთავრდა საღამოს 8 საათზე.

ირ. თოფურიძე.

რკ. გზელთა პროფკავშ. მონაწილეობა არჩევნებში

საბჭოების გადარჩევის კამპანიასთან დაკავშირებით, ამ.-კავკასიის რკინის გზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტის პრეზიდიუმმა კავშირის საუბნო კომიტეტებს თავის დროზე დაუგზავნა ცირკულიარი კავშირის წევრთა საბჭოთა არჩევნებში მონაწილეობის შესახებ.

ცირკულიარის თანახმად, საუბნო კომიტეტებს დაევალათ კავშირის წევრთა საერთო სადელეგატო და საცეხო კრებებზე და წარმოებებში დაესვათ საბჭოებს წევრების მოხსენებები საბჭოების მუშაობის შესახებ.

საუბნო და ადგილობრივ კომიტეტებს, მუშებსა და გლეხების შორის მჭიდრო კავშირის დამყარების მიზნით, სოფლად მცხოვრებ რკინიგზელთა შორის უნდა ჩაეტარებინათ სათანადო კამპანია.

ადგილებიდან მიღებული ცნობების თანახმად, რკინისგზელთა საუბნო კომიტეტებმა საბჭოების გადარჩევასთან დაკავშირებული წინასწარი მუშაობა ყველგან ჩაატარეს.

ბათომის საუბნო კომიტეტიდან მიღებული ცნობით. საანგარიშო კრებებზე რკინისგზელებმა ყურადღება მიაქციეს უმთავრესად ადმშენებლობის საკითხებს. ისინი მოითხოვდნენ ბათომში ტრამვაის გაყვანას, განათლების საქმის მოწესრიგებას ქალაქის გარე უბნების კეთილმოწყობისათვის მეტი ყურადღების მიქცევას და სხვა.

ახალ საბჭოსათვის მიცემულ განაწესს დაემატა ცეხურ კრებებზე გამოტანილი პრაქტიკული მითითებანი და მუშა-მოსამსახურეების კერძო წინადადებები.

საარჩევნო დემონსტრაცია ქ. დუშეთში

5 თებერვალს ქ. დუშეთში მოტოციკლეტებით მოვიდნენ „ავტო-გზის“ წარმომადგენლები, მათი მიზანი იყო გასცნობოდენ დუშეთის თემის მოსახლეობას, გაეცნოთ მათთვის მიმდინარე საბჭოთა არჩევნების მნიშვნელობა და დუშეთის თემში „ავტო გზის“ უჯრედის დაარსება.

დუშეთის თემალმასკომის წინ, მიუხედავად ცუდი ამინდისა, აურაცხელმა ხალხმა მოიყარა თავი. აქვე მოვიდა ადგილობრივი წითელ არმიელები და დუშეთის სკოლების მთელი მოსწავლე ახალგაზრდობა.

მიტინგი გახსნა თემალმასკომის თავმჯდომარემ ამხ. აფციაურმა.

მიტინგზე ილაპარაკეს როგორც სტუმრებმა, აგრეთვე ადგილობრივ ხელისუფლებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლებმა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ბაქოს „ავტოგზის“ წარმომადგენლის ამხ. უსიკოვის სიტყვა. „ბაქოს პროლეტარიატი მომზადებული შეხვდა საბჭოთა არჩევნებს,—აღნიშნა ამხ. უსიკოვმა,—და თქვენ ქართველები, იმედია, ჩვენ არ ჩამოგვრჩებით!“.

მიტინგის შემდეგ ადგ. მუშა-მოსამსახურეთა კლუბში სტუმრებმა ხალხს აჩვენეს უფასო კინო-სურათი.

კინოს შემდეგ „ავტოგზის“ მნიშვნელობის შესახებ ილაპარაკეს იმავე სტუმრებმა და მოუწოდეს დუშეთის საზოგადოებას აქაც დაარსებიათ „ავტოგზის“ უჯრედი. კრებამ მოიწონა ეს აზრი და უჯრედის ჩამოყალიბება მიანდო ამავე კრებაზე გამოყოფილ პრეზიდიუმს.

დასასრულ „ავტოგზის“ წარმომადგენლებმა სათანადო ნიშნებით დააჯილდოვეს პრეზიდიუმის წევრები და იკისრეს დუშეთის უჯრედზე შეფობა. საზოგადოება მეტად კმაყოფილი დაიშალა.

შ. ლორთქიფანიძე.

ა.-კ. საოლქო საკ. კომისიისა და მ.გ. ინსპექციის 1928—29 წ. მუშაობის გეგმა

(საქ. კ. პ. (ბ) ა. კ. საოლქო საკ. კომისიის მე-IV პლენუმის რეზოლიუცია)

1. პარტიის მე-15 ყრილობის დირექტივები მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოებს ამოცანად უსახავენ, რომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ საბჭოთა, სამეურნეო და კოოპერატიული აპარატის შემდგომი გამარტივების საკითხებს, ბიუროკრატიზმთან და საქმის გაჭიანურებასთან ბრძოლის საკითხებს, კაპიტალური მშენებლობის შემოწმებისა და პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლის საკითხებს, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოციალისტური პოზიციების განმტკიცების დარგში როგორც ქალაქად, ისე, განსაკუთრებით, სოფლად.

ამ დირექტივების საფუძველზე აგებული ა.-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის 1928—29 წლის მუშაობის გეგმა, ამავე დროს, მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოებს ყურადღებას აქცევს იმ სხვადასხვა კონკრეტულ ამოცანათა შესწავლასა და შემოწმებას პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მშენებლობის დარგში, რომლებიც პირველ რიგში წამოაყენა საკავშირო კომპარტიის (ბ) ც.-კ.-ისა და ცენტრ. საკონტრ. კომისიის უკანასკნელმა ნოემბრის პლენუმმა.

2. საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრ. საკონტრ. კომისიის ნოემბრის პლენუმმა აღნიშნა, რომ მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოების მუშაობას საფუძვლად უნდა დაედოს უაღრესად ენერგიული, უაღრესად მხნე მუშაობა საბჭოთა აპარატის გასაუმჯობესებლად და გასამარტივებლად. გადამჭრელი ბრძოლა მის ბიუროკრატიულ სიმახინჯეებთან და აპარატის მთელი პირადი შემადგენლობის შემოწმება იმ მიზნით, რომ იქიდან განდევნილ იქნან მუშ. კლასისადმი მტრულად განწყობილი და უცხო ელემენტები, განახლებულ იქნას აპარატი რევოლიუციის დროს მომწიფებულ მუშათა და გლეხთა ახალი კადრების უფრო გაბედული დაწინაურების გზით.

ამასთან დაკავშირებით მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობის გეგმა, საბჭოთა აპარატის მუშაობის სისტემის შესწავლასა და რაციონალიზაციასთან ერთად, თავის ამოცანად ისახავს აგრეთვე საბჭოთა, სამეურნეო და კოოპერატიული ორგანიზაციების პირადი შემადგენლობის შემოწმებას.

3. პარტიის მე-15 ყრილობამ ხაზგასმით დაჟინებით აღნიშნა, რომ სახელმწიფო, სამეურნეო და კოოპერატიული აპარატის მოსამსახურეთა უყურადღებობა მუშისა და გლეხისადმი სახიფათოდ და დანაშაულობად უნდა ჩაითვალოს საბჭოთა ხელისუფლების წინაშე. ყრილობის ამ დირექტივამ თავისი გამოხატულება ჰპოვა მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობის გეგმაში, რომელიც ითვალისწინებს საქმისათვის მისულ პირთა მიღებისა და მათი განცხადებების განხილვის წესის ფართოდ გამოკვლევას საბჭოთა დაწესებულებებში, აგრეთვე მომხმარებლის დაკმაყოფილების გამოკვლევას კოოპერატიულ დაწესებულებებში.

4. სახელმწიფო აპარატის ნამდვილი გაუმჯობესება მხოლოდ მაშინ მოხერხდება, თუ მშრომელთა მასები ნამდვილად იქნებიან ჩაბმულნი ქვეყნის მართვა-გამგეობის საქმეში და თუ მუშათა და გლეხთა ფართო მასები მონაწილეობას მიიღებენ აპარატის დეფექტებთან ბრძოლაში.

სოციალისტურ მშენებლობაში მუშათა და გლეხთა მასების მონაწილეობის ერთ-ერთ მთავარ პირობას წარმოადგენს თვითკრიტიკის ფართოდ გაშლა-განვითარება.

იმის შესამოწმებლად, თუ რამდენად შესრულდა საკავშირო კომპარტიის (ბ) ც.-კ.-ის დირექტივები ამ საკითხზე, ა.-კავკასიის საოლქო საკონტროლო კომისია და მუშათა და გლეხთა ინსპექციის 1928—29 წლის მუშაობის გეგმა საჭიროდ სცნობს თვითკრიტიკის განხორციელების ფართო შემოწმებას. შესრულებულ მუშაობის ყველა დეფექტების და პრაქტიკული შედეგების გამორკვევას.

5. საკონტროლო კომისიისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოების მთავარ ამოცანას, რომელიც მათ ჯერ კიდევ ვ. ი. ლენინმა დაუსახა და რომელიც მე-15 ყრილობისა და საკავშ. კომპარტიის (ბ) ც.-კ.-ისა და ცენტ. საკ. კომ. უკანასკნელი პლენ. გადაწყვეტილებებმა საგანგებოდ აღნიშნეს, წარმოადგენს მთავრობის კანონებისა და პარტიული დირექტივების განხორციელების შემოწმება; ამიტომ მუშათა და გლეხთა ინსპექციის 1928—29 წ. მუშაობის გეგმაში გათვალისწინებულია სხვადასხვა საკონტროლო და შემამოწმებელი მუშაობა საბჭოთა მშენებლობის, მრეწველობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის, ვაჭრობის, კოოპერაციის და ფინანსების დარგში.

6. რადგან ბიუროკრატიზმთან, საქმის გაჭიანურებასთან და აპარატის ბიუროკრატიულ სიმახინჯეებთან ბრძოლის ყველაზე უფრო რეალურ ფორმას წარმოადგენს სისტემატიური მუშაობა სახელმწიფო აპარატის რაციონალიზაციისათვის და მისი სოციალისტური გარდაქმნისათვის, ამიტომ მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოებმა, საუწყებო რაციონალიზაციისათვის ხელმძღვანელობის გაწევასთან ერთად, მიმდინარე წელს უნდა შეისწავლონ ცალკე უწყებათა და დაწესებულებათა სტრუქტურა მათი გამარტივებისა (ზედმეტი ორგანოების ლიკვიდაცია) და გამოცდილებათა განზოგადების მიზნით მათ მუშაობა უნდა განაგრძონ აგრეთვე აღრიცხვისა და ანგარიშების გამარტივებისა და შემოკლებისათვის.

პლენუმი მთლიანად იწონებს ბაქოს მე—18 პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილებას იმის შესახებ, რომ საჭიროა გადათვალიერებულ და გამარტივებულ იქნას სახალხო კომისარიატების აპარატი ა.-კავკასიის ავტონომიურ ოლქებსა და რესპუბლიკებში. პლენუმი ავალებს მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოებს—უახლოეს ხანში გადაათვალიერონ რესპუბლიკანური და ამიერ-კავკასიის ერთი და იგივე სახელწოდების სახ. კომისარიატება (სახელმწიფო საგეგმო კომისია, ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო) მათი მაქსიმალური გამარტივების მიზნით.

7. პლენუმი აღნიშნავს საკონტროლო კომისიისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოების ყურადღების გაძლიერებას კაპიტალური მშენებლობის საკითხებისადმი და საჭიროდ სცნობს, რომ შემდგომშიაც უზრუნველყოფილ იქნას მთელი კაპიტალური მშენებლობის დროული კონტროლი ამიერ-კავკასიის მრეწველობისა და ტრანსპორტის დარგში.

პლენუმი წინადადებას იძლევა, რომ ამ მუშაობის შესრულების დროს განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს აგრეთვე კაპიტალური მშენებლობის გაიაფების, პროდუქციის თვითღირებულების შემცირების, მშენებლობის თვითღირებულების 15 პროცენტით შემოკლების საკითხებს და სხვ.

8. განვლილი წლის განმავლობაში საკონტროლო-კომისიისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს იმ საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია პარტიის მუშაობასთან სოფლად (დახმარება ღარიბ გლეხობას, სასოფლო-სამეურნეო კრედიტი, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია, თესვის კამპანია და სხვ.). საკონტროლო კომისიისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის ამ მუშაობამ საშუალება მისცა პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს თავიდან აეცილებინათ სხვადასხვა დეფექტები და პარტიის კლასობრივი ხაზის გამრუდებანი სოფლად.

პლენუმი წინადადებას იძლევა, რომ შემდგომშიაც დამუშავებულ იქნას სხვადასხვა საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია პარტიის დირექტივების შესრულებასთან სოფლის სოციალისტური გარდაქმნისა და სოფლის მეურნეობის საწ. ძალების განვითარების საქმეში (საბჭოთა მეურნეობანი, მიწათმოწყობა და სხ.).

9. იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მუშათა და გლეხთა ინსპექციის გადაწყვეტილებათა თავის დროზე და სწორი განხორციელება, რომ გამომჟღავნებულ იქნას მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოების საგამოკვლევო მუშაობის რეალური შედეგები, რომ გაძლიერდეს ორგანიზაციებისა და დაწესებულებათა ხელმძღვანელების პასუხისმგებლობა მუშათა და გლეხთა ინსპექციის წინადადებათა განხორციელების საქმეში, პლენუმი საკონტროლო კომისიისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოების ყურადღებას აქცევს იმას, რომ საჭიროა სისტემატიურად შემოწმდეს მუშათა და გლეხთა ინსპექციის გადაწყვეტილებათა შესრულება; ამისათვის კი საჭიროა, როგორც უშუალო საკონტროლო-შემამოწმებელი მუშაობა, ისე მასიურ ორგანიზაციებისა მუშათა და გლეხთა ინსპექციის სექციების, ეკონომ. და საწ. კომისიებისა და თვით გამოკვლეულ დაწესებულებების ჩაბმა ამ მუშაობაში.

10. პლენუმს დროულად მიაჩნია პარტიის მე-15 ყრილობის მთავარი დირექტივის განხორციელების შეჯამება და მუშათა და გლეხთა ინსპექციის აპარატის გადაქცევა მასიური მუშურ-გლეხური კონტროლის ორგანიზატორად, ამიტომ ის ავალებს საკონტროლო კომისიას და მუშათა და გლეხთა ინსპექციას—შეამოწმონ საკავშირო კომპარტიის ა.-კავკასიის საოლქო საკონტროლო კომისიის მე-3 პლენუმის იმ კონკრეტიული დირექტივების განხორციელების პრაქტიკა, რომლებიც შეეხება მუშათა და გლეხთა მასების ჩაბმას საკონტროლო კომისიისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობაში.

11. პლენუმი აღნიშნავს სხვადასხვა დეფექტებს საკონტროლო კომისიისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოების სამუშაო გეგმების შედგენისა და შესრულების პრაქტიკაში, მაგალითად:

ა) არ არსებობს საჭირო გარკვეულობა და შეთანხმება გეგმების შედგენისა, გატარებისა და დამტკიცების მხრით საერთოდ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სისტემაში;

ბ) მუშათა და გლეხთა ინსპექციის აპარატში არ სწარმოებს გეგმის ცალკე საკითხების საკმაო წინასწარი დამუშავება და მთელი გეგმის განხილვა როგორც სახელმწიფოს და სამეურნეო აპარატის მუშაკთა კრებებზე, ისე მშრომელთა ფართო მასებს შორის;

გ) მუშაობის გეგმები საკმაოდ არ არის დაკავშირებული მათი შესრულების რეალურ შესაძლებლობასთან;

დ) გეგმა გვიან მტკიცდება, წლის განმავლობაში იგი დიდდება და სხვ.

პლენუმი ავალებს ა.-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციას, რომ შემდეგში თავიდან იქნას აცილებული ის დეფექტები, რომლებიც მეტად ცუდ გავლენას ახდენენ ა.-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოების გეგმიან მუშაობაზე.

12. პლენუმი აღნიშნავს, რომ ა.-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის 1928—29 წლ. გეგმა შეიცავს რესპუბლიკანური მნიშვნელობის სხვადასხვა საკითხებსა და პრობლემებს, ამიტომ იგი საჭიროდ სთვლის, რომ უზრუნველყოფილ იქნას რესპუბლიკანური მუშათა და გლეხთა ინსპექციის მონაწილეობა იმ გამოკვლევებში, რომლებიც შეეხება ამა თუ იმ რესპუბლიკას.

13. რადგან პლენუმი განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევს საკონტროლო კომისიისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის კავშირის გაძლიერებას ადგილებთან (მაზრა, სოფელი, საქარხნო-საფაბრიკო საწარმოები და სხვ.), იგი ავალებს ა.-კავკასიის საკონტროლო კომისიისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოებს:

ა) გააძლიერონ საკონტროლო კომისიის იმ წევრების მონაწილეობა გამომკვლევ მუშაობაში, რომლებიც წარმოებაში, სოფლად ან ქვედა ორგანოებში მუშაობენ, და გააბან მათთან სისტემატიური კავშირი;

ბ) დაამუშაონ საჭირო ღონისძიებანი საკონტროლო კომისიისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის რწმუნებულთა ინსტიტუტის შემდგომი განვითარებისა და გაძლიერებისათვის და ეცადონ მათ განთავისუფლებას სხვა თანამდებობისაგან;

გ) დაისვას პრაქტიკული განხორციელების ნიადაგზე საკითხი მუშათა და გლეხთა ინსპექციის სექციის ორგანიზაც. შესახებ სოფლად.

14. პლენუმი, აღნიშნავს რა ა.-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოების საგამოკვლევო მუშაობის ორგანიზაციისა და მეთოდების სხვადასხვა დეფექტებს, საჭიროდ სცნობს: გაძლიერდეს საკონტროლო კომისიისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილებათა მუშაობა საგამოკვლევო მუშაობის მეთოდების აღრიცხვისა, განზოგადებისა და დამუშავების დარგში. გაძლიერებულ იქნას მათი მნიშვნელობა, როგორც საკონტროლო კომისიისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის აღმრიცხველ-დამგეგმავი და საორგანიზაციო-მეთოდიური ცენტრებისა.

15. რადგან ჟურნალი „შრომის მეცნიერული ორგანიზაცია და მეურნეობა“ აღარ გამოდის, პლენუმი დროულად და საჭიროდ სცნობს—გამოიცეს ა.-კ. საოლქ. საკონტ. კომ. და მუშათა და გლეხთა ინსპექციის პერიოდული ბიულეტენი; ეს ბიულეტენი უნდა წარმოადგენდეს მთავარ ბაზას ა.-კავკასიის საკონტ. კომისიისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის ყველა ორგანოს მუშაობის გაცნობისა, გამოცდილობის გაზიარებისა და საკონტრ. კომისიისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობის ორგანიზაციისა და პრაქტიკის ძირითადი საკითხების დამუშავებისათვის ფართო თვითმოქმედების საფუძველზე.

16. საკონტრ. კომისიისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოთა საგამოკვლევო მუშაობის შედეგების შეჯამებისა და განზოგადების მიზნით, აგრეთვე მათ შორის ცოცხალი კავშირის გაძლიერების მიზნით, პლენუმი ავალებს საკავშირო კომპარტიის (ბ) ა.-კავკასიის საოლქო საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმს, უახლოეს ხანში მოიწვიოს საკონტროლო კომისიისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის ოპერატიულ მუშაკთა ა.-კავკასიის თათბირი.

17. მუშაობის გეგმით დასახულ ამოცანათა წარმატებით შესრულება აყენებს მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოთა პირადი შემადგენლობის შემდგომი გაუმჯობესების საკითხს, როგორც მუშაკების შემოწმების, მათი ზედმიწევნით შერჩევისა, ისე იმ სისტემატიური მუშაობის გზით, რომელმაც უნდა აამაღლოს მათი კვალიფიკაცია, საზოგადოებრივ-პოლიტიკური დონე და რომელმაც მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაკი ჩვენი აპარატის მუშაობის შემმოწმებელი და კონტროლის გამწევ მშრომელთა ფართო მასების ორგანიზატორად უნდა გარდაქმნას.

18. ა.-კავკასიის საოლქო საკონტროლო კომისიისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის 1928—29 წლის მუშაობის გეგმა დამტკიცდეს.

ქალთა საერთაშორისო დღისათვის

(ლენრაიონის ქალთა აქტივის თათბირზე)

გუშინ საღამოს, ლენრაიკომის შენობაში შესდგა ამავე რაიონის ქალთა აქტივის თათბირი, რომელზედაც მოსმენილი იქნა ამხ. გაბერკერის ინფორმაციული მოხსენება ა.-კავკასიის სატრანსპორტო-სამომხმარებლო საზოგადოების მიერ მიღებულ პრაქტიკულ ღონისძიებებზე რვა მარტის დღესასწაულისათვის.

ამხ. გაბერკერი ამბობს, რომ ქალთა დღესასწაულის აღსანიშნავად ა.-კავკ. სატრანსპორტო-სამომხმარებლო საზოგადოების გამგეობამ გადასწყვიტა ლენინის უბანში გახსნას საბავშვო ბაღი, რომელსაც დიდი სამსახურის გაწევა შეუძლია კოოპერატივის წევრთა ბავშვების აღზრდის საქმეში. გარდა ამისა, 8 მარტის დღესასწაულის აღსანიშნავად გაიხსნება მაღაზია „დედა და შვილი“-ს სახელწოდებით, რომლის მიზანი იქნება ემსახუროს ძუძუმწოვარ ბავშვების აღზრდის საქმეს სასკოლო ასაკამდე. ქალთა აქტივის მოვალეობაა ხელი შეუწყოს აღნიშნული მაღაზიის იდეის პოპულიარიზაციას. 8 მარტის აღსანიშნავად მოეწყობა აგრეთვე საბავშვო ბაგა და სხვ.

მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში გამოსული ქალები აღნიშნავდნენ, რომ საჭიროა გაფართოვდეს საბავშვო ბაღების და [illegible] ქსელი, აგრეთვე ა.-კ. სატრანსპ. სამომხმარებლო საზოგადოების მიერ გახსნილ საბავშვო ბაღში მიღებულ იქნენ „ზაკტპო“-ს არა წევრ მუშების შვილებიც. საერთოდ კი მოითხოვდნენ, რომ საბავშვო ბაღებში მიღებული ყოფილიყვნენ პირველ რიგში მცირე ხელფასის მქონე მუშების შვილები. თათბირმა ამხ. გაბერკერის მოხსენება მიიღო ცნობად.

მერძეობის განსავითარებლად

ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოში შესდგა მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს, „ზაკგოსტორგ“-ის, ბორჩალოს სამაზრო აღმასკომის, ახალქალაქის სამაზრო აღმასკომის, „ყველ-კარაქ კავშირის“, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკის, სამხრეთ-ოსეთის მიწადმოქმედების სახ. კომისარიატის და აჭარისტანის წარმომადგენელთა თათბირი, რომელზედაც განხილული იქნა მერძეობის განვითარების საკითხი.

მოსმენილ მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ საქართველოს ზოგიერთ რაიონში საგრძნობლად შემცირდა მეწველი საქონლის რაოდენობა და გაუარესდა რძის ნაწარმოების ხარისხი, რაც გამოწვეულია საკვების მომარაგების მოუწესრიგებლობით, ხელმძღვანელობის სისუსტით, მერძეობის განსავითარებლად საჭირო თანხების სიმცირით, ქარხნების სიძველით და შეუკეთებლობით, კვალიფიციურ სპეციალისტების ნაკლებობით, მერძეობისათვის მეცნიერულ-ტეხნიკური დახმარების აღმოჩენის საქმის მოუწესრიგებლობით, აგრი-კულტურულ ღონისძიებათა სისუსტით, რძის პროდუქტების ფასების საკითხის მოუგვარებლობით და სხვ.

მერძეობის ამაღლების მიზნით, თათბირმა საჭიროდ სცნო აღდგენილი იქნეს ომის წინადროინდელი შეფარდება შვეიცარული და თუშური ყველის ფასებში (1:2). ამასთანავე მიღებული უნდა იქნეს გადამჭრელი ზომები მერძევეთათვის სურსათ-სანოვაგის, სამრეწველო საქონლის, საქონლის საკვების და კრედიტების უზრუნველყოფის საქმის გასაუმჯობესებლად. რძის პროდუქციის გაუმჯობესებას აუცილებელ პირობათ მიჩნეული იქნა ქარხნების შეკეთება და უკეთ მოწყობა, ხელსაწყოს შემოზიდვის გაუმჯობესება და მათი ადგილობრივ დამზადება. აუცილებელ საჭიროებათ იქნა ცნობილი აგრეთვე საძოვრების გაუმჯობესება და ბალახეულის თესვის გაფართოება, რა მიზნისთვისაც გადადებული უნდა იქნეს საძოვრების და სათიბების შემოსავლის 25 პროცენტი. კვალიფიციურ სპეციალისტების კადრის შექმნის მიზნით, თათბირმა საჭიროდ სცნო ყველ-კარაქის დამამზადებელთა კურსების მოწყობა.

მიმდინარე წლის საკრედიტო გეგმით მერძეობისათვის გადადებულ 300.000 მანეთიდან ძველი ქარხნების შეკეთება-რეკონსტრუქციაზე დახარჯული იქნება 90.000 მანეთი; აგებული იქნება ერთი საცდელი ქარხანა, რომლის ღირებულება ნავარაუდევია 15.000 მანეთად გარდა ამისა აგებული იქნება ყველ-კარაქის სამი ახალი ქარხანა (ბორჩალოში, ახალქალაქში და სამხრეთ-ოსეთში). რისთვისაც გადადებულია 125.000 მანეთი. მიმდინარე წელს განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა შვეიცარული ყველის ხარისხის გაუმჯობესებას და დამზადების გაფართოებას.

სას.-სამ. საკრედიტო სისტემის მუშაკთა

საკავშირო ყრილობის შედეგები

საბჭოთა კავშირის სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო სისტემის მუშაკთა მესამე ყრილობიდან თბილისში დაბრუნდა ა.-კ. სასოფ.-სამეურნეო ბანკის გამგეობის თავმჯდომარე ამხ. კ. ჩხენკელი.

გუშინ საღამოს ა.-კ. სასოფ.-სამ. ბანკის შენობაში შესდგა ა.-კავკასიის და საქართველოს სასოფ.-სამეურნეო ბანკების და „სოფლის კავშირი“-ს თანამშრომელთა გაერთიანებული კრება, რომელზედაც ამხ. ჩხენკელმა გააკეთა მოხსენება ყრილობის შედეგების შესახებ.

ყრილობას დაესწრო 263 დელეგატი, მათგან 110 კაცი სისტემის ძირითად ქსელიდან იყო. ყრილობის მუშაობა ხუთ დღეს გაგრძელდა.

მუშაობის პროცესში განხილულ იქნა მრავალი საკითხი, მაგრამ ცენტრალურად უნდა ჩაითვალოს სასოფ.-სამ. საკრედიტო სისტემის ორგანიზაციული წყობის საკითხი.

სისტემის ორგანიზაციული ფორმების განხილვის დროს ყურადღება მიექცა იმ გარემოებას, რომ სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობები ატარებენ უნივერსალური ორგანიზაციის სახეს, ისინი აწარმოებენ ყოველგვარ ოპერაციებს, რაც არ არის მიზანშეწონილი და იწვევს მათ დეფიციტიანობას.

ამასთანავე აღნიშნეს, რომ საკრედიტო ამხანაგობებს ხელმძღვანელობენ მრავალი ორგანიზაციები, რაც ართულებს მათ მუშაობას, რადგან ამხანაგობებში მომუშავე პირები არ არიან ისე მომზადებული, რომ შესძლონ გარკვევა იმ მრავალ დირექტივებში, რომელთაც მათ აძლევენ სხვადასხვა ორგანიზაციები.

მიაქცია რა ამ გარემოებას ყურადღება, ყრილობამ საჭიროდ სცნო საკრედიტო ამხანაგობის ფუნქციების გამიჯვნა. კონკრეტულად გამოთქმული იყო აზრი, რომ საკრედიტო ამხანაგობები უნდა განთავისუფლდნენ დამზადება-გასაღების ოპერაციებისაგან და მათ უნდა დარჩეს მხოლოდ წმინდა საკრედიტო ფუნქციები. ყველა დანარჩენი ფუნქციები უნდა გადაეცეს სპეციალური სახის სასოფ.-სამეურნეო კოოპერატივებს.

ამ საკითხის შესახებ ყრილობას თავისი გადაწყვეტილება არ გამოუტანია და მთელი მასალა გადაეცა მთავრობის და პარტიულ უმაღლეს ორგანოებს შესაფერი დადგენილების გამოსატანად.

ყრილობამ ამასთანავე სერიოზული ყურადღება მიაქცია ვადაგადაცილებული სესხების განაღდების საკითხს. ხაზი გაესვა მოვლენას, რომ მთელ სისტემაში (საკავშირო მასშტაბით) ვადაგადაცილებული სესხების რაოდენობა უდრის 100 მილიონ მანეთს, საანაბრო ოპერაციები კი სუსტად მიმდინარეობს. მთელს კავშირში ანაბარების სახით საკრედიტო სისტემაში დაგროვილი თანხები არ აღემატება 10 მილიონ მანეთს.

ამ საკითხის შესახებ ყრილობამ გამოიტანა მტკიცე გადაწყვეტილება, რომ ვადაგადაცილებული სესხები დაბრუნებულ იქნეს ორი თვის განმავლობაში და გაძლიერებულ იქნეს ანაბარების მოზიდვა.

გარდა ამ მთავარ საკითხებისა, ყრილობის მსჯელობის საგანს წარმოადგენდა სისტემაში მომუშავე ახალ კადრების მომზადების, კონტრაქტაციის საკითხი და სხვ.

მომხსენებელს მიეცა რამოდენიმე შეკითხვა, რომლებზედაც სათანადო განმარტების მიღების შემდეგ კრებამ მოხსენება მიიღო ცნობად.

გაზაფხულის თესვისათვის

იარაღ-მანქანების განაწილება

გაზაფხულის თესვის ჩამტარებელ რესპუბლიკანური კომისიის ცნობით, გაზაფხულის თესვისათვის საქართველოში შემოზიდული და განაწილებულ იქნება მაზრებს შორის — 222.511 მანეთის სასოფლო-სამეურნეო იარაღ მანქანა (გუთნები, ფარცხები, კულტივატორები, სათესი მანქანები, და ტრიერები) **ახალციხის მაზრას** მიეცემა 480 სხვადასხვა გუთანი, 4 ფარცხი, 10 სათესი მანქანა და 5 ტრიერი, ღირებული სულ 14.915 მანეთად; **ახალქალაქის მაზრას**: 200 სხვადასხვა გუთანი, 4 ფარცხი, 5 სათესი მანქანა და 6 ტრიერი, ღირებული 9.420 მანეთად; **ბორჩალოს მაზრას**—სხვადასხვა გუთანი—175, ფარცხი—6, კულტივატორი—100, სათესი მანქანა 10 და ტრიერი 12 ღირებული—11.855 მანეთად; **გორის მაზრას**: სხვადასხვა გუთანი 665, სხვადასხვა ფარცხი—112, კულტივატორი—100, სათესი მანქანა—20 ცალი და ტრიერი—15, ღირებული 30,995 მანეთად; **კახეთის მაზრას**: გუთანი სხვადასხვა—920 ცალი, ფარცხი 160 ცალი, კულტივატორი — 100 ცალი, სიმინდის სათესი მანქანა—25 ცალი, ხორბლეულის სათესი მანქანა 25 ცალი და ტრიერი—20 ცალი, ღირებული 45.335 მანეთად; **თბილისის მაზრას** მიეცემა: გუთანი—285 ცალი, ფარცხი—54 ცალი, ხორბლეული სათესი მანქანა 10 ცალი და ტრიერი—12 ცალი, ღირებული 13.680 მან.; **ზუგდიდის მაზრას**: გუთანი—175 ცალი, ფარცხი—27 ცალი, კულტივატორი—100 ცალი, სიმინდის სათესი მანქანა—50 ცალი და ტრიერი—1 ცალი, ღირებული 9.860 მანეთად; **ოზურგეთის მაზრას**: გუთანი—150, ფარცხი—27 ცალი, კულტივატორი—100 ცალი და სიმინდის სათესი მანქანა—25 ცალი, ღირებული 7.860 მან.; **რაჭა-ლეჩხუმის მაზრას**: გუთანი—250 ცალი, ფარცხი—50 ცალი, კულტივატორი—50 ცალი, სიმინდის სათესი მანქანა—25 ცალი და ტრიერი—6 ცალი, ღირებული 10.700 მან.; **სენაკის მაზრას**: გუთანი—225 ცალი, ფარცხი—27 ცალი, კულტივატორი—200 ცალი, სიმინდის სათესი მანქანა—50 ცალი და ტრიერი—1 ცალი, ღირებული—13.360 მანეთად; **ქუთაისის მაზრას**: გუთანი—250 ცალი, ფარცხი—27 ცალი, სიმინდის სათესი მანქანა—50 ცალი, **შორაპნის მაზრას**: გუთანი—150, ფარცხი—25, კულტივატორი—100, სიმინდის სათესი მანქანა — 25, ღირებული 8,100 მანეთად; **აფხაზეთს**: გუთანი—745, ფარცხი—62 ცალი, კულტივატორი—25, და სიმინდის სათესი მანქანა—50, ღირებული 22.651 მან.; **აჭარისტანს**: გუთანი—120, ფარცხი—2, კულტივატორი—50 და სიმინდის სათესი მანქანა—25, ღირებული 4.720 მანეთად; **სამხრეთ-ოსეთს** მიეცემა: გუთანი—200, ფარცხი—25 და ტრიერი—8, ღირებული 6.800 მანეთად.

სამზადისი ადგილებზე

ქუთაისის მაზრაში

(ჩვენი კორესპონდენტისაგან)

6 თებერვალს ქუთაისში დამთავრდა საგაზაფხულო თესვის კამპანიასთან დაკავშირებით სამაზრო აგრონომიული თათბირი. თათბირმა გასტანა 2 დღეს. დღის წესრიგში იდგა საგაზაფხულო თესვის კამპანია მაზრაში და კოლექტიურ მეურნეობაში. აღნიშნულ საკითხზე თათბირმა შეიმუშავა გეგმა, რომლის მიხედვით წელს ნათესების სივრცის რაოდენობა მთელს მაზრაში უნდა გაიზარდოს 10 პროცენტით. სიმინდი დაითესება 72.000 დესეტინაზე, ღომი და ფეტვი 850 დესეტინაზე. ბამბა 1,600 დეს; კანაფი 50 დესეტ. და საკვები ბალახები 850 დესეტ. აქედან სასუქების ქვეშ დაითესება სიმინდი 15 პროც., ბამბა 80 პროცენტი, ღომი და ფეტვი 80 პროც., ხოლო სასოფლო-სამეურნეო კოლექტივებში ყველა ხორბლეული დაითესება სასუქებით.

სასუქების მომარაგება

წელს სასუქის მომარაგების მხრივ დამზადებული იქნება 6,000 ფუთი სასუქი. აქედან 4,000 ფუთი დამზადდება ადგილობრივ, ხოლო დანარჩენი 2 ათასი ფუთი კი შემოზიდული იქნება ცენტრიდან. წელს განზრახულია სასუქით გაანოყიერონ მაზრაში 38,000 ჰექტარი მიწა, ანუ ნათესების საერთო სივრცის 50 პროცენტი.

თესლის დამზადება

თესლის დამზადება საგაზაფხულო თესვის კამპანიისათვის, უმეტესად იწარმოებს მაზრაში, ამიტომ სიმინდის მოსავლიან რაიონებში, სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობებთან და კოლექტიურ მეურნეობებთან მოეწყობა თესლის დამამზადებელი 45 პუნქტი. ამ პუნქტებში წელს დამზადდება 60.000 ფუთი სიმინდი. აქედან კონტრაქტაციის წესით დაითესება 3,000 ჰექტარი.

სასოფლო-სამეურნეო იარაღების და მუშა-საქონლის მომარაგება

სასოფლო-სამეურნეო იარაღების და მუშა-საქონლის მომარაგების მხრივ წელს მაზრაში შემოზიდული იქნება 6 ტრაქტორი, 200 გუთანი, 400 ფარცხი, 100 კულტივატორი და სიმინდის რიგში სათესი 25 მანქანა. ხოლო მუშა-საქონელი შეძენილი იქნება 1.000 სული, აქედან 200 დაეთმობა სას.-სამ. კოლექტივებს.

დასასრულ თათბირმა გამოიმუშავა მთელი რიგი ღონისძიებანი აღნიშნული კამპანიისათვის საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ აქტიური დახმარების აღმოჩენის შესახებ. ამ მიზნით თათბირმა საჭიროდ სცნო გაზაფხულის თესვის კამპანიის პერიოდში მობილიზაცია ეყოს მაზრის მთელ აგრონომიულ და სამეურნეო მუშაკების პერსონალს კამპანიის ნაყოფიერ პირობებში ჩასატარებლად.

გრ. სვანიძე.

სენაკის მაზრაში

ახალსენაკი, 9 თებერვალი. ახალსენაკში დაარსდა სამაზრო სამეული გაზაფხულის თესვის კამპანიის ჩასატარებლად. თემებში დაარსდა კომისიები, რომელთა მუშაობაში ჩაბმულნი არიან ადგილობრივი აგრონომიული ძალები.

სამაზრო სამეულმა ცენტრს სთხოვა ჩრდილოეთ კავკასიის სიმინდი — 1.072 ტონა — იმ მიზნით, რომ ეს სიმინდი გადასცვალონ ადგილობრივ სიმინდზე და, ამგვარად, ღარიბ გლეხთა მეურნეობებისათვის დაამზადოს სათესლე მასალა.

გარდა ამისა, სამაზრო სამეულმა შუამდგომლობა აღძრა, რომ სათესლე მასალის ნაწილი მიეცეს ყარაიის საბჭოთა მეურნეობებიდან.

მუშა საქონლის შესასყიდად სამეულმა საკრედიტო ამხანაგობის საშუალებით ითხოვა 150,000 მანეთის კრედიტი. ეს კრედიტი განაწილდება გლეხთა შორის 1.000 სული მსხვილფეხა საქონლის შესაძენად.

სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღიდან წელს განზრახულია მაზრაში შეტანილ იქნას 4 ტრაქტორი (7 უკვე არის). 600 გუთანი, 50 ფარცხი, 100 სანიავებელი და 400 კულტივატორი.

აგროპუნქტებს, საკრედიტო ამხანაგობებს და კოლექტივებს წინადადება მიეცათ, დაუყოვნებლივ მოაწესრიგონ და შეაკეთონ არსებული სასოფლო-სამეურნეო იარაღი და მანქანები.

სამეულმა ითხოვა 6.800 მანეთის სესხი საკვები ბალახეულის თესლისათვის და 100000 მან სესხი სასუქისათვის.

სამაზრო აღმასკომმა დაადგინა — გამოუშვას მოწოდება (20.000 ცალი) გლეხებისადმი თესვის კამპანიის შესახებ.

გარდა ამისა, დაწყებულია საჩვენებელი გამქირავებელი პუნქტის მოწყობა მაზრაში. ამ მიზნისათვის ნათხოვნია 13.000 მანეთის სესხი.

(ადს).

უცხოეთში დარჩენილი ქონების მიღების წესი

უცხოეთის მთელ რიგ სახელმწიფოებში დარჩენილი არის ქონება საბჭოთა კავშირის იმ მოქალაქეების, რომლებიც უწინ ან სცხოვრობდნენ აღნიშნულ სახელმწიფოებში ან იქ ჰყავდათ ნათესავები, რომლებიც გარდაიცვალენ და ქონება დარჩა უმემკვიდროთ. საქართველოს (აგრეთვე საქართველოს წითელი ჯვრის და წითელი ნახევარ-მთვარის საზოგადოებებს დაავალა ზომების მიღება, რომ საბჭოთა კავშირის მოქალაქეებს გადაეცეს მათი კუთვნილი უცხოეთში დღემდე უპატრონოთ დარჩენილი ქონება.

ამ მიზნით საქართველოს ყველა მოქალაქეებმა, რომელთაც ნათესავები ჰყავდათ საზღვარგარეთ და ან თვითონ ჰქონდათ რაიმე უძრავ-მოძრავი ქონება, შესაფერი განცხადებით უნდა მიმართონ და რწმუნების ხელწერილები ჩააბარონ წითელი ჯვრის ან წითელი ნახევარ-მთვარის საზოგადოებებს. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს წინადადება აქვს მიცემული თავისი ადმინისტრაციული ორგანოების საშუალებით შეატყობინოს მოსახლეობას, რომ უცხოეთის სახელმწიფოებში დარჩენილი ქონების მიღება შეიძლება ზემოხსენებული საზოგადოების საშუალებით.

წითელი ჯვრისა და ნახევარ-მთვარის საზოგადოებებმა საბჭოთა მოქალაქეებისაგან განცხადების მიღებისთანავე უნდა დაიწყონ საქმე მოქალაქეთა ქონებრივი ინტერესების დაცვად და მათი პრეტენზიების დასაკმაყოფილებლად უცხოეთის სახელმწიფოებში. აგრეთვე დაწყებული უნდა იქნეს ჩრდილოეთ ამერიკის არმიის ყოფილ იმ ჯარის კაცთა საქმე, რომლებიც ამჟამად საბჭოთა მოქალაქეები არიან, ან რომლებიც მოკლულნი იქნენ დიდ საერთაშორისო ომის დროს და ამერიკაში დარჩათ ქონება, ამ ყოფ. ჯარის კაცებს ან, მათი სახელით, საქართველოს წითელ ჯვარს, უფლება აქვს საქმე აღძრას ამერიკაში არსებულ ომის ვეტერანთა ბიუროში შესაფერი დაკმაყოფილების მისაღებათ. საბჭოთა ხელისუფლების ყველა (ცენტრალურმა და ადგილობრივმა ორგანოებმა (აგრეთვე აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ უნდა აუწყონ რესპუბლიკის მოსახლეობას, რომ შესაფერისი დოკუმენტები შესაფერი განცხადებით თანდართვით, სასწრაფოდ გადააგზავნონ წითელი ჯვრის ან წითელ-ნახევარ მთვარის საზოგადოებებში.

წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარ მთვარის საზოგადოებებს დავალებით გამოსცენ შესაფერი პლაკატები და ფურცლები მოსახლეობაში გასავრცელებლად იმ მიზნით, რათა მოსახლეობამ გაიგოს, რომ შესაძლებელია მათ მიიღონ უცხოეთში დარჩენილი ქონება.

წინასწარ ვარაუდით მარტო საქართველოს მოქალაქეებს ამერიკაში და უცხოეთის ზოგიერთ სხვა სახელმწიფოებში ეკუთვნის რამოდენიმე მილიონი დოლარის ქონება.

კომუნალური მეურნეობის მუშაკთა მე-7 ყრილობა

მეხუთე დღე

10 თებერვლის დილის სხდომაზე ყრილობამ მოისმინა თბილისის აღმასკომის კომუნალური განყოფილების მოხსენება 1927—28 სამეურნეო წლის განმავლობაში ჩატარებული საქმიანობის შესახებ. მომხსენებელი ამხ. ვ. სიხარულიძე დაწვრილებით შეეხო კომუნალური მეურნეობის თითეული დარგის მუშაობას.

თბილისის ტრამვაის მუშაობის დასახასიათებლად მომხსენებელმა მოიყვანა შემდეგი ცნობები: 1927—28 წლის განმავლობაში ქალაქის ტრამვაის ჰქონდა 13.685.704 მანეთი შემოსავალი. წინა წლის განმავლობაში კი ტრამვაის შემოსავალი უდრიდა 12.157.800 მანეთს. შემოსავლის ზრდასთან ერთად მნიშვნელოვანი გაუმჯობესება დაეტყო მთლიანად ტრამვაის მეურნეობას. გასული წლის განმავლობაში გაფართოვდა ტრამვაის ქსელი, შეძენილ იქნა ახალი მოტორიანი ვაგონები, შეკეთებულ იქნა ზოგიერთი ძველი ვაგონები და სხ. 1926—27 წლის განმავლობაში ტრამვაით გადაყვანილია 54.587.224 მგზავრი. 1927—28 წელს—58.841.950-მდე.

შემდეგ მომხსენებელი შეეხო ქალაქის წყალსადენის მუშაობას; გასული წლის განმავლობაში ქალაქის წყალსადენის მუშაობა იმდენად გაუმჯობესდა, რომ გაუსწრო ომის წინადროინდელ დონეს. მთელი წლის (1927—28 წ.) განმავლობაში წყალსადენმა თბილისის მოსახლეობას მიაწოდა 310.739.900 ვედრო წყალი.

შემდეგ მომხსენებელი შეეხო ქალაქის ახალი წყალსადენის აგების საკითხს და გააცნო ყრილობას, თუ რა მონაწილეობა მიიღო თბილისის აღმასკომის კომუნალურმა განყოფილებამ ახალი წყალსადენის გასაყვანათ ჩატარებულ მუშაობაში.

დასასრულ მომხსენებელმა დაახასიათა თბილისის ელექტრო-დადგმულობათა სამმართველოს (თელასის), ქალაქის სასაკლაოს, აბანოების და სხვა კომუნალური წარმოებების მუშაობა

ყრილობის საღამოს სხდომაზე გაიმართა კამათი ამხ. სიხარულიძის მოხსენების გარშემო.

კონფერენცია წერა-კითხვის უცოდინარობის საკითხებზე

ამ რამოდენიმე დღის წინეთ თბილისის აღმასკომის წითელ დარბაზში შესდგა წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო და მცირე მცოდნეთა სკოლების მსმენელთა საერთო-საქალაქო კონფერენცია პროფკავშირთა კულტგანყ. გამგეებთან და საქარხნო-საფაბრიკო და ადგილობრივი კომიტეტების კულტკომისიებთან ერთად. კონფერენციას დაესწრო 450 კაცი. თბილისის პოლიტგანის მუშაობისა და მუშათა საერთო განათლების სისტემის შესახებ მოსმენილ იქნა პოლიტგანის გამგის ამხ. სისიანის მოხსენება. კონფერენციაზე დამსწრე თურქ-ქალების მოთხოვნილებით მოხსენება გაკეთებულ იქნა აგრეთვე თურქულ ენაზედაც.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ამჟამად თბილისში გახსნილია წერა-კითხვის უცოდინართა და მც. მცოდნეთა 140 სკოლა, სადაც მეცადინეობს 4.500 მსმენელი, აქედან 80 პროცენტი პროფკავშირის წევრებია ცოტაა უმაღლეს ტიპის სკოლების რიცხვი.

მოხსენების გარშემო კამათში გამოსული მუშები აღნიშნავდნენ, რომ სალიკვიდაციო სკოლები არ იხსნება თავის დროზე, პროფესიონალური კავშირები და საქარხნო-საფაბრიკო და ადგილობრივი კომიტეტების კულტკომისიები წერა-კ. უცოდინარობის ლიკვიდაციის ნაკლებ ყურადღებას აქცევენ, არ სწარმოებს წერა-კ. უცოდინართა და მცირე მცოდნე მუშების აღრიცხვა და სხვ. სალიკვიდაციო სკოლებში დაგვიანებით იქნა დარიგებული სახელმძღვანელო წიგნები. თანხები, რომელიც გადადებულია წერა-კით. უცოდინარობისა და მცირე მცოდნეობის ლიკვიდაციისათვის მეტად მცირეა, ზოგიერთი სალიკვიდაციო სკოლის ხელმძღვანელი არა სდგას თავის სიმაღლეზე და სხვ.

„ჩვენ ჩამოვიხსენით ჩადრი, ჩაგვრა-მონობის სიმბოლო. მაგრამ ეს საკმარისი როდია, საჭიროა ჩვენში აღმოიფხვრას წერა-კითხვის უცოდინარობაც“,—ამბობს კონფერენციაზე დამსწრე თურქი ქალი.

კამათის დამთავრების შემდეგ მოსმენილ იქნა მომხსენებლის საბოლოო სიტყვა. კონფერენციამ გამოსთქვა სურვილი, რომ ასეთი კონფერენციები ხშირ-ხშირად იქნეს მოწყობილი. პრაქტიკული ღონისძიებების გამოსამუშავებლად კონფერენციამ გამოჰყო კომისია 11 წევრის შემადგენლობით.

დღეს, 12 თებერვალს, საღამოს 6 საათზე საქმიან კლუბში
(შესავალი რუსთაველის თეატრის ეზოდან) შესდგება
საგნობრივი და ლენინური წრეების მსმენელთა
საერთო საქალაქო კონფერენცია

დღის წესრიგში სდგას თბილისის კომიტეტის აგიტპროპაგანყოფილების მოხსენება პარტმეცადინეობის ამოცანებისა და საგნობრივი და ლენინური წრეების მუშაობის შესახებ.

კონფერენციაზე წრეების დელეგატების, მამასახლისებისა და ხელმძღვანელების დასწრება სავალდებულოა, აგრეთვე მოწვეულნი არიან უჯრედების აგიტპროპაგანყოფილებები.

თბილისის კომიტეტის აგიტპროპ განყოფილება.

ქრონიკა

საორგანიზაციო თათბირი

დღეს, სალ. 1 საათზე, საქართველოს ცაკში, ამხ. ფ. მახარაძის კაბინეტში შესდგება ცაკის საორგანიზაციო განყოფილებასთან არსებულ მუდმივ საორგანიზაციო თათბირის მორიგი სხდომა. სხდომაზე გაგრძელდება თემსაბჭოების დებულების ახალი პროექტის განხილვა.

იმათთვის, ვინც მონაწილეობას იღებდა თათბირის პირველ სხდომაზე დასწრება სავალდებულოა.

სატყეო თათბირი

დღეს ამ.-კავკასიის სახ. საგეგმო კომისიასთან გაიხსნება ა.-კავკასიის სატყეო თათბირი. ტყის სარგებლობის ზოგადი საფუძვლების შესახებ.

თათბირში მონაწილეობას მიიღებენ ა.-კავკასიის რესპუბლიკების მიწადმოქმედების კომისარიატების, ა.-კავკასიის ფინანსთა კომისარიატის, ა.-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის და ა.-კავკასიის სახ. საგეგმო კომისიის წარმომადგენლები. პერსონალურად მოწვეულნი არიან მეტყევეობისა და სატყეო ტეხნიკის სპეციალისტები, პროფესორები და სხვ.

ა.-კავკასიის სახ. საგეგმო კომისია თათბირის განსახილველად წარუდგენს საბჭოთა კავშირის სახ. საგეგმო კომისიისაგან მიღებულ ტყის სარგებლობის პროექტს, რომელიც საბჭოთა კავშირის სახ. კომისართა საბჭოს მოსამზადებელმა კომისიამ შეადგინა.

პროფკავშირული ჟურნალები ამიერ-კავკასიაში

ა.-კავკასიის პროფსაბჭომ საჭიროდ სცნო, რომ აზერბეიჯანის პროფსაბჭომ გამოსცეს ყოველკვირეული პროფკავშირული ჟურნალები თურქულ და რუსულ ენებზე.

სომხეთის პროფსაბჭოს წინადადება მიეცა—თვეში ორჯერ რეგულიარულად გამოსცეს ჟურნალი სომხურ ენაზე.

საჭიროდ იქნა ცნობილი, რომ საქართველოში გამოიცეს ყოველკვირეული პროფკავშირული ჟურნალი ქართულ ენაზე.

შრომის დაცვა სამთო მრეწველობაში

ა.-კავკასიის შრომის სახ. კომისარიატმა წინადადება მისცა ა.-კავკასიის რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატებს, რომ შრომის ინსპექციის საშუალებით გამოიკვლიონ ა.-კავკასიის სამთო მრეწველობის ყველა საწარმო და ზომები მიიღონ შრომის დაცვის წესების დარღვევის თავიდან ასაცილებლად. გამოკვლევა უნდა მოხდეს ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა თანდასწრებით და დამთავრდეს მიმდინარე წლის 1 აპრილამდე. (ადს).

ფართალი მეცხვარეთათვის

ვაჭრობის სახ. კომისარიატის განკარგულებით მიმდინარე წლის მეორე კვარტალში მეცხვარეთათვის გასანაწილებლად „სოფლის კავშირს" გადაეცა 4 ვაგონი ფართალი.

ქირურგიული ძაფების და მუსიკალური სიმების სახელოსნო

თბილისში გაიხსნა ქირურგიული ძაფების (კეტგუტი) და მუსიკალური სიმების სახელოსნო, რომელიც უკვე შეუდგა ქირურგიულ ძაფების დამზადებას.

მიწის ძვრა

კვირას, 10 თებერვალს, საღამოს 8 საათზე საქართველოს გეოფიზიკური ობსერვატორიის სეისმოგრაფების მიერ აღნიშნული იყო ახლობელი მიწის ძვრა, რომლის კერა თბილისიდან დაშორებულია 190 კილომეტრით. თბილისში ეს მიწის ძვრა აღინიშნა 4 ბალის ძალით. ობსერვატორიის ცნობით, მიწის ძვრა განსაკუთრებით საგრძნობი იყო შემდეგ პუნქტებში: გუდაურში, კავკავში და მექვენაში (რაჭა-ლეჩხუმის მაზრა).

მიწადმოქ. კომისარიატში

◆ **კურსების მოწყობა.** თბილისის ზოოტექნიკურ სადგურთან მიწადმოქმედების კომისარიატმა მოაწყო ყველის და კარაქის დამმზადებელთა მოსამზადებელი კურსები.

◆ **გადასახლების საქმის მოსაგვარებლად.** სოჭის ოლქში გლეხების გადასახლებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხების მოსაგვარებლად მოსკოვში გაემგზავრენ ამხ. ძამახაშვილი და გადასახლების განყოფილების გამგე ამხ. მარუაშვილი.

ჯანმრთელობის კომისარიატში

◆ **სამკურნალო დახმარება თვითმშრომელებს.** საწარმოო კოოპერაციასა და ჯანსახკომს შორის მიღწეულია შეთანხმება საწარმოო კოოპერაციის წევრთათვის (ყოფ. თვითმშრომელი-შინამრეწველნი) სამკურნალო დახმარების აღმოჩენის შესახებ.

◆ **საავადმყოფოების მუშაობის გამოკვლევა.** ჯანმრთელობის კომისარიატს გადაწყვეტილი აქვს ჩაატაროს რესპუბლიკაში არსებულ საავადმყოფოების მუშაობის გამოკვლევა.

ს. მ. უ. საბჭოში

◆ **გალიზგის ჰიდრო-ელსადგურის ასაგებად.** ს.მ.უ.ს. საელექტროფიკაციო განყოფილების ცნობით ამჟამად მდ. გალიზგაზე მუშაობს სახ. ელექტრო-ტრესტის სპეციალისტთა კომისია, რომელიც იკვლევს გალიზგის ჰიდრო-ელსადგურის ასაგებ ადგილს.

◆ **საამშენებლო მასალის გასაიაფებლად** ს.მ.უ.ს პრეზიდიუმმა დაავალა ტრესტებს დაამუშავონ საამშენებლო მასალის გაიაფების საკითხი.

სხვადასხვა

◆ **შირაქის ნავთის სამუშაოები.** გაზაფხულიდან განახლდება მუშაობა შირაქის ნავთიანი ადგილების გამოსაკვლევად.

◆ **58.841.950 მგზავრი.** 1928 წლის განმავლობაში თბილისის ტრამვაიმ გადაიყვანა—58.841.950 მგზავრი.

◆ **ტრამვაის ქვესადგური.** დასრულდა ავლაბარში ასაგები ტრამვაის ქვესადგურის ხარჯთაღრიცხვის შედგენა. ხარჯთაღრიცხვით ქვესადგურის აგება დაჯდება 426.000 მანეთი.

სახელგამის ახალი მაღაზიები. საქართველოს სახელგამი პროვინციაში ხსნის ახალ მაღაზიას: ოზურგეთში, ჩოხატაურში და ქობულეთში.

◆ **რედაქციამ მიიღო** ვლ. ცაგარელის წიგნი „მოსავლიანობის გადიდების საკითხები კოლმეურნეობებში".

ქ უ თ ა ი ს ი

(ჩვენი კორესპონდენტისაგან)

ინჟენერ-ტეხნიკოსთა სამაზრო თათბირი

3—4 თებერვალს მიმდინარეობდა ქუთაისის ინჟენერ-ტეხნიკოსთა სამაზრო თათბირი. თათბირის დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1) საქართველოს ინჟენერ-ტეხნიკოსთა ცენტრალური ბიუროს მუშაობა, 2) სამაზრო პროფბიუროსთან მაზრის ინჟენერ-ტეხნიკოსთა სექციების გაერთიანებული ბიუროს დაარსება და 3) დელეგატების არჩევა საქართველოს ინჟენერ-ტეხნიკოსთა მეოთხე ყრილობაზე.

პირველი საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა ცენტრალური ბიუროს წარმომადგენელმა ინჟ. მამაჯანოვმა. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ უკანასკნელ ხანებში საქართველოს ყველა მაზრებში და საწარმოო რაიონებში ფართოდ გაიშალა ინჟენერ-ტეხნიკოსთა სექციების ქსელი, რამაც დიდათ შეუწყო ხელი ტეხნიკოსთა საზოგადოებრივ აქტიობას, მათ სამეცნიერო განათლების ზრდას და სხვ. აღნიშნული იქნა აგრეთვე ცენტრალურ ბიუროს ნაკლოვანებები განვლილ მუშაობაში. მაგ., დღემდე ბიუროს სუსტი კავშირი ჰქონდა ხელმწიფოს უმაღლეს ორგანოებთან, არ ჰქონდა მისთვის საკუთარი აპარატი და სხვ. მოხსენების შემდეგ გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 10-მდე ინჟენერმა. დასასრულ თათბირმა აირჩია ახალი სამაზრო ბიურო 7 წევრის და 3 კანდიდატის შემადგენლობით და გაგზავნა 7 დელეგატი სრულიად საქართველოს ინჟენერ-ტეხნიკოსთა მეოთხე ყრილობაზე დასასწრებლად.

შეკვეთები ელექტრო-ტეხნიკუმში

ქუთაისის ელექტრო-ტეხნიკუმის მექანიკურმა სახელოსნომ ამ დღეებში დაამზადა მაზრის განათლების განყოფილების მიერ შეკვეთილი ცხრაწლედების და სპეციალური ტეხნიკუმების ფიზიკურ და ქიმიურ კაბინეტებისათვის საჭირო ელექტრო-იარაღები. საჰაერო ზეთის მახქანები, ელექტრო-ბორბლები, ცენტრის მშბრზოლავი მანქანები, ელექტროსკოპები, მაგნიტები, კონდენსატორი და სხვა ელექტრო-ხელსაწყოები 20—20 ც. კომპლექსათ. სულ 12.000 მანეთის ღირებულებით მოკლე ხანში სახელოსნო დაამთავრებს აგრეთვე საქართველოს აბრეშუმის ტრესტის მიერ შეკვეთილ სხვადასხვა ელექტრო-მანქანებს, რომელთა ღირებულება უდრის 15.000 მანეთს.

საარჩევნო დემონსტრაცია

ამ დღეებში ქუთაისის ახკომკავშირის ორგანიზაციამ უპარტიო მშრომელ მუშა და მოწაფე-ახალგაზრდობასთან ერთად მიმდინარე საბჭოთა არჩევნების კამპანიასთან დაკავშირებით მოაწყო ფართო დემონსტრაცია, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 3.000-დე მშრომელმა ახალგაზრდობამ. განსაკუთრებით საინტერესო იყო დემონსტრაციის კარნავალები და საღამოს ჟამს ჩირაღდნებით მსვლელობა, რამაც მშრომელ მოსახლეობაზე დიდი შთაბეჭდილება დასტოვა.

მუშის დაწინაურება

ქუთაისში ახლად დამთავრებული აბრეშუმის ძაფ-სალები ქარხნის გამგეთ დაინიშნა ძველი მუშა ამხ. ერქომაიშვილი.

გრ. სვანიძე.

სათესლის ნაკლებობა

ქუთაისი, 10 თებერვალი. ქუთაისის სამაზრო აღმასკომის საადგილ-მამულო განყოფილებაში კუხისა და გოჩა-ჯიხაიშის თემების გლეხებმა განაცხადეს, რომ ტრაქტორები, რომლებიც ამ თემებში აქვთ, საწვავი მასალის უქონლობის გამო არ მუშაობენ.

სამტრედიის მთლიან სამომხმარებლო საზოგადოებას, რომელიც საწვავ მასალას აწვდიდა ამ თემებს, ბოლო დროს საწვავი მასალის მარაგი გამოელია. (ადს)

საავტომობილო მიმოსვლა აღდგენილია

ქუთაისი, 10 თებერვალი. საავტომობილო მიმოსვლა ქუთაის-ონსა და ქუთაის-აბაშას შუა, რომელიც შეწყვეტილი იყო ნამქერების გამო, უკვე აღდგენილია (ადს).

შეუწყნარებელი დაუდევრობა

ქუთაისი, 10 თებერვალი. ვანის სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობამ ქუთაისის სამაზრო საადგილ-მამულო განყოფილებისაგან მიიღო 5 ტონა სათესი მასალა ვანის თემის გლეხებისათვის დასარიგებლად. მაგრამ საკრედიტო ამხანაგობამ თავის დროზე არ მიაწოდა სათესლე მასალა გლეხობას, რის გამოც გლეხები იძულებული იყვნენ სამჯერ უფრო ძვირად შეეძინათ სათესლე მასალა კერძო ვაჭრებისაგან, რამდენიმე ხნის შემდეგ საკრედიტო ამხანაგობამ ეს სათესლე მასალა სასურსათო ხორბლად გაჰყიდა. ამგვარად ვანის თემში ჩაიშალა შემოდგომის თესვის კამპანია.

როცა ქუთაისის სამაზრო საადგილ-მამულო განყოფილება შეეკითხა სათესლე მასალის არა დანიშნულებისამებრ გამოყენების მიზეზების შესახებ, საკრედიტო ამხანაგობამ უპასუხა, რომ თოვლმა შეუშალა ხელი სათესლე მასალის დარიგებას, ხოლო რათა საწყობებში შენახული სათესლე მასალა არ გაფუჭებულიყო, იგი გასაღებულ იქნა როგორც სასურსათო ხორბალიო.

ასე შეასრულეს ცენტრის დირექტივა ვანის საკრედიტო ამხანაგობის ხელმძღვანელებმა. (ადს)

ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა

სახელმწიფო ოპერის თეატრი

„დემონი" მუს. ა. რუბინშტეინისა

ს. მიგაის გამოსვლა დემონის როლში ა. წ. თებერვლის 10 ამტკიცებს ჩვენ მიერ უკვე გამოთქმულ აზრს, რომ ამ მომღერალის შემოქმედებისაკენ ფართო მასას იზიდავს მხოლოდ ვოკალური ტეხნიკა და სიმღერაში სხვადასხვა მოულოდნელ ხერხების და ვარიანტების გამოყენება იმპროვიზაციის სახით.

საუბედუროდ, ა. რუბინშტეინის მუსიკა ოპ. „დემონში" ასეთ საშუალებებს არ იძლევა და თვით დემონის მთავარი როლი, მუსიკალურად წარმოდგენილია ბგეროვან სიფართოვეში და ძლიერ გაქანებაში. ბგეროვანი მოხაზულობა ამ სასიმღერო როლისა დრამატიულ შთაბეჭდილებას სტოვებს მხოლოდ ნამდვილ დრამატიულ ბარიტონის ასრულებაში და ვერავითარი სხვანაირი ინტერპრეტაცია ვერ მიუდგება დემონის განსახიერებას. ამ როლში მიგაი იძულებულია გამოიყენოს სავსებით და განუწყვეტლივ მთელი თავისი ვოკალური რესურსები. თვით მუსიკის შინაარსი აძლევს მომღერალს საშუალებას ჩაატაროს როლი ეგრედ წოდებულ „მეცცა ვოჩეს" (მცირე სიმღერის ხმის) საშუალებით, როდესაც მთავარ ადგილებში ხმის უეცარი ამაღლება და გაფართოვება, ხელოვნურად ქმნის დრამატიული სიძლიერის შთაბეჭდილებას. არ არის ამიტომ გასაკვირველი, რომ მიგაი, რომლის ხმა შეიცავს უფრო ლირიულ, ვიდრე დრამატიულ ელფერს, ვერ ჰქმნის და ვერც შექმნის საჭირო შთაბეჭდილებას დემონის როლში. ამასთან დავსძენთ, რომ ზოგიერთი ხერხი, მოხმარებული მიგაის მიერ აუდიტორიაზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით, გაუმართლებელია მხატვრული თვალსაზრისით. მაგალითად, მოკლე სასიმღერო ფრაზაში „გაგახვევ ტკბილ სიზმრებში",—მიგაი ჩერდება არა მაღალ-ბგეროვან და ძნელ დასაწყისში, არამედ უკანასკნელ ბგერაზე (მცირე ოქტავის მეშვიდე ბგერა -სი) და ამ ბგერას აგრძელებს და აძლიერებს იმდენად, რომ ყველა მძინარეს გამოაფხიზლებს სიზმრებიდან. აუდიტორიის აპლოდისმენტები სრულებით არ ამართლებენ ამ ხერხს, მით უფრო, რომ ყველა საშუალო ბარიტონს შეუძლიან ზემოხსენებულ ბგერაზე შეჩერება და მისი გაძლიერება.

მშვენიერ შთაბეჭდილებას სტოვებს მრავალის (თამარი) დრამატიულ სოპრანოს ბუნებრივი სიმდიდრე, სილამაზე და სრული სისუფთავე. იშვიათი გამოჩენა ამ მომღერალისა ჩვენ სცენაზე ყოვლად გაუგებარია. თამარის როლი ამ მომღერალს ფრიად ეხერხება, და მშვენიერად იყო ჩატარებული პირველ და მესამე მოქმედებაში. მეოთხე მოქმედება კი, მის ასრულებაში, მოკლებულია სიმტკიცეს, ვინაიდან ამ ადგილის მიზანსცენა, საერთოდ სახიფათოა, მოითხოვს მსახიობისაგან დიდ გამოცდილებას, რომ არ შექმნას აუდიტორიაზე სცენიურ უმოძრაობის შთაბეჭდილება. ჩვეულებრივად კარგი შთაბეჭდილება დასტოვეს ალექსეევა (სინოდალი) და ისეცკიმ (გუდალი). ორკესტრს არ შევეხებით. ვინაიდან სახ. არტ. ი. ფალიაშვილის ავადმყოფობის გამო ლოტბარობდა ვ. შეფერი და ამიტომ ამ ლოტბარობას ჰქონდა მოულოდნელი და შემთხვევითი ხასიათი.

კ. მეღვინეთ-უხუცესი.

მილიციის მუშაობის მოსაწესრიგებლად

მილიციის მაგიდები

იმ მიზნით, რომ მ. გ. მილიცია მჭიდროდ დაუკავშირდეს მუშათა ფართო მასას სრული 100 პროცენტით შესძლოს მშრომელთა მიერ დაკისრებული მოვალეობის შესრულება, გაეცნოს მუშათა ცხოვრებას, შეისწავლოს ამ ცხოვრების ავკარგი და ხელი შეუწყოს მშრომელთა მასის საჭირბოროტო საკითხების მოგვარებას, თბილისის საბჭოს ადმინისტრატიული განყოფილება მსხვილ წარმოება-დაწესებულებაში აწყობს მილიციის მაგიდებს, სადაც განსაზღვრულ დღეებში და საათებში იმორიგებენ ადმინისტრატიული განყოფილების პასუხისმგებელი ამხანაგები

მაგიდა ადგილობრივ მიიღებს თხოვნებს, განცხადებებს, საჩივრებს ყოველგვარ საკითხებზე, როგორიც არის მაგ.: წესრიგის დაცვა, სანიტარულ პირობების მოწესრიგება, ყოფაცხოვრების საკითხები და სხვა.

მაგიდების მოწყობასთან დაკავშირებით ადმინისტრატიულმა განყოფილებამ სთხოვა თბილისის წარმოება-დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეებს ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინონ მილიციის მაგიდებს იმ გაუგებრობის აღმოფხვრაში, რომელსაც იწვევდა ზოგიერთი საკითხების მოუწესრიგებლობა, და ამ მაგიდების საშუალებით შექმნან მილიციასა და მუშებს შორის თანამშრომლობის პირობები, რაც საგრძნობლად გააუმჯობესებს მილიციის საქმიანობას.

საჩივრის ყუთები

თბილისის საბჭოს ადმინისტრატიული განყოფილება სამილიციო რაიონებში აწყობს საჩივრის ყუთებს. მოქალაქეებს შეუძლიათ წერილობით აღნიშნონ მათ მიერ მილიციის, კერძოთ მილიციის თანამშრომელთა მუშაობაში შემჩნეული დეფექტები და ჩაუშვან ყუთში. წერილს არ უნდა ჰქონდეს კერძო ხასიათი, იგი უმთავრესად მიზნათ უნდა ისახავდეს ისეთ დეფექტების გამოსწორებას, როგორიც არის მაგ. მილიციის თანამშრომლის მიერ საქმის გაჭიანურება, ბიუროკრატიზმი, უდიერათ და უკანონოთ მოპყრობა მოქალაქეებისადმი და სხვა. წერილი უნდა იქნეს აუცილებლად ხელმოწერილი და ნაჩვენები საჩივრის დამწერის მისამართი. უსახელო წერილები არ გაისინჯება. საჩივრის დამწერს დაუყოვნებლივ მიეცემა ცნობა აღნიშნულ დეფექტების გამოსასწორებლად—ზემდგომ ორგანიზაციების მიერ მიღებული ზომების შესახებ.

რკინის გზებზე

ჯამაგირების დაგვიანების წინააღმდეგ

უკანასკნელ ხანებში ამიერ-კავკ. რკ. გზებზე ადგილი ჰქონდა მუშა-მოსამსახურეებისათვის ჯამაგირის დაგვიანებით დარიგებას.

მომავალში ასეთი შემთხვევების თავიდან ასაცილებლად რკინისგზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტმა აუცილებლად სცნო: ხელფასის უწყებების თავის დროზე შედგენა და საჭირო თანხის თავის დროზე გამოთხოვა, ხელფასის დარიგება დაწესებულ ვადებში და სხვა.

ძირითად პროფორგანოებს მიცემული აქვთ წინადადება სისტემატიურად ადევნონ თვალყური ხელფასის თავის დროზე დარიგებას და დაგვიანებაში შემჩნეული პირები მისცენ პასუხისგებაში.

მატარებლის დამტვრევა

გუშინ, 11 თებერვალს, სადგ. მინგეჩაურში მატარ. № 200-ს მარცხი შეემთხვა.

მთავარი კონდუქტორის განმარტებით, მარცხი შემდეგ პირობებში მოხდა:

მატარებელი მიდიოდა ორი ორთქლმავლით (თავში და ბოლოში). სადგურში მისვლისას მემანქანე კუვალდამ, რომელიც მართავდა წინა ორთქლმავალს, გააჩერა მანქანა; უკანა ორთქლმავალი კი ამ დროს განაგრძობდა სვლას და ძლიერად დაეჯახა შეჩერებულ შემადგენლობას.

ამას შედეგად მოჰყვა თორმეტი ცისტერნის დამტვრევა. სამი ცისტერნა ლიანდაგიდან გადავარდა. ერთ-ერთი ცისტერნა დაიმსხვრა და მაზუთი სრულიად დაიღვარა. ცხრა ცისტერნიდან დაიწყო დენა მაზუთმა.

შემთხვევის ადგილზე ევლახიდან გაგზავნეს დამხმარე მატარებელი მაზუთის გადასაქაჩი მანქანით. ამ მანქანით მაზუთი დაზიანებული ცისტერნებიდან გადაქაჩეს მთელ ცისტერნებში.

მატარებლების მოძრაობა არ შეფერხებულა, რადგან თავისუფალი დარჩა სადგურის ერთი ხაზი, რომლითაც სწარმოებდა მატარებლების მიმოსვლა.

ორთქლმავლის გადავარდნა

სადგ. გარდაბანში ლიანდაგიდან გადავარდა ორთქლმავალი. ორთქლმავლის რელსებზე დასაყენებლად თბილისიდან გაგზავნეს დამხმარე მატარებელი.

შ ე მ თ ხ ვ ე ვ ე ბ ი

მკვდარის პოვნა ფოილოში

კვირას, 10 თებერვალს, მონადირეები, რომლებიც ნადირობდნენ სოფ. ფოილოს მიდამოებში, მტკვრისაკენ, იქ, სადაც ლერწმებია, წააწყდნენ მკვდარ კაცს. გზათ მომავალ ადგილობრივ მცხოვრებლების დახმარებით მონადირეებმა მკვდარი ამოათრიეს წყლიდან, საიდანაც მხოლოდ მისი ფეხები მოსჩანდა. მკვდარის ყელზე აღმოჩნდა მოხვეული პირსახოცი. სადგ. ფოილოში დაბრუნებისას მონადირეებმა ამის შესახებ აცნობეს ადგილობრივ აღმასკომს. მალე მკვდარი ჩამოასვენეს სადგურში და დაასვენეს აღმასკომის ბინაზე. მკვდარის ვინაობა ჯერ გამოურკვეველია. ფოილოში ლაპარაკობენ, რომ ამ ერთი ხნის წინად ახლობელი სოფლიდან დაიკარგა ერთი მცხოვრები, რომლის ასავალ-დასავალი არ იციან. სწარმოებს გამოძიება.

დაჯახება

კვირას, 10 თებერვალს, ავტო-მანქანა № 177, რომელსაც მართავდა შოფერი არუთინოვი, კომუნალურ ქუჩაზე (№ 59 სახლის პირდაპირ) დაეჯახა ზაჰესის ბოძს. ავტო-მანქანა დაზიანდა. ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა.

თავის დაჭრა

გუშინ, რკინის გზის ლიანდაგის მახლობლად (ქუჩაში) თვითმკვლელობის მიზნით რევოლვერის ტყვიით თავი დაიჭრა მიხეილ ივანეს ძე ჩილეემა. მას აღმოუჩინეს სასწრაფო საექიმო დახმარება და გადაგზავნეს რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოში.

დაჭრა

ეფროსინე ილიას ასულმა ვლასოვამ პუშკინის ქუჩაზე ჩხუბის დროს ცულით დასჭრა ა. დ. გარბატოვა.

— გუშინწინ, ღამით, ვიღაც ბოროტმოქმედებმა დანით მძიმედ დასჭრეს შალვა ივანეს ძე რჩეულიშვილი (მცხ. ინჟენერის ქ. № 7).

— ანა კონდრატეს ასულმა კუნალჩენკომ დანით დასჭრა პავლე ვასილის ძე პერესლავცევი. კუნალჩენკო დაპატიმრებულია.

შეპყრობა

მილიციამ დააპატიმრა გიორგი იაგორის ძე გუბმანი, ვასო ანტონის ძე ცინცაძე, კარაპეტ გაბრიელის ძე ქოჩორავა, მიხეილ ილიას ძე ლვინიაშვილი, კირილე ანდრიას ძე მანჯაშვილი და მუსიკა ალასაქის ძე მაგდოიანცი, რომელთაც ბრალდება ქურდობა და ჯიბგირობა.

— ნაქურდალი ნივთების შესყიდვისათვის დაპატიმრებულია არშაკ აბრამის ძე ოგანეზოვი.

ქურდობა

გაქურდეს ვასო ამოევის ბინა (შრომის ქ. № 26), წაიღეს 150 მანეთი ფულად და 350 მანეთის საოჯახო ნივთები;—ამიერ-კავკ. საგზაო-სატრანსპორტო საზოგადოების მაღაზიაში (პლეხანოვის და ჟორესის ქუჩის კუთხე) ეკატ. არკანოვას ვიღაც ბოროტმოქმედმა ხელიდან გამოსტაცა რედიკული;—ნინა ყიფიანის ბინიდან (ნინოშვილის ქ. № 39) მოიპარეს 160 მანეთის ნივთები.

ნარევი

ბურთისებური შენობა



დრეზდენის (გერმანია) გამოფენაზე, რომელიც ატარებს სახელწოდებას „ტეხნიკის ქალაქი". რკინა-ბეტონიდან გაკეთებულია მსოფლიოში პირველი ბურთისებური შენობა. გაზეთები, რომლებმაც ცნობა მოათავსეს ამ შენობის შესახებ, აღნიშნავენ, რომ ამგვარი სახის შენობები შეიძლება წარმოდგენილი იქნეს გამოფენებზე, როგორც რეკლამა, მაგრამ საეჭვოა ასეთი კონსტრუქციის შენობები პრაქტიკულად მიზანშეწონილი და გამოსადეგი იყოს.

ცოცხალი მკვდარი

ქ. შეგედინში (უნგრეთი) ერთი ქალი, გვარად ჩელი მოკვდა დამბლისაგან. სიკვდილი დაადასტურა ექიმმა. დასაფლავების წინ, როცა კუბოს დაჭედას უპირებდნენ, „მკვდარი" ალაპარაკდა. ექიმმა განაცხადა, რომ დამბლა სასიკვდილო არ იყო და შეიძლება ქალის განკურნება.

იშვიათი მცენარე

მეფის სასახლის ყვავილნარში ჰემპტონში (ინგლისი) არის ვაზი, რომელსაც მიმდინარე წელს 160 წ. შეუსრულდა. ვაზის ყლორტებს, რომლებიც ფარავენ სპეციალურ ჩარჩოებიან შენობას, დიდი სივრცე უჭირავს. მიუხედავად იმისა, რომ ბებერია, ვაზი ყოველ წლიურად დიდ მოსავალს იძლევა. შარშან, მაგალითად, ამ ვაზზე მოკრიფეს 600 საუცხოვო მტევანი ყურძენი რომელიც 30 ფუნტამდე იწონიდა.

საავტომობილო მოძრაობის ზრდა

ავტომობილების წარმოება და საავტომობილო მიმოსვლა მთელ მსოფლიოში იზრდება განსაცვიფრებელი სისწრაფით. გარდა შეერთებული შტატებისა, რომელიც თითქო შეჩერდა 23.000.000 ავტომობილზე (საშუალოდ 1 ავტომობილი ხუთ კაცზე), სხვა ქვეყნებში ავტომობილების რიცხვი შეუჩერებლად იზრდება.

ასე მაგალითად ავტომობილების რიცხვი

	1927 წ. უდრიდა		1928 წ. უდრის.	
კანადაში—	820.000	„	939.000	„
ინგლისში—	1.024.000	„	1.173.000	„
საფრანგეთ.—	891.000	„	949.000	„
გერმანიაში—	369.000	„	473.000	„
იტალიაში—	138.000	„	158.000	„

მოსახლეობასთან შედარებით ავტომობილების გავრცელება შემდეგ სურათს იძლევა:

ერთი ავტომობილი მოდის: კანადაში —10 კაცზე. ინგლისში—38-ზე საფრანგეთში—43-ზე, გერმანიაში—134-ზე და იტალიაში—266 კაცზე.

გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხი

აგდამი, 10 თებერვალი. სატირაჟო კომისიის 9 თებერვლის საღამოს სხდომაზე გათამაშებულ იქნა მე-17-ე და მე-51-ე სერიის 420 ორმოცდაათ მანეთიანი მოგება.

ობლიგ. №	სერია №	ობლიგ. №	სერიის №	ობლიგ. №	სერიის №	ობლიგ. №	სერიის №	ობლიგ. №	სერიის №
03494	17 51	33448	17 51	60438	17 51	93003	17 51	134169	17 51
03727	„ „	36098	„ „	60831	„ „	95619	„ „	134349	„ „
04665	„ „	37548	„ „	61345	„ „	96937	„ „	135385	„ „
09247	„ „	40510	„ „		„ „	97202	„ „	138528	„ „
10202	„ „	41359	„ „	62546	„ „	101121	„ „	139946	„ „
12047	„ „	41373	„ „	63543	„ „	101149	„ „	143645	„ „
12335	„ „	42489	„ „	64833	„ „	101185	„ „	149730	„ „
12907	„ „	43586	„ „	65529	„ „	104398	„ „	149777	„ „
13248	„ „	43908	„ „	69424	„ „	111688	„ „	150871	„ „
15223	„ „	43913	„ „	69791	„ „	111779	„ „	152608	„ „
17023	„ „	44730	„ „	70977	„ „	113790	„ „	157625	„ „
18210	„ „	46614	„ „	72032	„ „	115310	„ „	158670	„ „
20195	„ „	46797	„ „	75338	„ „	116321	„ „	161195	„ „
20591	„ „	46979	„ „	76991	„ „	117181	„ „	161907	„ „
21484	„ „	50186	„ „	78210	„ „	117756	„ „	162192	„ „
		50284	„ „	79328	„ „	119016	„ „	163339	„ „
23220	„ „	50930	„ „	80082	„ „	121603	„ „	163694	„ „
23373	17	51325	„ „	81402	„ „	121888	„ „	165338	„ „
23549	17 51	51637	„ „	81411	„ „	123301	„ „	165874	„ „
23897	„ „	51846	„ „	81713	„ „	124407	„ „	167406	„ „
24089	„ „	52052	„ „	82465	„ „	125597	„ „	168141	„ „
27138	„ „	52242	„ „	83265	„ „	126052	„ „	169407	„ „
28232	„ „	52622	„ „	84645	„ „	128224	„ „	169601	„ „
30295	„ „	52711	„ „	85194	„ „	129610	„ „	171608	„ „
32969	„ „	53792	„ „	85900	„ „	129989	„ „	172918	„ „
33025	„ „	53955	„ „	89583	„ „	130286	„ „	174420	„ „
175261	„ „	56620	„ „	89838	„ „	131587	„ „	174720	„ „
178861	„ „	56957	„ „	90502	„ „	132730	„ „	174956	„ „
179161	„ „	198122	„ „	91278	„ „	132909	„ „	175006	51
182182	„ „	199229	„ „	91443	„ „	225064	„ „	234946	„ „
182984	„ „	201202	„ „	92471	„ „	225548	„ „	235763	„ „
183671	„ „	203548	„ „	208878	„ „	226446	„ „	236470	„ „
186541	„ „	203916	„ „	210828	„ „	226579	„ „	238000	„ „
189781	„ „	204219	„ „	211173	„ „	226633	„ „	238187	„ „
191274	„ „	204392	„ „	212161	„ „	228232	„ „	242481	„ „
192582	„ „	204884	„ „	212225	„ „	229169	„ „	242878	„ „
194098	„ „	205794	„ „	213441	„ „	229507	„ „	242927	„ „
194376	„ „	206062	„ „	215000	„ „	230172	„ „	243064	„ „
195544	„ „	207343	„ „	215112	„ „	230925	„ „	243292	„ „
196225	„ „	207580	17	215735	„ „	231713	„ „	243357	„ „
196435	„ „	248758	17 51	215793	„ „	233640	„ „		
196486	„ „	249179	„ „	220799	„ „				
243566	„ „	249482	„ „	222113	„ „				
244645	„ „			245272	„ „				
				248269	„ „				

ტირაჟი დამთავრდა

სოფ. აღდამში (აზერბეიჯანში) 10 თებერვალს დამთავრდა გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის მეჩვიდმეტე და მეორმოცდათერთმეტე სერიების მოგებათა გათამაშება. ტირაჟიდან დაბრუნდა საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატის სავალიუტო სამმართველოს უფროსი ნ. ქოიავა, რომელმაც ტირაჟის შედეგების შესახებ ჩვენს თანამშრომელს შემდეგი აცნობა:

ტირაჟი საზეიმო ხასიათს ატარებდა. მოგებათა გათამაშებას დიდძალი გლეხობა დაესწრო დამსწრე გლეხებიდან ბევრს ხვდა მოგებები.

მოგებათა ნაწილის გათამაშება მოხდება გურჯაანში 17-19 თებერვალს.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფა

საქართველოში აკრეფილია 2.532.129 მანეთი

საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატში მიღებული ცნობით საქართველოში 1 თებერვლისათვის 1928—29 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადი აკრეფილია 2.532.129 მანეთის რაოდენობით. აკრეფილი თანხა შეადგენს საკონტროლო ციფრის 82,5 პროცენტს.

აფხაზეთში გადასახადი აკრეფილია 56.536 მანეთის რაოდენობით, (23,8 პროც.), აჭარისტანში—41.714 მან., (68,7 პროც.) და სამხრეთ-ოსეთში—32.383 მან. (66,1 პროც.).

მაზრების მიხედვით გადასახადის აკრეფა ასეთ სურათს იძლევა:

ახალქალაქის მაზრაში გადასახადი აკრეფილია—231.794 მანეთის რაოდენობით, ახალციხის—127.799 მან., ბორჩალოს—309.376 მან., გორის—231.473 მანეთი, თბილისის—414.529 მან., კახეთის—720.296 მან., ზუგდიდის — 287 მან., ქუთაისის—75.504 მან., რაჭა-ლეჩხუმის—55.718 მან., ოზურგეთის—24.753 მანეთი, სენაკის—39.640 მან. და შორაპნის მაზრაში—107.315 მანეთის რაოდენობით.

ახალქალაქის, ახალციხის, გორის და კახეთის მაზრებში გადასახადის აკრეფა დამთავრებულია.

რადიო-გადაცემა

სამშაბათს, 12 თებერვალს რადიო-გადამცემი სადგური 1.075 მეტრიან ტალღაზე გადასცემს შემდეგ პროგრამას:

პიონერისა და მოწაფის საათი ქართულ ენაზე; გლეხის საათი „გაზაფხულის თესვის კამპანია"—საქართველოს სს. რესპუბლიკის მიწადმოქმედების სახალხო კომისარის ამხ. ჯუღელის მოხსენება ქართულ ენაზე; რადიო-გაზეთი ქართულ ენაზე; გაზეთი „პროლეტარი" რადიოთი სომხურ ენაზე; საერთაშორისო მიმოხილვა რუსულ ენაზე; რადიოს მეგობართა საათი (ტეხნიკური კონსულტაცია); პასუხები რადიომოყვარულთა წერილებზე რუსულ ენაზე: ახალი ამბები. ამინდის ბიულეტენი და დროის შემოწმება; პიანისტ გინზბურგის კონცერტის ტრანსლიაცია კონსერვატორიიდან.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, 12 თებერვალს, თბილისის შრომის ბირჟიდან სამუშაოზე გასაგზავნათ გამოძახებული არიან შემდეგი უმუშევრები: მედსექციიდან: მატრონა პოლიაკოვა, ნიკიტა პაპოვი, გიორგი ძალაევი, სერგო ხალატოვი, სოფიო ვალიტური, გოგიაშვილი, პელაგია კაპიუტოვა, სერაფიონ ოქროპირიძე, ქეთევან ვასაძე, სათენიკ მოსიანი, სოფიო გულდფოლდვირი; გონებ. მუშაკთა სექციიდან: ვერა ხასპაროვა, ახხო როდიონოვა, გალინა გნეზდოვა, სოფიო მარკმანი, ალექსანდრა კაზაჩენკოვი, ელენე ბაიკოვა, ლიუდმილა დარპინინა, მახმანზერ ხაჯარი, ნინო კარაბეგოვა, აფროდიტა ეგლინა, თამარ მესხიშვილი, მარგარიტა ვურაიანი, კილია შტეინბერგი, მაისურაძე—ლებედევასი, ტატიანა მახვილაძე; შავ მუშათა სექციიდან: ლევან ბიჭოევი, ალექსანდრე მოსესოვი, ნატალია ნინოშვილი, პეტრე ლიმაროვი, თედო ქაიხოსროშვილი, ვლადიმერ ნადარეიშვილი, გიორგი სუჯაშვილი, გიორგი მარანტაშვილი, კოტე მედოშვილი, სიმონ ტოტოევი, მიხეილ დიკაშვილი, იერემია არეშიძე, გასპარ კაზარიანი, შალვა ფერაძე, შალვა ბეროძე, იოსებ პაპელაშვილი.

იურიდიული დახმარება

მიწა-ტყის კავშირის წევრს იაკობ ნურუშვილს

კითხვა:

ვმსახურობ ფოთის სატყეო ტრესტის ხე-ტყის დამამზადებლად ჩემს თემში. ადგილობრივი თემ-საბჭოს დადგენილებით [illegible] ლი მაქვს ბეგარის სახით სახლიდან გზის გაკეთება. მეურნეობას არ [illegible] მხოლოდ ჩემი ჯამაგირით [illegible] არა ადგილობრივი თემ-საბჭოს დადგენილება?

პასუხი:

თუ თქვენ იმყოფებით მუდმივ სამსახურში სახელმწიფო ან საზოგადოებრივ დაწესებულებასა და საწარმოში, თანახმად ცაკის ინსტრუქციისა 1928 წ. 30 მარტიდან (კან. კრ. 1928 წ., № 6, მ. 46) საგზაო შრომის ბეგარაზე არ გაიწვევით. ხოლო თუ თქვენი დაბეგვრა მოხდა თვითდაბეგვრის წესით, ასეთი ბეგარა თქვენთვის სავალდებულოა.

მუშას ზ. ზარიძეს

კითხვა:

ვმსახურობ მემანქანედ და ვღებულობ თვეში 95 მან., ვარ გაფრთხილებული ადმინისტრაციის მიერ, რომ მოვყვები შტატის შემცირებაში. გთხოვთ მიპასუხოთ მეკუთვნის თუ არა უმუშევრობის დროს დაზღვევის სალაროდან დახმარება და, თუ მეკუთვნის, რომელ კატეგორიით და რა დროიდან. აქამდის ვიყავი დაზღვეული.

პასუხი:

გაქვთ უფლება უმუშევრობის დროს დახმარება მიიღოთ დაზღვევის სალაროდან 1-ლი კატეგორიით თუ ეკუთვნით იმ პირთა ტეხნიკურ პერსონალს, რომლებიც მუშაობდნენ სამრეწველო ან კავშირგაბმულობის საწარმოში და ტრანსპორტზე. დახმარებას მიიღებთ დღიდან განცხადების შეტანისა დახმარების დანიშვნის შესახებ. მაგრამ არა უადრეს იმ დღისა, როდესაც გატარდებით აღრიცხვაზე შრომის ბირჟაში.

მელითონეთა კავშირის წევრს, ალექსანდრე ადუაშვილს

კითხვა:

ვარ უშვილო. მყავს ცოლი და დედა. შემიძლია თუ არა ვიშვილო წვრილ-ცოლშვილიანი გლეხის უკანასკნელი შვილი, რომელიც დედის სიკვდილის შემდეგ დარჩა უპატრონოდ?

პასუხი:

შეგიძლიანთ იშვილოთ მხოლოდ შვილად აყვანა უნდა მოხდეს იმ წესების დაცვით, რაც ნაჩვენებია ცაკისა და სახკომსაბჭოს № 65 დადგენილებაში 1926 წ. სექტემბრიდან (კან. კრ. 1927 წ. № 5, 110). რისთვისაც სათანადო განცხადებით უნდა მიმართოთ ადგილობრივ სამეურვეო და სამზრუნველო ორგანოს.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

დღეს, 12 თებერვალს, საღამოს 6 საათზე, საქართველოს ცაკში შესდგება საზოგადოება „წერა-კითხვა"-ს ცენტრალურ გამგეობის პრეზიდიუმის სხდომა—ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს სთხოვენ აუცილებლად და დაუგვიანებლივ დაესწრონ: მახარაძე, ხომერიკი, მამულია, ვ. მესხი, ჩხარტიშვილი, შ. ნუცუბიძე, სიხარულიძე, ბუჯიაშვილი (კომკავშირი), ჩიხლაძე, ა. მიქაძე, სოსიანი, ბოკერია, სირაძე, ნუზაროვა, კარიაგინი, ისრაელიანი, სალუქვაძე, მჭედლიშვილი.

სახ. უნივ. პედ. ფაკ. არსებული კომუჯრედის ბიურო აცხადებს, რომ დღეს, სამშაბათს, 12 თებერვალს, საღამოს სრულ 6 საათზე მოწვეულია ამავე უჯრედის დახურული საერთო კრება. დასწრება წევრ-კანდიდატთა სავალდებულოა დაუგვიანებლივ.

დღეს, 12 თებერვალს, საღამოს 6 საათზე მოწვეულია სოციალ-ეკონომიური ფაკულტეტის მშენელთა კომპარტიის და კომკავშირის წევრთა და კანდიდატთა გაერთიანებული კრება. დასწრება სავალდებულოა.

დღეს, 12 თებერვალს, დილის 10 საათზე ცეკას აგიტპროპბეჭდვითი განყოფილებაში შესდგება ამხ. კრუპსკაიას სახელობის კომუნისტური აღზრდის აკადემიაში გასაგზავნი კანდიდატების შერჩევა, რომელსაც უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: სვანიძე, ქალთა განყოფილების წარმომადგენლები, ა. მიქაძე, იშხანოვი და ბადათაძე.

დღეს, 12 თებერვალს, 1-ლ საათზე შესდგება სახ. უნივერსიტეტის კომ-პარტიის ბიურო-კოლექტივის სხდომა. წევრ-კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

თბ. სახ. უნივერსიტეტის აგრონ. ფაკულტეტთან არსებული ა.ლ.კ.კ. 1-ლი უჯრედის ბიურო აცხადებს, რომ დღეს, 12 თებერვალს, დილის 12 საათზე შესდგება ამავე უჯრედის ბიუროს სხდომა. წევრ-კანდიდატთა დასწრება აუცილებელია: უნდა დაესწრონ აგრეთვე შემდეგი ამხანაგები: ფირცხალავა დიონისე, მაისურაძე ვახტანგი, დოლიძე დავით, კობახიძე ივანე, კერესელიძე შალვა.

გულდათუთქული მშობლები ლავრენტი, ალექსანდრა და დაი თამარა ნაკაიძეები აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი

ლეუშა

რომლის დაკრძალვა მოხდება 13 თებერვალს დაბა სურამში 419

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ტატიანა, სიმამრი ანანი და ცოლის ძმა შახო კალანდაძეები, მამა ილარიონ ქავთარაძე და ბიძაშვილი ჰიპიკო ჯაკობია აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ 7 თებერვალს ს. გომბორში ტრაგიკულად დაიღუპა

ნიკოლოზ ილარიონის ძე ქავთარაძე

გამოსვენება 1-ლ საავადმყოფოდან სამშაბათს, 4 საათზე კუკიის სასაფლაოზე. 422

თავზარდაცემულნი მშობლები ივანე და ეკატერინე; ძმები: ნიკოლოზ, ელიზბარ და ოთარ რჩეულიშვილები; სიძე გრიგოლ რობაქიძე მეუღლე ელენეთი და ბებია ბარბალე აუწყებენ საზოგადოებას საყვარელი

შალიკო რჩეულიშვილის

ტრაგიკულად გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი დღეს 5 საათზე ყ. მიხეილის საავადმყოფოს პროზექტურაში 418

გულმოკლულნი: ქმარი კიზია, დედამთილი ფატმანე, დედა ლისა, ძმა, სოფრომ, დები: ცუცუ, გოგოლა და თეკლე, სიძეები: პარმენ სურგულაძე, ივანე ორაგველიძე, ნიკოლოზ პატარაია, მულები: სოფიო და მენიკი ქმრებით აუწყებენ საზოგადოებას, რომ ა. წ. 17 თებერვალს ს. ჩიბათში გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი

მარო ნიკიფორეს ასული კალანდარიშვილი-შეწირულის

ხსოვნის აღსანიშნავად 420

რუსთაველის თეატრი

სამშაბათს, 9 თებერვალს ხოზიკას
„ხოჭოების დოლი" კომ. 3 მოქმ.
დადგმა ალ. ახმეტელისა მხატვარი ირ. გამრეკელი
დასაწყისი სრულ 8 საათზე
ბილეთები იყიდება თეატრისა და მუშათა ზოლის სალაროში, მუშათა სასახლე ოთახი № 1
2—2 ნ. 2251

სახკინმრეწვის კინოთეატრები
განთიადი — არაჩვეულებრივი მხატვრული ფილმი კატორღა
არფასტო, სოლეი — მსოფლიო სურათი „მეჟრაბპომ-ფილმის" ნაწარმოები ჩინგის-ხანის შთამომავალი
კალასი — რეჟისორი პუდოვკინი მთავარ როლში ინკიჟინოვი
მინიონი — კიდევ 2 დღე ნამდვილი ჯენტლმენი
აპოლო — მეორე კვირა არაჩვეულებრივი ფილმი ჯიმი ხიგინსი
დარბაზი — ტარზან—ჯუნგლების მბრძანებელი 1 და 2 სერია ერთად
პროლეტარი ავლაბარი — ყინულთა სამეფოში „კრასინ"-ის და „მალიგინ"-ის გმირული ექსპედიცია
0—9

საქ. სახკინმრეწვის ნაწარმოები (1928—29) წლის სეზონი
ხუთშაბათიდან, 14 თებერვლიდან
კინო-თეატრებში
სოლეი, მინიონი, აპოლლო, განთიადი
ვ. ანჯაფარიძე, უშანგი ჩხეიძე.
თ. ჭავჭავაძე, ტ. ლამბაშიძე.
თ. მენზონი, შ. ჟორჟოლიანი,
და 5 წლის სერგო ზაბოზლაევი. სურათში
კომუნარის ჩიბუხი
(ი. ერენბურგის ნოველის მიხედვით)
რეჟისორი კოტე მარჯანიშვილი
ოპერატორი ზაბოზლაევი

საქართველოს სატყეო ტრესტის ყოფ.
ავეჯეულობის მაღაზია
(პლეხანოვის პროსპ. № 29)
იმათ საყურადღებოდ, ვისაც კრედიტით ავეჯი აქვს მიღებული აცხადებს:
ჩვეულებრივი ყოველთვიური შესატანის მიღება ხდება იმავე მაღაზიაში (რომელიც დღეს მუშკოოპს აქვს გადაცემული).
იმათ წინააღმდეგ, ვინც თავის დროზე არ იხდის ფულს, მიღებულ იქნება სასტიკი ზომები—(ისეთიც კი, როგორიც არის ჯამაგირზე ყადაღის დადება და ქონების ჩამორთმევა).
საქ. სატყეო ტრესტის ნისიების შეკრების საქმის რწმუნებული შ. შახნაზაროვი.
ნის. 2245

ცირკი კოლოსი
ტელეფ. № 8—64
დღეს განახლებული სანახაობა
ახალი პროგრამა 3 განყოფილებად
გრძელდება ჰიპნოტიზიორ ორნალდოს გამოსვლები
(მასიური ჰიპნოზი) ახალი ცდები
დასაწყისი 8 ნახ. საათზე
3—1 ნ. 2250

ქუთაისის 2-ლი უბ. სასამართლოს აღმასრულებელი
დ. აშურდია
აცხადებს, რომ 1929 წ. 16 თებერვალს 12 საათზე ქ. ქუთაისში რესტორანის სავაჭროში, ლიბკნეხტის ქუჩა № 90 **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ილიკო და ისაკო კვერნაძეების შემდეგ მოძრავ ქონებას: ერთი უბრალო შკაფს, 9 ცალ სასადილო მაგიდას, მაგიდის საფარებს, 25 ც. სელის სკამს, ერთი ჩამოსაკიდებელ ლამპას და 12 ც. სპილენძის ქვაბებს, შეფასებულს ორას ერთი (201) მანეთად. ქუთაისის აღმასკომის ვალის დასაკმაყოფილებლათ თანახმად ქუთაისის მე-3 უბნის მოსამართლის 18 მაისის 1928 წ. № 2088 გაცემულ აღმასრულებელი ფურცლისა. საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებული ფასიდან. ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს საჯარო ვაჭრობაში უნდა წარმოადგინოს საწინდარო 10 პროც. ნ. 2253

ხობის უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი
გრიგოლ აბრამია
ამით აცხადებს, რომ ის ა. წ. 15 თებერვალს დღის 12 საათზე ქვალონის თემსაბჭოს პრეზიდიუმის კანცელარიაში **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ქსენია ლოლუას მოძრავ ქონებას: ერთი ორთვალიანი დუქნის ორმისამედს, ერთი დასადგამ სასწორს 5 ნახ. გირით, თაროს და დაზგას—შეფასებულს 88 მან. 20 კაპ. მოქ. დოროთე ფახულიას ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ხობის უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ფურცლისა გაცემულის 1928 წ. 29 ივნისიდან № 311. 421

ექიმი
ი. ვ. ახმეტელი
იღებს ქირურგიულ ავადმყოფებს 5—6 საათ. ლენინის (ყოფ. ოლღას) ქ. № 20, მესამე სართული.

ექიმი—ვენეროლოგი
ნინო მირიანაშვილი
იღებს კანის და ვენერიულ ავადმყოფებს (ქალებს და ბავშვებს) საღამოს 5—7 საათამდე მოსკოვის ქუჩ. № 4 ყოფ. ზემელის აფთიაქთან, ტელ. 14—23. 25—1

თვალის ექიმი
მალაევი
ღებულობს ავადმყოფებს დილით 8—9 საათ., საღ. 6—7 ს მისამართი: თვალის საავადმყოფო კლ. ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედისა № 47, ტელეფონი № 5—90.

უნივერსიტეტის სტომატოლოგიურ კლინიკაში
საღამოობით 4—6 საათამდე სწარმოებს ავადმყოფების მიღება დაკლებულ ფასებში. მისამართი: პლეხანოვის პროსპექტი № 126
ნ. 19—25—11

ექიმი
ი. ი. ჭეიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულ.
კამოს ქ. 72 (ყოფილი დიდი-მთავრის)
მიღება: დილ. 8 ს.—9 საათ. საღ. 6 ს.—8 საათ.
25|1

ექიმი
ქ. ს. ფონ-ირტელი
სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება) ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე, ბუასილი) ელექტრო-მკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და საღ. 4 ნახ. საათ.—7 საათამდე. ქალების მიღება დღის 10—12 საათამდე. პლეხანოვის პროსპ. № 10

ა. ვ. მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი"
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ. ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8-დე შესასვლელი შესახვევიდან. 109 25|1

ქ. ქუთაისი
ექიმი
ი. ხ. შველიძე
კანის და ვენერიული სნეულებანი (სიფილისი, შეზხაპუნება „914", ტრიპერის და მისი შედეგების მკურნალობა) მიღება: დილის 8—9 საათამდე საღამ. 7 ნახ.—9 საათ. ქალები და ბავშვები დღისის 2—4 საათამდე მისამართი: ივანოვ-მარდალეიშვილის 1-ლი შესახვევი № 9 სახლი ბაღათურიასი 200 25—1

ქ. ქუთაისი
ექიმი
თ. ვ. აკოფაშვილი
შინაგანი სნეულება — სპეციალურად ფილტვების ავადმყოფობა. ბროსეს ქ. № 7 (მესამე საბჭოთა აფთიაქის გვერდით). ნ. 25

ექიმი
ს. ი. ანდრეევისა
დაბრუნდა და ახლა ავადმყოფების მიღება სპეციალურად ძვლების, ჯირკვლების, ტუბერკულოზის მკურნალობა მიღება 5—7 საათამდე. ელბაქიძის დაღმართი (ყოფ. ვერის) № 29 ტელეფ.—11—78. 18—ნ. 25—1

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12, საღ. 7—8 საათამდე ტელეფ.—12—67 ნ. 20 25—1

ექიმი
დ. ლ. თევზაძე
ყელის, ყურის და ცხვირის სნეულებანი და მოზრდილობანი ხმის და მეტყველებისა აქვე სპეციალურად არის მოწყობილი ფიზიო-თერაპიული მეთოდებით მკურნალობა მუნკაძის ქ. № 9 (ყ. გუდოვიჩისა) მიღება: დილით 12—1 საათ. საღამოს 7—8 საათ. გარდა კვირა დღეებისა. 25—6

ექიმი
პ. ი. ჯალალოვი
(კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი, შეზხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა. მამაკაცთა მიღება: დილით—8—9 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალები და ბავშვების მიღება: 5—6 საათამდე. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90. ნ. 25—19.

ექიმი
ი. პ. მჭედლიშვილი
შინაგანი ავადმყოფობა. სპეციალურად კუჭის და ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 ს. სანაპირო ქუჩა (ყოფილი ნაზეროვსკი) № 7—ვერის ხიდთან. ტელეფონი № 15—02 ნ. 25—9

ლოგოპედი
ა. ა. კაიშაური
ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედის კაბინეტისა **ასწორებს** ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, აფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს იღებს: საღამოს, 5—7 საათ. კლარა ცეტკინის ქ., № 132. 13—1 352

დაიკარგა: კავშირის წიგნაკი № 3031 და საანგარიშო წიგნაკი № 157 კონსტანტინე ნიკოლოზის-ძე ლოლაძეს სახელზე, ჩ. გ. 423

დაიკარგა: სამხედრო პირადი წიგნაკი № 66, გაცემული გორის მაზრის სამხედრო კომისარიატის მიერ ვლადიმერ რომანოზის-ძე ჯუბაბრიას სახელზე, ჩ. გ. 417

დაიკარგა: პარტიის საკანდიდატო მანდატი № 1·971 პავლე არდულიანის სახელზე, ჩ. გ. 414

დაიკარგა: უმუშევრობის წიგნაკი № 398 ბარბარე იოსების ასულ გძელიშვილის სახელზე, ჩ. გ. 411

დაიკარგა: უვადო პასპორტი, გაცემული ბუკის ციხის თემიდან ექვთიმე მახარობლის-ძე მახარაძის სახელზე, ჩ. გ. 411

პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, ყამის ქუჩა № 68.
მთავლიტი № 904.